საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№28 (310)
29 ივლისი - 4 აგვისტო, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**«მარგველაშვილი ახალაიას, მერაბიშვილისა და უგულავას შეწყალებას გეგმავს»** 2

## უზბეკეთში ამერიკის ნაელჩარი სააკაშვილის რეჟიმის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას და საქართველოს ბუნებრივი რესურსების შეერთებული შტატებისთვის გადაცემას ითხოვს! 6



ჯონ ედვარდ ჰერბსტი:

**«საქართველოში არის ბუნებრივი რესურსებისა და ნავთობის უზარმაზარი მარაგი. მე ვურჩევ საქართველოს, მოგვცეს საშუალება, მოვიპოვოთ ეს მარაგი და გამოვიყენოთ»**

5 **ახლაც ნორლანდმა დაგაძალათ შუბლ(ძა(რღვ)ძის გა(და)წყვეტა?!.**

„დავაბრუნოთ გურამ დონაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში, ზურაბ ადეიშვილი — იუსტიციაში, მიხეილ სააკშვილი — ავლაბარში, პინგვინი — ანტარქტიდაზე, ზებრა — აფრიკაში და მოქალაქე ბიძინა — ჭორვილაში!“

7 **«რატომ იზრდება საქართველოში ანტიდასავლური განწყობა?»**

**ევროკავშირის მისიის თანამშრომელმა 15 წლის მოზარდი იმსხვერპლა** 2

**რას ფიქრობენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ქართველი ხელოვანები და სპორტსმენები** 10

**რეპრესიების ისტორია უემოციოდ** 15

## წამოცდენის პოლიტიკა, ანუ «პელეს გაფუჭებული პასები»



9

**«როდესაც ვთქვი, მესამე წელიწადს მატერიალურ კეთილდღეობას ყველა საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს, ეს იყო წამოცდენა... ყველას შეიძლება წამოსცდეს რაღაც...»**

## არჩევნები ისევ მოვა... 4

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დავით სერგეენკო: 200-ზე მეტი დასახელების პირველადი მოხმარების მედიკამენტზე ფასები შემცირდება



**პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე ფასები, სავარაუდოდ, შემოდგომიდან შემცირდება. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, შესაბამის გეგმაზე სამინისტრო უკვე მუშაობს.** „მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა დღეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ჯანდაცვის სისტემაში. ვფიქრობ, ეს მოხერხდება პირველადი მოხმარების ე.წ. ესენციურ მედიკამენტებზე. ეს დაიწყება გეგმის მიხედვით შემოდგომიდან, როდესაც 200-ზე მეტ ძირითად მედიკამენტზე მოვახერხებთ ფასების დაწევას", — განაცხადა სერგეენკომ.



### ნიკოლოზ მჟავანაძე:

## შეწყალების კომისიით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს

**„პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის ბოლოდროინდელმა გადაწყვეტილებებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვნებათაღელვა გამოიწვია. პატიმრები, რომლებიც, წლებია, შეწყალებას ითხოვენ, საბოლოოდ, უარს იღებენ და მათი საქმეები განხილულიც არ არის", — განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ.**

„არ არის გამორიცხული, პატიმართა გარკვეულმა ჯგუფებმა შიმშილობა დაიწყონ. შარშან ამ დროს, როდესაც პრეზიდენტმა რამდენიმე ათეული პატიმარი შეიწყალა, ქალთა მე-5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შიმშილობა დაიწყო. ახლაც ანალოგიური სიტუაციაა — არც ერთი ქალი არ შეიწყალეს. რატომღაც ამ საკითხზე დუმან ის ორგანიზაციები, რომლებიც გენდერულ და ქალთა უფლებებზე მუშაობენ. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ შეწყალების კომისიის რამდენიმე წევრი ფიქრობს კომისიის დატოვებას. მოვუწოდებთ, მართლაც მიიღონ ეს გადაწყვეტილება იმიტომ, რომ მათ რეპუტაციასაც ჩრდილი ადგება იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო, რომელსაც იღებს შეწყალების კომისია. ამის დასტურია ლევან ბობოხიძისა და რამდენიმე „ნაციონალის" შეწყალება. მანამდე **მარგველაშვილმა თავისი ცოლისძმა, სამჯერ ნასამართლევი და პირობით მსჯავრში დანაშაულის ჩამდენი პირი შეიწყალა.** ვფიქრობ, **პროკურატურა უნდა დაინტერესდეს ზვიად ქორიძისა და შეწყალების კომისიის მუშაობით, ვინაიდან არაერთი პიროვნება მოგვმართავს იმის შესახებ, რომ იქ არც ისე სუფთად მიდის ყველაფერი. ზვიად ქორიძე ისე შორს წავიდა, რომ, პატიმრების ახლობლების აბუჩად აგდებასა და დაცინვასთან ერთად, უკვე საზოგადოების მოტყუება და თვალებში ნაცრის შეყრა გადაწყვიტა.** რისი დასტურიც ბოლო შეწყალება იყო, როცა ბობოხიძის შეწყალების ერთ-ერთ მოტივად სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ გაწეული რეკომენდაცია დაასახელა. სინამდვილეში კი, როგორც სამინისტრომ განაცხადა, არათუ რეკომენდაცია, არამედ ინფორმაცია მიაწოდა კომისიას პატიმრის პირადი საქმიდან. შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობა არ არის იმუნიტეტი და ვფიქრობ, ქორიძით სერიოზულად უნდა დაინტერესდეს პროკურატურა. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, თვითონ მას დასჭირდეს შეწყალება, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვდება. ბოლო შეწყალებები არის საზოგადოების განწყობილების მოსინჯვა, რათა გაიგონ, რა რეაქცია ექნება მას, ვინაიდან, როგორც გვაქვს ინფორმაცია, **მარგველაშვილი რამდენიმე თვეში ახალაიას, მერაბიშვილისა და უგულავას შეწყალებას გეგმავს",** — განაცხადა მჟავანაძემ.

## «მარგველაშვილი ახალაიას, მერაბიშვილისა და უგულავას შეწყალებას გეგმავს»



### ბიძინა ივანიშვილი:

## გიორგი მარგველაშვილი ხელს უშლიდა გამოძიებას და იცავდა სააკაშვილს

**„მოვიყვანეთ და მეორე დღეს ჩვენ წინააღმდეგ წავიდა. რატომ? — ეს აუხსნელი თემაა", — განაცხადა ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილზე „გურიანიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.**

„არაკორექტული იყო მისი ქცევები. ამბობდა ერთს არჩევნებამდე, გააკეთა მეორე. გუნდი, რომელმაც ის მოიყვანა, ცდილობს, როგორმე დააზიანოს, როგორმე მათი საწინააღმდეგო გააკეთოს. კანონი წაკითხულიც არ აქვს, ისე ცდილობს, დაადოს რაღაცებს ვეტო. ამ თემაზე ერთ-ერთ გადაცემაში ბევრს ვისაუბრებ. რა უნდა და რატომ ხდება ეს, გაუგებარია. საუბრის ნაწილს, როცა საჭირო გახდება, გავასაჯაროვებ. ვინ აკეთებს კვლევებს პრეზიდენტზე, ცალკე ანალიზის თემაა.

სააკაშვილის საქმეში ზოგიერთ მასალაზე გრიფი „საიდუმლო" უკანონოდ ჰქონდა დადებული და ეს იყო პრეზიდენტის პრეროგატივა, რომ მოეხსნა. სამჯერ მიმართა პროკურატურამ და სამჯერვე უარი უთხრა მარგველაშვილმა. მან კარგად იცოდა, რომ არასწორად იქცეოდა. ხელს უშლიდა გამოძიებას და იცავდა სააკაშვილს. უფლება ჰქონდა და გამოიყენა, ისევე, როგორც ვეტოს უფლება აქვს. სადაც უნდა მოიქნევს და გამოიყენებს", — განაცხადა ივანიშვილმა.



### ირაკლი ღარიბაშვილი:

## იმედი მაქვს, პრეზიდენტი სააკაშვილს, ახალაიას, მერაბიშვილსა და სხვა «კეთილ ადამიანებსაც» შეიწყალებს

**ჩვენი პრეზიდენტი არის ჭეშმარიტად „ნაციონალური" პრეზიდენტი, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებას „ნაციონალური მოძრაობის" წევრის — აკაკი ბობოხიძის ძმის შეწყალებაზე.**

„ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენი პრეზიდენტი არის ჭეშმარიტად „ნაციონალური" პრეზიდენტი. გუშინ მან შეიწყალა ერთ-ერთი მსჯავრდებული — ბატონი ბობოხიძე, რომელიც პროკურატურამ დააკავა. მას მიესაჯა პატიმრობა, პრეზიდენტმა კი შეიწყალა. ძალიან კარგია, რომ ასეთი კეთილშობილი პრეზიდენტი გვყავს. იმედი მაქვს, რომ ის სააკაშვილს, ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილს და სხვა „კეთილ ადამიანებსაც" შეიწყალებს", — განუცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების სამინისტროში, როცა მან პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში შექმნილი ელექტრონული მართვის ცენტრი გახსნა.

### იგორ პალიცა:

## როდესაც სააკაშვილს ნარკოტესტისთვის თმის ღერი სთხოვეს, გაიქცა



**„მესმის, რატომ გამოხვედით წყობრიდან და გაიქეცით, როდესაც ტელეკომპანია 1+1-ის ჟურნალისტმა ნარკოლოგიური შემოწმებისთვის თმის ღერი გთხოვათ", — დაწერა სოციალურ ქსელში მიხეილ სააკაშვილის წინამორბედმა, ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა იგორ პალიცამ მიხეილ სააკაშვილის საქმიანობის კომენტირებისას.**

„ვიდრე სააკაშვილი აქ არ იყო, ჩვენ, ყველამ ერთად, მშვიდობა შევინარჩუნეთ, შევარიგეთ ხალხი. დიახ, მე არ ვამტვრევდი ჯებირებს, არ დავდიოდი სხვის დასანახავად სამარშრუტო ტაქსით, არ დავდიოდი პლაჟზე, არ ვსეირნობდი ველოსიპედით სამუშაო დროს, არ ვაკეთებდი ხმამაღალ და პოპულისტურ განცხადებებს და არ ვძაბავდი დნესტრისპირეთის ირგვლივ სიტუაციას. ქრთამის აღების გამო ყოველთვის ვაკავებდით ადამიანებს, უბრალოდ, ასეთ წვრილმანებზე არ ვიპიარებდით თავს. ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ ყველაფერი — ვერა. ჩვენ, უბრალოდ, ვმუშაობდით და არ ვიპიარებდით თავს. ჩვენ არ გვქონდა იმის უფლება, რომ უკრაინის კანონები დაგვერღვია.



**P.S. მესმის, რატომ გამოხვედით მწყობრიდან და გაიქეცით, როდესაც ტელეკომპანია 1+1-ის ჟურნალისტმა ნარკოლოგიური შემოწმებისთვის თმის ღერი გთხოვათ. თქვენ იცით, რომ დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. საქართველოდან თქვენ ხალხმა ქვების სროლით გაგაგდოთ. ვნახოთ, როგორ დატოვებთ ოდესას",** — აღნიშნავს პალიცა.




## ევროკავშირის მისიის თანამშრომელმა 15 წლის მოზარდი იმსხვერპლა

**ავტომანქანას, რომელმაც მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელთან 15 წლის მოზარდი იმსხვერპლა, ევროკავშირის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი მართავდა.**

15 წლის უშიშა ყორიაულს ევროკავშირის დიპლომატიური მისიის თანამშრომელი (წარმოშობით პოლონელი) დაეჯახა. მას შემთხვევის ადგილიდან მიმალვა არ უცდია და გამოძიებასთან თანამშრომლობს. დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, რომელიც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## გია ხუხაშვილი: არჩევნებზე რევოლუციის ინიცირების რისკი შეიქმნება



**ექსპერტ გია ხუხაშვილის განცხადებით, დღევანდელი ხელისუფლება ვერ აღიქვამს, რომ პრობლემები აქვს. ამის შესახებ გია ხუხაშვილმა გაზეთ „ახალ თაობასთან" საუბრისას განაცხადა.** „ვფიქრობ, ხელისუფლება ილუზიაშია, რაც მათთვის პრობლემური გახდება. არჩევნებს მოიგებენ, მაგრამ ლეგიტიმაცია ძალიან დაბალი იქნება. ხალხი არჩევნებზე არ მივა და შესაბამისად, მათი ლეგიტიმაცია ძალიან სუსტი იქნება, რაც რევოლუციის ინიცირების რისკს ქმნის. სამოქალაქო პროტესტს შეეძლება სუსტი ლეგიტიმაციის მქონე ხელისუფლებისთვის კრიზისის შექმნა, რასაც რიგგარეშე არჩევნები მოჰყვება. მეორე არის სახელისუფლო გადატრიალება. ხელისუფლებას არ აქვს იდეა, რომლის ირგვლივაც საჯარო სექტორი მათი მცველი ჯარისკაცი იქნებოდა. შესაბამისად, პოლიტიკურმა პროცესმა, შეიძლება, ასეთი ვირაჟი გააკეთოს", — განაცხადა ხუხაშვილმა.



## დეტროიტში ძეგლი დაუდგეს... სატანას

**აშშ-ის მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტში სატანის ქანდაკება დადგეს.**

ბრინჯაოს სკულპტურა შედგება სამი ფიგურისგან — სატანისტური ღვთაება ბაფომეტისგან, აგრეთვე, მის ფერხთით მდგარი გოგოსა და ბიჭისგან. სტატუა 25 ივლისს გახსნეს. ცერემონიას ესწრებოდა რამდენიმე ასეული ადამიანი. ქანდაკება დადგეს შენობაში, რომელიც „სატანის ეკლესიად“ გადააკეთეს. ქანდაკების ფასი 100 ათასი დოლარია.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გერმანელები ბერლინში ლენინის ძეგლს ძველ ადგილას აბრუნებენ

## რა ბედი ელის სტალინის ძეგლს გორში?





წლების წინათ ბერლინში ლენინის მონუმენტი იდგა



სტალინს სიცოცხლეშივე (1952 წელს) დაუდგეს მშობლიური გორის ცენტრში ბრინჯაოსგან ჩამოსხმული 6-მეტრიანი ქანდაკება 9-მეტრიან კვარლცხბეკზე. 2010 წელს კი სააკაშვილმა, რომელმაც სამაჩაბლო და კოდორის ხეობა უბრძოლველად ჩააბარა რუსეთს და ლამის გორიც ზედ მიაყოლა, დიდ სამამულო ომში გამარჯვების სულისჩამდგმელის ძეგლი ჩამოხსნა.

**„ქართული ოცნების“ მხრიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 5 წლის წინათ ღამით მალულად ჩამოგდებული სტალინის ძეგლის ძველ ადგილას დაბრუნების წინასაარჩევნო დაპირებისა და გორელების დიდი მცდელობის მიუხედავად, დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემოქმედის ძეგლის კვარლცხბეკი ჯერაც ცარიელია. გორის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წერილობით რამდენიმეჯერ მიმართეს საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სტალინის ძეგლის ძველ ადგილას დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ამაოდ.** როგორც ჩანს, „დასავლური დემოკრატიის“ პრინციპების „მიმდევარი“ საქართველოს ხელისუფლება ისტორიის ფალსიფიცირებაში ხელს უწყობს დასავლეთს, რომელსაც სურს, მის მიერვე აღზევებული ჰიტლერული გერმანიის განადგურება მხოლოდ თავის დამსახურებად წარმოაჩინოს, ამ ომს მსხვერპლად შეწირული მილიონობით საბჭოთა ადამიანის, მათ შორის, 300 ათასი ქართველის, ხსოვნა არად ჩააგდოს და დიადი გამარჯვების შემოქმედის ღვაწლი დააკნინოს. ამას საქართველოს ხელისუფლება სწორედ დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შიშით აკეთებს.

აი, გერმანელები კი, ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბერლინის ერთ-ერთ რაიონში — **შპანდაუში ლენინის ძეგლის დაბრუნებას აპირებენ.** როგორც ჩანს, ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ჩვენც გამოვიარეთ (გახსოვთ, ალბათ, ლენინის ძეგლების დემონტაჟი თბილისსა და საქართველოს სხვა ადგილებში), ახლა საწინააღმდეგო ფაზაში შედის — ძველ ადგილებზე დაბრუნების ფაზაში, ოღონდ ეს ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიაში დაიწყო. გერმანელებმა ლენინის ქანდაკებას წლების წინათ თავი მოაჭრეს და ერთ-ერთ კარიერში ჩამარხეს. ახლა კი, 25 წლის შემდეგ, მას ძველ ადგილას დააბრუნებენ.




## გამოკითხვის გამაოგნებელი შედეგები: უკრაინელთა 84% ქვეყნის მართვას პუტინს ანდობდა, 1% — პოროშენკოს

**უკრაინა საინფორმაციო შოკშია. ადმინისტრაცია ვებგვერდისა „nedelia.ua“ გაოგნებულია, გამოკითხვის შედეგები ნამდვილი კოშმარი აღმოჩნდა უკრაინის ხელისუფლებისთვის.**

აღნიშნულმა ვებგვერდმა თავის მომხმარებლებს დაუსვა მხოლოდ ერთი შეკითხვა: **„რომელ პოლიტიკოსს ანდობდით თქვენი ქვეყნის მართვას?“**

კითხვას თან ერთვოდა საკმაოდ გრძელი სია მსოფლიოსა და უკრაინელი პოლიტიკოსებისა, მათ შორის იყვნენ: **ბარაკ ობამა, სი ძინპინი, ანგელა მერკელი, ვლადიმერ პუტინი** და სხვ. აგრეთვე, უკრაინის პოლიტელიტის წარმომადგენლები — დაწყებული პრეზიდენტ პოროშენკოთი, დასრულებული ლიაშკოთი.

ვებგვერდის ადმინისტრაცია გაოგნდა, როდესაც დაინახა, რომ პირველი 40 ათასი რესპონდენტის გამოკითხვის შემდეგ დიდი სხვაობით ლიდერობდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. აი, რამდენიმე მონაცემი:

**ვლადიმერ პუტინი** — ხმების 84%,
**ალექსანდრე ლუკაშენკო** — 5%,
**სი ძინპინი** — 2%,
**ვლადიმერ ჟირინოვსკი** — 2%,
**პეტრე პოროშენკო** — 1%.

უკრაინის სხვა პოლიტიკოსებს არც ერთი ხმა არ მიუღიათ. უკრაინელმა პატრიოტებმა გამაოგნებელი სტატისტიკა სწრაფად გააქრეს ვებგვერდიდან, მაგრამ მან თავისი კვალი მაინც დატოვა, ვებგვერდმა კი მუშაობა დროებით შეაჩერა.

# აშშ უკმაყოფილოა სომხეთში რევოლუციის შეჩერებით

**რუსმა ჰაკერებმა ხელში ჩაიგდეს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ სომხეთში ცოტა ხნის წინათ გამართული საპროტესტო აქციების უკან დგას აშშ, რომელიც ამ ქვეყანაში მორიგი „ფერადი რევოლუციის“ მოწყობას ცდილობს. ეს არის სომხეთში USID-ის მისიის ხელმძღვანელის — კარენ ჰილიარდის წერილი ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის ვანაძორის ოფისის ხელმძღვანელ არტურ საკუნტსისადმი.**

„პატივცემულო ბატონო საკუნტს, გწერთ იმ მიზნით, რომ შეშფოთება გამოვხატოთ ერევანში მოქალაქეთა საპროტესტო აქტიურობის მკვეთრად შემცირების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ირწმუნებოდით, სომეხი საზოგადოება მზად არის თავისი ინტერესების დასაცავადო, ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ პროტესტანტების რაოდენობის შემცირებას, არამედ მკაცრი, უკომპრომისო რიტორიკიდან მთავრობასთან დიალოგზე გადასვლას, აგრეთვე, უარს პოლიტიკურ მოთხოვნებზე.

როგორც ჩანს, ვერ შეძელით თქვენთვის გამოყოფილი რესურსების ადეკვატურად გამოყენება. თქვენი მოღვაწეობის შედეგები შეიძლება შეფასდეს, როგორც სუსტი, პროექტის ძირითადი მიზანი კი მიუღწეველი დარჩა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია მუშაობის შეწყვეტა ადრე აღნიშნულ რომელიმე მიმართულებით, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს აზერბაიჯანში დაგეგმილი ღონისძიებების კოორდინაციის დარღვევა. თქვენ ყველაფერი უნდა იღონოთ სახალხო პროტესტის ფორმების გასააქტიურებლად. ეს პროექტი ჩვენს რეგიონულ სტრატეგიაში საჯილდაო ქვაა უახლოეს მომავალში.

თქვენი შემდეგი მოქმედებები განსაზღვრავს მომავალში ჩვენი თანამშრომლობის ფორმატს.

პატივისცემით
კარენ ჰილიარდი,
USAID-ის მისიის ხელმძღვანელი სომხეთში“.

როგორც ჩანს, **ამერიკელები არ მალავენ უკმაყოფილებას მათთან ანგარიშვალდებული სომხური არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც თეთრი სახლისა და სომხეთში აშშ-ის საელჩოს ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის მიუხედავად, საჭირო დონეზე ვერ ააფორიაქეს სომეხი საზოგადოება.** ამერიკელები უკმაყოფილებას ვერ მალავენ, აგრეთვე, არტურ საკუნტსის მიმართაც, რომელიც ამ საქმეს კურატორობს, თუმცა სტრატეგიის წარმატებით რეალიზებაზე უარის თქმას არ აპირებენ და, ჰილიარდის სიტყვებიდან გამომდინარე, კიდევ ერთ „ფერად რევოლუციას“ გეგმავენ მეზობელ აზერბაიჯანში, რომელზეც კონტროლის დამყარებით კასპიის ზღვის აუზის დიდი ნაწილი ამერიკული კორპორაციების ხელში გადავა. აზერბაიჯანის ხელისუფლების სათავეში მარიონეტი პოლიტიკოსების დასმის შემდეგ აშშ მშვიდად ყოფნის საშუალებას არ მისცემს არც სომხეთს, არც თურქმენეთს, არც ყაზახეთს, ვიდრე ამ ქვეყნების სათავეში პროამერიკული ადმინისტრაციები არ აღმოჩნდებიან. კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის ხელში ჩაგდებით, თეთრი სახლი შეძლებს, გააკონტროლოს ნავთობპროდუქტების მიწოდების დივერსიფიკაციის პროცესი ევროპის ბაზარზე. მარტივად რომ ვთქვათ, „ყელში წაუჭერს ხელს“ თავის ფორმალურ მოკავშირეს, ამასთანავე, მთავარ ეკონომიკურ კონკურენტს — ევროკავშირს, რომლისთვისაც კასპიის ზღვის აუზის ნავთობი და გაზი ერთადერთი ალტერნატივაა ისეთი არასაიმედო სატრანზიტო გზისა, როგორიც უკრაინაა.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

July 9, 2015

Mr. Artur Sakunts
President
Helsinki Citizens' Assembly Vanadzor Office
59 Tigran Mets st.
Vanadzor, Armenia

Dear Mr. Sakunts,

I write to express my concerns over the significant loss of momentum in Yerevan protests. Despite your assurances regarding the commitment of Armenian civil society to relentlessly defend their interests, the number of protesters is decreasing, strident rhetoric is evolving into a peaceful dialogue with the government, and political demands are being abandoned. Clearly, you have failed to take advantage of the resources provided to you. You have performed poorly, and the overall goal has not been achieved.

Nevertheless, we believe it is unacceptable to cease activity in any of the previously agreed on sectors since it may disrupt events planned for Azerbaijan. You have to make every effort to fuel all forms of the people's protests. The project is a cornerstone of our regional strategy for the near future. Your actions will determine our further cooperation.

Karen R. Hilliard
Mission Director

UNITED STATES AGENCY for INTERNATIONAL DEVELOPMENT / ARMENIA

USAID
1 American Avenue
0082 Yerevan - Armenia

Tel: (37410) 46 47 00
Fax: (37410) 46 47 28

**P.S. 27 ივლისს აქტივისტებმა სამოქალაქო ინიციატივისა „აღსდექ, სომხეთო!“ ვერ შეძლეს ერევნის ცენტრალურ მოედანზე შესვლა და მჯდომარე აქციის დაწყება ელექტროენერგიის გაძვირების საბაბით. ამის უფლება მათ პოლიციელებმა არ მისცეს. მაიდანი არ გამოვიდა.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წასული პრემიერი ამტკიცებს, რომ შეუსრულებელი დაპირებები არ არსებობს და ამ ეტაპზე მისი პოლიტიკაში დაბრუნების აუცილებლობას ვერ ხედავს. ივანიშვილის ამბობს, რომ ამჟამად საქართველოში სახალხო ხელისუფლებაა — ქვეყანას კარგი პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე ჰყავს. და, როგორც ყოველთვის, „კარგზე უკეთესს“ ნატრობს: „ჩვენ უკეთესი მთავრობა გვინდა... გვჭირდება უკეთესი პარლამენტი“. გვჭირდება, რადგან, მისივე სიტყვებით, „ძალიან ბევრი მაჟორიტარი დეპუტატი „იქ მოსაწყენად ზის და არ იცის, რა აკეთოს“.**

# არჩევნები ისევ მოვა, თანაც — ძალიან მალე!

**გასული კვირის განმავლობაში მხოლოდ ძალიან ზარმაცებს არ უქილიკიათ ბიძინა ივანიშვილის „წამოცდენებზე“, „სათადარიგო მოთამაშის“ სტატუსზე და „არარსებულ“ შეუსრულებელ დაპირებებზე. ამოიყარა და დაიყარა სოციალურ ქსელებში სწორედ ის დაპირებები, რომელთა შესრულებაზე ლაპარაკი უკვე სასაცილოც კია.**



2013 წლის ბოლოს ასაშენებელი ყბადაღებული 60 (შემდეგ 100) ქარხნის მისამართების მოპოვებას უშედეგოდ ცდილობენ „ნაციონალები“, თუმცა თავიანთი ლიდერის მიერ ორჯერ და სამჯერ გახსნილ კერძო ობიექტებს არ ახსენებენ. ჩვენც ვეძებთ, მაგრამ ვერ გვიპოვნია.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები 2012 წელს ამომრჩეველს ჰპირდებოდნენ, რომ მომავალი წლის იანვრიდან **„პენსიები გადაისინჯება და საარსებო მინიმუმს გაუტოლდება... მინიმუმი 160 ლარია, მაგრამ გადაიხედება და 220 გახდება“. 220-ლარიანო პენსიონერებო, გამოდით, უნდა დაგთვალოთ!**

„შეუსრულებელი დაპირებები არ არსებობს! მე არ მგონია, რომ ჩვენი დაპირებების რომელიმე ნაწილი არ შევასრულეთ. მრავალჯერ მითქვამს და დღესაც გავიმეორებ, რომ ვიზიარებ ჩემს წილ პასუხისმგებლობას დაპირებებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მე დღეს ხელისუფლებაში არ ვარ. სიამოვნებით ჩავერთვებოდი, თუ გნებავთ, რაღაც კონფერენცია გავაკეთოთ, გნებავთ, მედიასთან, გნებავთ, სპეციალისტებთან ერთად, რომლებიც ექსპერტებს ეძახიან საკუთარ თავს; დავასაბუთოთ, რა ვთქვით, რა დავპირდით და რა არ გავაკეთეთ. დაპირებები რაც იყო, ყველაფერი შესრულდა და სრულდება.“ — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**და იქვე, იმავე ინტერვიუში „ცუდი, უკეთესი, კარგი და ძალიან კარგი წლების“ შესახებ ბრძანა: „მესამე წელი ეკონომიკურ სტაბილურობას რაც შეეხება, მე რაზეც ვსაუბრობდი და რაც მქონდა მხედველობაში, მე რომ ვთქვი, ყველა ჯიბეს დაეტყობა, ეს წამოცდენაა და არ არის გააზრებული“!**

არადა, მისივე თანაგუნდელები 2012 წლის არჩევნებამდე გვიმტკიცებდნენ, რომ გაზის ტარიფი განახევრდებოდა, დენის ტარიფი 8 თეთრამდე დაიწევდა, განათლება გაიაფდებოდა! ერთი დღევანდელი „მეოცნებე“ მინისტრი ამომრჩეველს გონებაჩლუნგი ბავშვებივით მარტივად უხსნიდა: „

ელექტროენერგია ჩვენი მდინარეებიდან ამოღებული დენია. ეს არ არის ნავთობი ან გაზი, რომელიც შემოგვაქვს. მისი ღირებულება 5-6 თეთრია კილოვატსაათზე“.

**სამი წელი გავიდა და დღეს ურცხვად გვიცხადებენ, რომ, თუ ისევ უშუქობაში ჯდომა არ გვინდა, კილოვატზე თითქმის ოთხი თეთრით მეტი უნდა გადავიხადოთ! დენი კი გვაქვს, მაგრამ ბნელა, ბატონებო?**

შორს რომ არ ვიაროთ, მხოლოდ ჩვენი გაზეთის მიერ მოპოვებულ წინასაარჩევნო დაპირებებს შემოგთავაზებთ.

**შალვა მექვაბიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, „ქართული ოცნების“ იმჟამინდელი აქტიური წევრი:**

„დღეს მინიმალური პენსია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩვენსაზე ექვსჯერ მეტია. აფხაზეთში კილოვატსაათი ელექტროენერგია 2 თეთრი ღირს, ანუ დანარჩენ საქართველოზე 11-ჯერ იაფი. იფიქრებს ის, აფხაზი იქნება თუ ოსი, საქართველოში დაბრუნებაზე? — არა. გვყვლეფდნენ: 2-თეთრიან კილოვატსაათს 23 თეთრად ყიდდნენ. უზარმაზარ ზემოგებაზე მუშაობენ „თელასი“ და „ენერგოპრო“, რომლებიც ასპროცენტიანი რუსული კომპანიებია, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ზემოგების მეტი წილი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების ჯიბეებში მიდიოდა.

ახლა უეჭველად გაირკვევა, სად და ვის ჯიბეში ილექებოდა ყოველწლიურად ამ 8 წლის განმავლობაში ის მილიარდობით ზემოგება, რომელსაც ჩვენ, ყველანი, ვიხდიდით, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე“.

## ახლა გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: 2012 წლის არჩევნების წინ რომ გცოდნოდათ, რა ვითარება იქნებოდა დღეს, «ქართულ ოცნებას» ხმას მისცემდით? — დიახ, რადგან «ნაციონალური მოძრაობის» ატანა უკვე შეუძლებელი იყო, მაგრამ «ქართულ ოცნებას» კარგად უნდა ახსოვდეს, რომ არჩევნები ისევ მოვა, თანაც — ძალიან მალე!

**სამი წელი გავიდა, მაგრამ ვერც ის გაირკვა, ვის ჯიბეში ილექებოდა ის მილიარდები და ვერც ის, ახლა ვინ ხეირობს ჩვენი ჯიბიდან უკანასკნელი თეთრების ამოფხეკით! გაიაფების მომლოდინეებს ჯერ ელექტროენერგია გაგვიძვირეს, ზამთრამდე კი, ალბათ, გაზის საფასურსაც გაზრდიან და მერე ჩვენი გაკვირვებით გაბრაზებულები პირში მოგვახლიან: — განა ყველა დაპირება არ შეგისრულეთ?**

არადა, გაზი, ელექტროენერგია, წყალი უნდა გაიაფებულიყო, როგორც გვპირდებოდნენ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ „კარგად ვერ დაუთვლიათ“. „ვერდამთვლელებში“, ალბათ, **შალვა მექვაბიშვილიც** იგულისხმება სხვა ეკონომისტებთან ერთად, რომელთა გათვლები ასე გამოიყურებოდა: „გაზის ტარიფი საქართველოში ბოლო 6 წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა; არადა, უნდა შემცირებულიყო.

**ამუშავდა შაჰდენიზის გაზსადენი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს გაიყვანეს. ვიდრე ეს მოხდებოდა, ერთი კუბური მეტრის ფასი 27 თეთრი იყო, 2006 წლის შემდეგ 34,2 თეთრი გახდა, 2007 წლიდან — 51 თეთრი, ზოგიერთ რეგიონში — 54-55 თეთრი. ამ დროს კი შაჰდენიზიდან გატარებული გაზის 5 პროცენტი სრულიად უფასოდ გვრჩებოდა, რამაც შარშან 300 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, კიდევ 5 პროცენტი ძალიან იაფად — ერთი მილიონი კუბური მეტრი 55 დოლარად გვეძლეოდა, ამას ემატებოდა სომხეთში გატარებული გაზის 10 პროცენტი უფასოდ, რაც დაახლოებით 160 მილიონი კუბური მეტრი იყო წელიწადში.**

ეს უფასო გაზი, რომელსაც ჩვენ სისტემატურად გვიძვირებენ, უზარმაზარ ზემოგებად ილექებოდა იმ ხელისუფალთა პირად ანგარიშებზე, რომლებიც „კორუფციის დამარცხებით“ იწონებდნენ თავს. **ექსპერტების აზრით, გაზის საფასური უნდა განახევრდეს — 30-35 თეთრი უნდა იყოს...**

რა ხდება თბილისში, სადაც მილიონ ორას ათასამდე ადამიანი ცხოვრობს? **ეს ოდენობა წყლის დღევანდელ ტარიფზე (რომელიც ასევე დენზეა მიბმული) რომ გავამრავლოთ, ანუ სულზე 3 ლარსა და 15 თეთრზე, 3 მილიონ 780 ათას ლარს მივიღებთ ერთ თვეში. ეს ოდენობა გავამრავლოთ წელიწადის 12 თვეზე და მივიღებთ 45 მილიონ 400 ათას ლარს...**

უზარმაზარ ზემოგებას ითვისებდნენ ამ საქმეში გასული ოლიგარქები და მათთან ერთად მმართველი ელიტა ეროვნული ბუნებრივი სიმდიდრის ხელში ჩაგდებით. **39 მილიონ ლარს ყოველწლიურად ჯიბეში იდებდნენ ვიგლაცები, რომლებიც კორუფციის დამარცხებაზე გველაპარაკებოდნენ, სინამდვილეში კი ხალხს სისხლს სწოვდნენ. ამ „ვიგლაცებს“, რომლებიც ისედაც ვიცით, ვინც არიან, ახალი ხელისუფლება მშრალზე გამოიყვანს“.**

**თქვენ პირს შაქარი, ბატონო შალვა, მაგრამ, ალბათ, თქვენც გაოცებული ხართ იმით, რომ „მშრალზე გამოყვანის“ მაგივრად, ახალი პრეზიდენტი ძველს ნამუსს სწმენდს, ხოლო მისი ადმინისტრაცია გვამუნათებს, რომ „7 პიჯაკისა და 3 სუშის ქვითრის გამო ყოფილი პრეზიდენტის დევნა არ გამოიყურება სათანადოდ“!**

აბა, მილიარდები მიითვისეს, მაგრამ დაისჯებიანო? ვერა? **პიჯაკები და სუში დაუთვალეთ სააკაშვილს და დანარჩენი დიდსულოვნად აპატიეთ? თანაც ჩვენ ხარჯზე?**

ასე უპასუხა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ყოფილი პრემიერის კრიტიკას. ის კი, თავის მხრივ, მარგველაშვილის მხრიდან სააკაშვილის მუდმივ ქომაგობას იწუნებდა: „როდესაც სააკაშვილზე გამოძიება მიდიოდა პროკურატურაში და მის ხარჯებს უკანონოდ გრიფი საიდუმლო ჰქონდა დადებული, მოხსნა პრეზიდენტის პრეროგატივა იყო. სამჯერ მიმართა პროკურატურამ და სამჯერვე უთხრა უარი. მან კარგად იცოდა, რომ არასწორად იქცეოდა. არც ერთ შემთხვევაში გრიფს არ ხსნიდა და იცავდა სააკაშვილს... გამობრძანდნენ თვითონ, თავისი მხარდამჭერები და გააკრიტიკონ, რომ მე ეს არასწორად მივანიშნე“.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი მარგველაშვილსა და ბიძინა ივაშვილს შორის დაპირისპირების მიზეზები განმარტა. მისი ვერსიით, **ვეტოს დადებაც და საიდუმლო გრიფის მოხსნაც „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებების დაცვით იყო განპირობებული!**

ესეც ასე! ივანიშვილს თვით მის მიერ რუდუნებით შერჩეული და „ბავშვივით ხელით ნატარები“ პრეზიდენტიც შეუსრულებელ დაპირებებს უხსენებს!

ამიტომ არც ის არის გასაკვირი, რომ სოციალურ ქსელებში სერიოზული ეჭვები გაჩნდა; გამოითქვა ვარაუდები, რომ კაკო ბობოხიძის ძმის შეწყალების შემდეგ „დემოკრატია კიდევ უფრო იზეიმებს“ და საახალწლოდ ჩვენი პრეზიდენტი მერაბიშვილს, ახალაიასა და უგულავასაც შეიწყალებს!

აბა, მაშინ ნახეთ გნიასი სამართლიანობის აღდგენის „შესრულებულ“ დაპირებაზე!

რას ამოვიჩემე შალვა მექვაბიშვილი. დარწმუნებული ვარ, ჩვენზე ნაკლებად არ არის გაოცებული იმ რეალობით, რომელშიც ერთად გვიწევს არსებობა, მაგრამ მის შემდეგი ციტატა ზუსტად ასახავს იმ მოლოდინებს, რომლებიც ქართველი საზოგადოების უდიდეს უმრავლესობაში 2012 წელს იყო: „მე მჯერა იმ ადამიანის, რომელმაც 2

▶

## ზაზა პაპუაშვილი — საპარლამენტო უმცირესობაზე: თავ-პირი უნდა უმტვრიო ამათ დღე და ღამე



**„ესენი მართლა უზრდელები, დემაგოგები არიან, გადადიან დაუკრეფავში; მოწმენდილი ციდან გამოიყვანენ რაღაც სიტუაციას. თავ-პირი უნდა უმტვრიო ამათ დღე და ღამე“, — განაცხადა დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა პარლამენტში კომიტეტის სხდომაზე უმცირესობასთან სიტყვიერი დაპირისპირებისას.**

„ყველამ კარგად იცის, რას იტანს ეს პარლამენტი ასეთი ადამიანებისა და დემაგოგებისგან. ხალხიც დაიღალა. თუ არსებობს რამე კითხვები, გაეცით კანონის დონეზე პასუხები. წარმოუდგენელ რაღაცაში გადადის ეს ყველაფერი. ესენი მართლა უზრდელები, დემაგოგები არიან, გადადიან დაუკრეფავში, მოწმენდილი ციდან გამოიყვანენ რაღაც სიტუაციას; თავპირი უნდა უმტვრიო ამათ დღე და ღამე. ბევრ რაღაცაზე კიდევ ვიკავებ თავს და ამას კანონიერად გაეცით პასუხი. დავიღალე ერთი და იგივეთი. ჩვეულებრივად ვიჯექი კომიტეტის სხდომაზე და მოაწყვეს პროვოკაცია. არ მქონდა არანაირი სურვილი მათთან პოლემიკაში შესვლის“, — განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას. ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე უმცირესობასა და უმრავლესობის წევრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. სხდომაზე ვახტანგ გომელაურის კანდიდატურაზე მსჯელობენ.

## სამი წელი გავიდა და დღეს ურცხვად გვიცხადებენ, რომ, თუ ისევ უშუქობაში ჯდომა არ გვინდა, კილოვატზე თითქმის ოთხი თეთრით მეტი უნდა გადავიხადოთ! დენი კი გვაქვს, მაგრამ ბნელა, ბატონებო?

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მილიარდ 800 მილიონზე მეტი თავისი ფული საქართველოს მოახმარა ისე, რომ ამის შესახებ პრაქტიკულად არავინ იცოდა. ბატონმა ბიძინამ უკვე რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ მისი მთავრობის ვერც ერთი მინისტრი, ვერც ერთი თანამდებობის პირი ელიტარულ კორუფციაში ვერ ჩაებმება, ვერ გამდიდრდებიან ბიუჯეტისა და მოსახლეობის ხარჯზე. მე მჯერა, რომ უმკაცრესი კონტროლით იგი ამას გააკეთებს.

ამას გააკეთებს ისე, როგორც თავის დროზე მიაღწიეს ფრანკლინ დელანო რუზველტმა აშშ-ში, ათა თურქმა – თურქეთში, ბენ-გურიონმა – ისრაელში, კონრად ადენაუერმა — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დე გოლმა — საფრანგეთში; უმკაცრესი კონტროლის გზით თითოეულ თეთრზე. ასე თუ მოხდა, საქართველო ორ-სამ წელიწადში სულ სხვა ქვეყანა იქნება".

**ასე უკვე არ მოხდა და არც საიმისო პირი უჩანს, რომ დარჩენილ ერთ წელიწადში მოხდება. სამაგიეროდ, „ნაციონალები" ნავარდობენ თბილისსა და ოდესას შორის, ხოლო ძველი და ახალი პრეზიდენტი სხვადასხვა ფორუმზე „დემოკრატიულ გამოცდილებას" უზიარებენ ერთმანეთს.**

წასული პრემიერი კი ამტკიცებს, რომ შეუსრულებელი დაპირებები არ არსებობს და ამ ეტაპზე მისი პოლიტიკაში დაბრუნების აუცილებლობას ვერ ხედავს. ივანიშვილის ამბობს, რომ ამჟამად საქართველოში სახალხო ხელისფლებაა — ქვეყანას კარგი პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე ჰყავს. და, როგორც ყოველთვის, „კარგზე უკეთესს" ნატრობს: „ჩვენ უკეთესი მთავრობა გვინდა... გვჭირდება უკეთესი პარლამენტი". გვჭირდება, რადგან, მისივე სიტყვებით, „ძალიან ბევრი მაჟორიტარი დეპუტატი „იქ მოსაწყენად ზის და არ იცის, რა აკეთოს".

ჩვენც მაგას ვჩივით, მაგრამ ვინ გვპირდებოდა, რომ „მოწყენილი სახეები იქ არ იქნება"? ბიძინა ივანიშვილს თვითონაც მოსწყინდა გაუთავებელი კრიტიკა და ბოლოს გვითხრა: „თუ გინდათ, მე ვიმართლებ თავს — მეტი ვერ შევძელი".

საინტერესოა, რომ მის მიერ დატოვებულ მთავრობას იგი საკუთარ თავზე უფრო მეტად ზოგავს: „მთავრობა აკეთებს ძალიან მიახლოებულს იმასთან, რაც შეუძლია, შეიძლება ოდნავ მეტსაც ან ოდნავ უარესსაც... ჩვენ — ყველა და მათ შორის ჩვენი ხელისუფლებაც, რეალობიდან გამომდინარე, უნდა შევაფასოთ — რისი გაკეთება შეიძლება და რას აკეთებენ"....

და მაინც, თვითონ აკეთებენ მთავრობის წევრები (ან არ აკეთებენ) თუ მაინც ბიძინა ივანიშვილი აკეთებინებს (ან არ აკეთებინებს)? ყოფილი პრემიერი აცხადებს, რომ „ადამიანი ძალით ვერავის ვერაფერს გააკეთებინებს. ძალით როგორ გააკეთებინებ? საკუთარ შვილს ვერ გააკეთებინებ, ჩემი პატარა – ცოტნე ათი წლისაა და იმას ვერ გააკეთებინებ ძალით ვერაფერს. სხვას როგორ გააკეთებინებ? მე არ მაქვს არანაირი ბერკეტი, ოპოზიცია ხშირად შფოთავს, რომ ივანიშვილი მართავს ხელისუფლებას კულისებიდან და ღარიბაშვილი არის მარიონეტი, შეურაცხმყოფელ სიტყვას იყენებენ, მაგრამ ეს ასე არ არის. მე უნდა მქონდეს ბერკეტი, რომ მოვმართო, მე არ მაქვს არავითარი ბერკეტი, გარდა იმისა, რომ არჩევნებზე მხარი არ დავუჭირო და საჯაროდ წავიდე მის წინააღმდეგ".

ამაზე დიდი ბერკეტი მართლაც რთული მოსაფიქრებელია; **სად იქნებოდნენ დღეს „ქართული ოცნების" ის სახეები (თავდაცვის ძველი და ახალი მინისტრების ჩათვლით), რომ არა ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა; ან ის დეპუტატები, რომლებიც ბორდელსა და იბიარდს ვერ ასხვავებენ, მაპსა და ბისეკზე კი წარმოდგენაც არ აქვთ?**

ივანიშვილი კი კვლავ საყვარელ საქმეს — საზოგადოების მენტალიტეტის კვლევას განაგრძობს: „ჩემს მეტი ვინმე თუ აკეთებს იმის ანალიზს, როგორი მენტალური ცვლილებები ხდება საზოგადოებაში, როგორ იმსხვრევა ის, რაც არ უნდა იყოს; ის, რომ ძალიან ბევრს ისევ ბატონი ენატრება. იმიტომ, რომ ჩვენ ევროპელობას ვიჩემებთ, მაგრამ ჩვენ ბევრი საფეხური კიდევ გასავლელი გვაქვს და მენტალურად ძალიან ბევრი რამე უნდა შევცვალოთ. ეს პრობლემაა, ამის დამსხვრევას დრო სჭირდება".

ჩვენც ვიცით, რომ ქვეყნის პატრონი საზოგადოება უნდა იყოს, მაგრამ, ტრადიციულად, არც ერთი ხელისუფლება, დღევანდელის ჩათვლით, საზოგადოებას ყურს არ უგდებს. ეს თუნდაც ელექტროენერგიის გაძვირების მაგალითზე ჩანს, „აღდგენილ" სამართლიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

**ახლა გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: 2012 წლის არჩევნების წინ რომ გცოდნოდათ, რა ვითარება იქნებოდა დღეს, „ქართულ ოცნებას" ხმას მისცემდით?**

**დიახ, რადგან „ნაციონალური მოძრაობის" ატანა უკვე შეუძლებელი იყო, მაგრამ „ქართულ ოცნებას" კარგად უნდა ახსოვდეს, რომ არჩევნები ისევ მოვა, თანაც — ძალიან მალე!**

**თამარ დავითულიანი**



# ახლაც ნორლანდმა დაგვაძალათ შუბლ(ძ)ა(რღვ)ძის გა(და)წყვეტა?!.

**მართლა კაი ხანი დამჭირდა იმისთვის, რომ ამ სტატიის წერა დამეწყო...**
**რა შეიძლება დაწერო და თქვა, როდესაც გამარჯვებული პოლიტიკური ძალა ფეხებზე იკიდებს იმ ჟურნალისტებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებს, რომლებმაც, ფაქტობრივად, განაპირობეს ამ პოლიტიკური ძალის გამარჯვება, და „პროფესიონალებად" აღიარებს დამარცხებული მეტოქის დაკვეთების უშუალო შემსრულებლებს?!**

## ჩვენ ერთი გუნდი ვართ



## დავაბრუნოთ გურამ დონაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში, ზურაბ ადეიშვილი — იუსტიციაში, მიხეილ სააკაშვილი — ავლაბარში, პინგვინი — ანტარქტიდაზე, ზებრა — აფრიკაში და მოქალაქე ბიძინა — ჭორვილაში!

ვერ გეტყვით მსოფლიოს ახსოვს თუ არა მსგავსი პრეცედენტი...სრული შოკი და გაოგნება! „ოცნების" წარმომადგენელთა უტიფარმა თავის მართლებამ, რომ თურმე მათ „კოჰაბიტაციას" დასავლეთი სთხოვს, უკვე ერთგვარი „ბოროტად გამოყენების" სახე მიიღო.

ამის ბოლო მაგალითია „რუსთავი 2"-ის ყოფილი გენერალური დირექტორის მოადგილისა და „კურიერის", ანუ საინფორმაციო სამსახურის შეფის — ნინო შუბლაძის დანიშვნა ჯანდაცვის მინისტრის მრჩევლად პრესასთან ურთიერთობის საკითხებში.

**პატიოსან ადამიანებს, ანუ მათ, ვისაც არავისზე ნაკლები „კარიერა" არ ელოდა, მაგრამ არ იკადრეს მანიაკურ რეჟიმთან თანამშრომლობა და „ნაციონალების" დემაგოგიის „გაპრავება", მართლა სრული გაოგნება დაეუფლებათ...**

აქ საუბარი არ არის ვინმე „სტაჟორზე".

**აქ საუბარია „სიცრუის მანქანის" გენერალური დირექტორის მოადგილეზე!**

**აქ საუბარია სწორედ იმ ტელეკომპანიაზე, რომელსაც თვითონ ბიძინა ივანიშვილმა უწოდა „სიცრუის მანქანა"!**

არადა, დღეს სწორედ ამ ტელეკომპანიის არაერთი წარმომადგენელი „წარმატებულად" მუშაობს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში ან ხელშეკრულებით ურთიერთობს მათთან.

ამიტომ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით: **საქმე მართლაც სიცრუის მანქანასთან გვაქვს, ოღონდ ბიძინა ივანიშვილის სიცრუის მანქანასთან!**

დავაზუსტოთ: **„რუსთავი 2" ყოფილა პატარა სიცრუის მანქანა იმ გაცილებით დიდ სიცრუის მანქანაში, რომელსაც პირადად ბიძინა ივანიშვილი მართავს. ფაქტია, ივანიშვილს არ აინტერესებს არანაირი ზნეობა და არაფერი მსგავსი!**

**ორმაგი სტანდარტი! შერჩევითი სამართალი! ამორჩევითი ზნეობა! — აი „ოცნების" ხელისუფლებისა და მისი მილიარდერი ლიდერის სავიზიტო ბარათი!**

„როგორ გაბედა, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა „ნაციონალ" აკაკი ბობოხიძის ძმა შეიწყალა?" — წარბშეკრულმა იკითხა „განრისხებულმა" პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა და იქვე ირონიის „ქარ-ცეცხლში" გაატარა, — ეგ, ალბათ, მალე ბაჩო ახალიასა და ვანო მერაბიშვილსაც შეიწყალებსო.

ვთქვათ და, შეიწყალა! მერე? რით იქნება თქვენზე უარესი?

რა, **თუ მერაბიშვილისა და ახალაიას დაკვეთების შემსრულებელ-გამპრავებელი „სიცრუის მანქანის" ერთი-ერთი ხელმძღვანელი შეიძლება მინისტრის მრჩევლად დაინიშნოს, რატომ არ შეიძლება, მისი ყოფილი „შეფები" ციხიდან გამოვიდნენ ან თუნდაც ძველ თანამდებობებზე დაბრუნდნენ?!**

ანუ, რასთან გვაქვს საქმე?

**„ნაცები" ცუდები არიან და „ნაცების" დანაშაულები მიუტევებელია მაშინ, როდესაც ბიძინას სურს!**

**„ნაცები" მაინც ჩვენი თანამოქალაქეები და „პროფესიონალები" არიან მაშინ, როდესაც ეს ასე უნდა ბიძინას!**

თუმცა, რა გინდა, გააწყო საზოგადოებაში, სადაც ასეთ თვალსაზრისსაც ავრცელებენ:

**„რას ერჩით? ნინო შუბლაძე ყოველთვის ახერხებდა, ყოფილიყო გაწონასწორებული..."**

და ამას მოჰყვება ისეთი უნამუსო „გაპრავება", რომ გეგონება, საუბარია ვინმე ცაში მოფარფატე ანგელოზზე და არა იმ „სიცრუის მანქანის" გენერალური დირექტორის მოადგილეზე!

თანაც ეს ადამიანი ამ პოსტს იკავებდა სწორედ მაშინ, როდესაც „ოცნებასა" და „ნაცებს" შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება მიმდინარეობდა...

და **როგორ გგონიათ, იმ სიუჟეტებს, რომლებიც ეთერში გადიოდა და უნამუსოდ „აპრავებდა" ადამიანების წამებას, მკვლელობას, ჩაგვრას, ტერორს, ვინ აძლევდა „ვიზას" ეთერში გასვლაზე? მე ხომ არა?**

ნუთუ **შეიძლება, რომ ჭკუათმყოფელმა ადამიანმა სერიოზულად ამტკიცოს, ტელევიზიის გენერალური დირექტორის მოადგილე არაფერშუაში იყო და ტელევიზიის მიერ წარმოებულ უნამუსო და ამაზრზენ საინფორმაციო პოლიტიკასთანო?**

თურმე შეიძლება!

**როდესაც ბიძინას სურს და, რაც ბიძინას სურს, ყველაფერი შეიძლება!**

**შეიძლება ისიც, რომ დამარცხებული ძალის მსახურ ჟურნალისტებსა და პიარშიკებს უძახო პროფესიონალები და დაასაქმო სახელმწიფო სტრუქტურებში!**

ხოლო ის ჟურნალისტები და პიარის სპეციალისტები, რომლებმაც ისინი დაამარცხეს, მადლობის უთქმელად გაყარო სახლებში და არაპროფესიონალები და სათანდადოდ მოუმზადებელები უწოდო!

უტიფრობის, უზნეობისა და საზოგადოებრივი განწყობების ფეხებზე დაკიდების ასეთი წარმოუდგენელი ფაქტით გაოგნების გამო გამიჭირდა ამ სტატიის წერის დაწყება-მეთქი, — ვთქვი შესავალში.

გაოგნება ისე დიდია, რომ ვერც იმას ვფიქრობ, რით, რა ფრაზით შეიძლება დავასრულო ეს რეპლიკა...

თუმცა ფაქტია — ეს მხოლოდ სახელდახელო რეპლიკაა „ოცნების" ამ უკიდურესად თავხედური საქციელის გამო!

გაზეთის მომავალ ნომერში აუცილებლად შემოგთავაზებთ უფრო ვრცელ პუბლიკაციას ამავე თემაზე და, სავარაუდოდ, იმასაც შევძლებთ, მკითხველს გაცილებით ნათლად დავანახვოთ „ოცნების" ხელისუფალთა უსირცხვილობა და უნამუსობა.

თუმცა დაფიქრებული და ნორმალურად მოაზროვნე მკითხველისთვის ისედაც **ყველაფერი დღესავით ნათელია...**

**ბაკურ სვანიძე**

## «ნაცები» ცუდები არიან და «ნაცების» დანაშაულები მიუტევებელია მაშინ, როდესაც ბიძინას სურს! «ნაცები» მაინც ჩვენი თანამოქალაქეები და «პროფესიონალები» არიან მაშინ, როდესაც ეს ასე უნდა ბიძინას!

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მივუშვათ ეს ამერიკაც და რუსეთიც და დასცენ ჭაბურღილები, სადაც უნდათ; თხარონ, რამდენიც უნდათ; გადაისხან თავზე ეს ნავთი, ცეცხლი, ბენზინი, ჯანდაბა, დურბელა და დოზანა; რამდენსაც იპოვიან, ამოწრუპონ, ამოწრუტონ და გაიტანონ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნიდან მთელი მარაგი; ამოაშრონ საქართველოს მთელი ნავთობი და წიაღისეული და... იქნებ მერე მაინც შეგვეშვან და მოგვცენ საშუალება, ვიცხოვროთ მშვიდად, დამოუკიდებლად, გემრიელად, ჩვენი ღვინითა და პურით, ჩვენი მწვადითა და ხაშლამით, ჩვენი სტუმრითა და მასპინძლით...**

**არა, მართლაც საოცარია, რატომ იზრდება ჩვენს ქვეყანაში ანტიდასავლური და ანტიამერიკული განწყობები. გაგიჟდები პირდაპირ!**
**დასავლელი ლიდერები, ამერიკელი დიპლომატები და სხვები ხომ მხოლოდ მშვიდობისა და ურთიერთგაგებისკენ მოგვიწოდებენ?!**
**არამხოლოდ ამერიკის მოქმედი ელჩი საქართველოში, არამედ იმავე ქვეყნის ყოფილი ელჩიც კი ჯერ უზბეკეთსა და შემდგომ უკრაინაში ჩვენ გვმოძღვრავს და ჭკუას გვარიგებს!**

# უზბეკეთში ამერიკის ნაელჩარი სააკაშვილის რეჟიმის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას და საქართველოს ბუნებრივი რესურსების შეერთებული შტატებისთვის გადაცემას ითხოვს!



## სწორედ ამის გამო იზრდება ანტიდასავლური განწყობა ჩვენს ქვეყანაში

ჩვენ კი, უმადურნი, ვზრდით და ვზრდით ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ განწყობებს ჩვენს ქვეყანაში.

აბა, მოუსმინეთ **ჯონ ედვარდ ჰერბსტს** (აშშ-ის ყოფილი ელჩი ჯერ უზბეკეთში და შემდგომ — უკრაინაში):

**„საქართველოს პრობლემა ის არის, რომ აქ ჯერაც არ გამოსულან პიროვნული დაპირისპირებიდან. ერთი ჯგუფი, ანუ ივანიშვილის ჯგუფი არის დაპირისპირებული მეორე ჯგუფთან, ანუ სააკაშვილის ჯგუფთან და ბევრი რამე კეთდება ამ დაპირისპირების გათვალისწინებით, მის ფონზე. საქართველოსთვის აუცილებელია, ეს დაპირისპირება დაასრულონ და ქვეყნის განვითარებაზე იფიქრონ“** (წყარო აქაც და შემდგომ — ტელეკომპანია „მაესტრო“. 25 ივლისის რუბრიკა „ამერიკის ხმა მაესტროზე“).

აი, ასე ზრუნავენ პატივცემული ამერიკა და ამერიკელები ჩვენზე. ვიმეორებ, არათუ ჩვენი მშობლიური **რიჩარდ ნორლანდი**, რომელიც სექტემბრიდან უნდა დაგვემშვიდობოს და სხვა მისნაირი „მეფისნაცვალი“ დაგვიტოვოს, არამედ აგერ, უზბეკეთში ამერიკის ელჩიც კი, თანაც ყოფილი, საქართველოზე დარდით აღარ არის და ყველაფერს აკეთებს, რომ სასარგებლო რჩევები მოგვცეს, ერთმანეთზე „პიროვნულად“ წაკიდებული ქართველები როგორმე ჭკუაზე მოგვიყვანოს და დაგვამშვიდოს...

მერე რა, თუკი სინამდვილეში მიხეილ სააკაშვილსა და მის მანიაკ „ნაციონალებზე“ ბიძინა ივანიშვილი კი არ არის პიროვნულად წაკიდებული, არამედ მთელი ქართველი ხალხი სავსებით ობიექტურადაა მათ მიმართ უარყოფითად განწყობილი და რეალურად საქმე დამნაშავეებთან, ადამიანების მკვლელებსა და მწამებლებთან გვაქვს.

ეგ არაფერი!

მთავარი ის არის, რომ დასავლეთი და ამერიკა გვეუბნება და გვასწავლის, რა შემთხვევაში ვიცხოვრებთ მშვიდად და არხეინად!

**რა მოხდა, ვიღაცას თუ შევარჩენთ რამდენიმე ათეული უდანაშაულო ადამიანის ქუჩაში ჩახოცვას, რამდენიმე ასეულის ციხეში წამებით მოკვლას, რამდენიმე ათასეულის ლამის დაინვალიდებამდე ცემას და ასი ათასობით ადამიანის უდანაშაულოდ დაპატიმრებას. დიდი ამბავი! რა, განა არ ღირს ეს მომავალში არხეინი ცხოვრების საფასურად?!**

**მაგრამ არა, ჩვენ მაინც ჯიუტები ვართ და კატეგორიულად მოვითხოვთ დამნაშავეთა დასჯას! ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის გამფლანგველთა, სახელმწიფო ფულის პირადი კომფორტისთვის გამომყენებელთა, გადასახადების გადამხდელთა ფულით „ნაშებში მოგულავეთა“ დასჯას!**

რა იყო, თქვე კაი ხალხო, ერთი-ორი, თუნდაც ჰა, ათი და ოცი ბიზნესმენი ვის არ დაურეკეტებია და დაუტერორებია?!

**დაუჯერეთ ამერიკის ყოფილ ელჩს უზბეკეთში, რა როგორ უნდა გაკეთდეს საქართველოში და თქვენი ბედნიერი მომავალიც უზრუნველყოფილი იქნება.**

როგორ და რანაირად? აი, უსმინეთ:

**„მე ვიცი, რომ საქართველოში არის ბუნებრივი რესურსებისა და ნავთობის უზარმაზარი მარაგი. მე ვურჩევ საქართველოს, მოგვცეს საშუალება, მოვიპოვოთ ეს მარაგი და გამოვიყენოთ. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არ იძლევა ფართოდ იმის უფლებას, რომ უცხოურმა კომპანიებმა გააკეთონ ჭაბურღილები და ამოიღონ ეს მარაგი. უნდა მოხდეს ისე, რომ საქართველოს ნავთობისა და ბუნებრივი რესურსების მარაგი იოლი ხელმისაწვდომი იყოს უცხოური კომპანიებისთვის, რათა ის მიმზიდველი გახდეს მათთვის“.**

აჰა, ბატონო!

**რომ დავაჯექით ამ ჩვენს ბუნებრივი რესურსებისა და ნავთობის მარაგს ავი ძაღლებივით და არც ჩვენ ვბურღავთ და არც სხვას ვაბურღვინებთ, რა წესია ეს?**

**არ დამიწყოთ ახლა „გრუზინული“ გამოხდომები და ეჭვიანობა — აიო, თურმე რატომ იცავს ასე თავგამოდებით ამერიკა და დასავლეთი მიშას და მისი მანიაკების ბანდასო. ეს ხელისუფლება ამათ მთლად თავისუფლად არ „აბურღვინებს“ საქართველოს და ის ხელისუფლება კი, რასაც უნდოდათ და სადაც უნდოდათ, იქ გააბურღვინებდაო.** ან, იქნებ, სწორედ ის იცის მიშამ, რა სახის და რა დონის ზიანი მიაყენა უკვე ამერიკამ საქართველოს სასარგებლო წიაღისეულს, სად რა უკადრისი საქციელი ჩაიდინა, სად „გაბურღა“ უკანონოდ და სად მოთხარა ძირფესვიანად ჩვენი ქვეყანა და ახლა სწორედ იმიტომ იქაჩება „მიშასა და ბიძინას შესარიგებლად“ და მერე ხალხისთვის ამ ყველაფრის თავზე მოსახვევად, რომ ემანდ მიშიკო არ გაბრაზდეს, ეს ყველაფერი არ დაფქვას და ამერიკა საბოლოოდ არ შეაძულოს ქართველ ხალხსო!

**ნუ ხართ ასეთი ეჭვიანები ქართველები!**

სჯობს, სიკეთე და გულმოწყალება დაუფასოთ ამ ხალხს!

არ ნახეთ, როგორი შეწუხებული სახით გამოვიდა ბაჩო ახალაიას საკნიდან დასავლეთის კიდევ ერთ-ერთი წარმომადგენელი (გვარი არ მახსოვს და არც მინდა, გავიხსენო) და როგორ გულაჩუყებულმა თქვა:

„როგორც შევამჩნიე, ბაჩო ახალაია არც ისე კარგად გრძნობს თავს ჯანმრთელობის მხრივ“-ო.

ჰო, ღიპი დაუგდია ცოტა, შეფერთხილა და პატარა ფალარათიც აწუხებს თურმე ადამიანს.

ჩვენ კი აქ ვდგავართ და რაღაც ჭაბურღილებსა და წიაღისეულებზე გაგვიმართავს ერთი ამბავი!

წყალს წაუღია ყველა ჭაბურღილი, თუკი ადამიანს, მის უფლებებს და მის ჯანმრთელობას არ მივხედეთ!

**სად იყო ეგ ვიღაც დასავლელი, როდესაც ციხეებში, „არც ისე კარგად“ გრძნობდნენ თავს კი არა, ასობით პატიმარს აწამებდნენ და არაადამიანურად ექცეოდნენ?**

მაშინ რატომ არ ამოიღო ხმა?

კარგი რა! ისევ დაიწყეთ? ნუ იცით ქართველებმა წვრილმანებზე გამოდევნება. ნუ ჩარჩებით ხოლმე წარსულში! მომავალს მიხედეთ და შეასრულეთ ყველაფერი, რასაც ეს კეთილი და პატიოსანი ხალხი გვარიგებს და გვირჩევს.

უსმინეთ ისევ ამერიკის ყოფილ ელჩს უზბეკეთში:

**„ეს ორი მთავარი ჯგუფი, ივანიშვილისა და სააკაშვილის, უნდა შეთანხმდნენ და ერთად განაგრძონ საქართველოს მართვა“.**

ხედავთ თქვენა?

უბრალოდ, ჯგუფიო კი არა, „მთავარი“ ჯგუფიო!

აქ არ გამოგვადგება დოდო აბაშიძის ინტონაცია კინოფილმიდან „რაჭა ჩემო სიყვარულო“.

**„გეკითხები და მიპასუხე: რატომ უწოდებ „ნაციონალებს“ მთავარ ჯგუფს?!“**

არა, ასე ნუ ჩავაცივდებით ბატონ ყოფილ ელჩს (თანაც სხვა ქვეყანაში), რადგან, საზოგადოდ, ამერიკელი დიპლომატებისთვის შეკითხვების ამ ტონით დასმა (ისევ და ისევ დოდო აბაშიძეს დავესესხოთ) მოგვჭრის თავს შუაგულ ევროპაში!

მეტიც, ისევ და ისევ „რუსულ პროპაგანდაში“ დაგვდებენ ბრალს!

აბა, როგორ! **თუკი უზბეკეთში ამერიკის ყოფილი ელჩი არ მოგვწონს, ბაჩო ახალაიასთან საკანში შევარდნილი და იქიდან მწუხარე სახით გამოვარდნილი დასავლელი არ მოგვწონს, ესე იგი, ვინ მოგვწონს? ვინა და — პუტინი!**

და ჩვენ ამით ვაღვივებთ რუსულ პროპაგანდას საქართველოში!

**აი, სწორედ ამის გამო იზრდება ანტიდასავლური განწყობა ჩვენს ქვეყანაში და არა სხვა ქვეყნებში მივლენილი ამერიკელი დიპლომატების ჩვენი ქვეყნის შესახებ სრულიად მიუღებელი და შეურაცხმყოფელი ტლიკინის გამო!**

ჰოდა, ამიტომ სჯობს, ჭკუით ვიყოთ!

დავუჯეროთ, რასაც დასავლეთი გვეუბნება.

მივაქციოთ ყურადღება იმ კაცს — იქნებ მართლა აწუხებს ფაღარათი ან იქნებ მართლაც ცოტა უგუნებოდაა?

სირცხვილი არ არის, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ცივილიზებულობაზე პრეტენზიის მქონე ქვეყანას პატიმარი ფაღარათით ან მით უფრო — უგუნებობით მოუკვდეს?

თუმცა დამაიმედებელი ნიშნები მაინც შეინიშნება, რა თქმა უნდა, ჩვენი ღრმად ლიბერალი და ძალიან „პრადვინუტი“ პრეზიდენტისგან! მაგალითად, **როგორც კი აშშ-ის ყოფილმა ელჩმა უზბეკეთში ზემოხსენებული განცხადებები გააკეთა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, კერძოდ კი მისმა პრესსამსახურმა, მეორე დღესვე განაცხადა:**

**„7 პიჯაკისა და სუშის 3 ქვითრის გამო ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის დევნა არ არის კარგი საქციელი!“**

აჰა, მგონი, ავუწყვეთ ფეხი ამერიკას და ევროპას და ეგაა!

ისე, მთელი ეს ირონია იქით იყოს და ერთი კარგი იდეა მაქვს:

მართლაც რომ მივუშვათ ეს ამერიკაც და რუსეთიც და დასცენ ჭაბურღილები, სადაც უნდათ; თხარონ, რამდენიც უნდათ; გადაისხან თავზე ეს ნავთი, ცეცხლი, ბენზინი, ჯანდაბა, დურბელა და დოზანა; რამდენსაც იპოვიან, ამოწრუპონ, ამოწრუტონ და გაიტანონ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნიდან მთელი მარაგი; ამოაშრონ საქართველოს მთელი ნავთობი და წიაღისეული და... **იქნებ მერე მაინც შეგვეშვან და მოგვცენ საშუალება, ვიცხოვროთ მშვიდად, დამოუკიდებლად, გემრიელად, ჩვენი ღვინითა და პურით, ჩვენი მწვადითა და ხაშლამით, ჩვენი სტუმრითა და მასპინძლით...**

ჰა, რას იტყვით, არ ვამბობ მართალს?

**ბაკურ სვანიძე**

**რომ დავაჯექით ამ ჩვენს ბუნებრივი რესურსებისა და ნავთობის მარაგს ავი ძაღლებივით და არც ჩვენ ვბურღავთ და არც სხვას ვაბურღვინებთ, რა წესია ეს? არ დამიწყოთ ახლა «გრუზინული» გამოხდომები და ეჭვიანობა — აიო, თურმე, რატომ იცავს ასე თავგამოდებით ამერიკა და დასავლეთი მიშას და მისი მანიაკების ბანდასო. ეს ხელისუფლება ამათ მთლად თავისუფლად არ «აბურღვინებს» საქართველოს და ის ხელისუფლება კი, რასაც უნდოდათ და სადაც უნდოდათ, იქ გააბურღვინებდაო**

„ყველა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა შეკრიბო და წყალს გაატანო, არც ერთი რომ არ გადარჩეს. ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების მასონური ორგანიზაციების აგენტურა. ზუსტად ამათი ალაგმვით უნდა დაიწყოს საქართველოს გათავისუფლება ბნელი ძალებისგან და დარწმუნებული ვარ, მერე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რატომ იზრდება საქართველოში ანტიდასავლური განწყობა?»

**ბოლო ხანს ქართველ საზოგადოებაში ანტიდასავლური, განსაკუთრებით — ანტიამერიკული, განწყობა ისე მომძლავრდა, რომ დასავლეთის მიერ ხელდასხმულ გრანტნაწოვ ენჯეოებს ერთი ადგილის ჟიმჟიმი აქვთ, — „ღრუზინები“ ბნელ წარსულში გვაბრუნებენო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მავანი უკვე შავ სიებზე ალაპარაკდა და რუსეთთან ურთიერთობების რეგულირების მომხრე ორგანიზაციების კანონით აკრძალვას ითხოვს. ამას წინათ ერთ-ერთმა მედასავლეთე ფსევდოჟურნალისტმა ლაშა ტუღუშმა ასეთი ინიციატივაც წამოაყენა: რუსული არხები საზოგადოებას წამლავს, ისინი ეწევიან სიძულვილის, ომის, ძალადობის პროპაგანდას და ეს არხები საქართველოში საერთოდ უნდა ავკრძალოთო. ეგ იყო და დანარჩენი „ლიბერასტებიც“ მარტის კატებივით აკნავლდნენ, — სასწრაფოდ ამოვქოლოთ რუსული „პროპაგანდა“ საქართველოში, თორემ ქართულ დემოკრატიას შავი დღე ადგას, ევროკავშირი თუ ნატო სათოფეზე არ გაგვიკარებსო.**



გივი სიხარულიძე:

## დღევანდელ პარლამენტში 90 პროცენტი მოღალატეა, ხოლო მთავრობაში — 99

ტუღუშმა და მისმა სულიერმა დებმა თუ ძმებმა შესანიშნავად იციან, რომ საქართველოში ანტიდასავლური განწყობის ზრდის მიზეზი არა რუსეთი და რუსული პროპაგანდა, არა კრემლის გავლენა, არამედ ის გაუგონარი გარყვნილებაა, რომელიც ამერიკამ ნორმად გამოაცხადა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად აღიარა. ცხადია, მათ იციან, რომ, ვიდრე საქართველო და ქართველი ხალხი სიმართლეს ისმენს დასავლურ „დემოკრატიაზე“, ევროპასთან დაახლოება არც ერთ საღად მოაზროვნე მოქალაქეს არ მოუნდება. ზუსტად ამ პოზიციიდან ამბობს ოცდაათ გრანტზე გაყიდული ტუღუში, — რუსული არხები უნდა ავკრძალოთო, და არა იმის გამო, რომ საქართველოს მომავალზე ფიქრით ღამეები არ სძინავს. ისე, იმაზე მეტი დაცინვა რა უნდა იყოს, როცა ტუღუშისნაირი „დატრენინგებული“ მედროვე გვიწყვეტს, რას უნდა ვუყუროთ და რას — არა. საზოგადოების ამაზე მეტი აბუჩად აგდება, ალბათ, წარმოუდგენელია, თუმცა ნათქვამია, როგორიც ერი, ისეთი ბერიო, — მოსახლეობა არ ეწინააღმდეგება ამგვარი სიმბიოზების არსებობას და პარაზიტებიც მრავლდებიან. ასე რომ არ იყოს, ტუღუშები და სხვა მსგავსი მეხუთეკოლონელი ფარსადანები არათუ იმის თქმას გაბედავდნენ, საზოგადოებას ინფორმაციის თავისუფლება უნდა შევუზღუდოთ და მხოლოდ „ლიბერასტული“ პროპაგანდით უნდა ვკვებოთო, არამედ სოროდან ცხვირს ვერ გამოყოფდნენ.

**კონკრეტულად რით არის განპირობებული საქართველოში ანტიდასავლური განწყობის მომძლავრება და ადეკვატურია თუ არა სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეაქცია ამ პროცესზე?**

**„საქართველო და მსოფლიო“ მწერალსა და მსახიობს გივი სიხარულიძეს დაუკავშირდა და აღნიშნულ საკითხზე აზრის გამოთქმა სთხოვა.**

**— ბატონო გივი, ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემებით, ცხადია, რომ მოსახლეობაში სულ უფრო მატულობს სკეპტიკური განწყობა დასავლეთისადმი. ამას ყველა თავისებურად ხსნის, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი?**

— როგორ არის, იცით, როდესაც მშობელი დედა ბავშვს ზრდის და ძუძუს აწოვებს, მერე ხომ არ ამადლის, — მე შენ ასე გივლიდი, ისე გივლიდიო? ჩვენ, იცით, რას გვიშვრებიან ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები? პირდაპირ გვეუბნებიან: მიგიღებთ ნატოში, მაგრამ ორასი წლის შემდეგ, თუ თქვენთან, სახელმწიფოში, კაცი კაცს მოიყვანს ცოლად და ქალი ქალზე გათხოვდებაო. მე კი ვამბობ: **წყეულიმც იყოს ის სულხან-საბას, შოთა რუსთაველის, გრიგოლ რობაქიძისა და ილია ჭავჭავაძის საქართველო, რომელიც ევროკავშირის წევრობას სოდომური ცოდვის დაკანონებითა და აღვირახსნილობის, გარყვნილების დამკვიდრებით მიაღწევს! წყეულიმც იყოს ის საქართველო და ქართველი ხალხი, რომელიც ამას დაუშვებს და გარე ძალების მიერ ნაკარნახევ უზედურებას უჩუმრად მიიღებს!** ახლა ვისაც რა უნდა, ის თქვას, და როგორც სურს, ისე გაიგოს ჩემი ნათქვამი, არ მაინტერესებს ვიღაც ვაიუფლებადამცველთა აზრები და შეფასებები...

**— პროდასავლური იდეოლოგიის ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ საქართველოში რუსული არხები უნდა აიკრძალოს. მათი აზრით, ეს შეამცირებს საზოგადოებაში ანტიდასავლურ განწყობას. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— მე რომ მკითხოთ, რუსული არხები რაც შეიძლება მეტი უნდა იყოს და გეტყვით, რატომ: სიმართლე გითხრათ, პოლიტიკისა არაფერი მწამს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც პუტინმა განაცხადა, არ დავუშვებ ჩემს ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმს, კაცის კაცზე გათხოვებას და ქალის — ქალზეო, მისდამი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, სიმპათია გამიჩნდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა პრემიერმაც იგივე გაიმეორა. ღარიბაშვილი ოჯახის შვილია, პატიოსანი ცოლი ჰყავს და მან უთხრა სრულიად საქართველოს, მე ვიცავ ოჯახის სიწმინდეს და ჩემთვის მთავარი ეს არისო. **რაც შეეხება იმ ე.წ. ლიბერალებს, რომლებსაც ასე ძალიან შესტკივათ გული ადამიანის უფლებებზე, თუ მათ დისკომფორტს უქმნით ის აზრი, რომ საზოგადოება უნდა იყოს ძლიერი და ჯანსაღი, თუ დისკომფორტს უქმნით ის, რომ სახელმწიფო უნდა იდგეს ტრადიციულ, წმინდა, ღირსეულ ოჯახზე, შეუძლიათ, აიბარგონ და წავიდნენ იქ, სადაც, მათი აზრით, უკეთ იგრძნობენ თავს.** აქ ნამდვილად ვერ იქნებიან დაცული იმიტომ, რომ ქართველი კაცი არასოდეს დაუშვებს სოდომური ცოდვის დაკანონებას, ქართველი ხალხი ამას არ შეეგუება და ტყუილად ნუ გაირჯებიან...

**— პრემიერის განცხადება ახსენეთ და ამ განცხადების გამო მას არასამთავრობო ორგანიზაციების მწვავე კრიტიკა დაატყდა თავს...**

— მე თუ მკითხავთ, **ყველა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა შეკრიბო და წყალს გაატანო, არც ერთი რომ არ გადარჩეს.** ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების მასონური ორგანიზაციების აგენტურა. ზუსტად ამათი ალაგმვით უნდა დაიწყოს საქართველოს გათავისუფლება ბნელი ძალებისგან და, დარწმუნებული ვარ, მერე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება... ან ეს ვაიმწერლები რომ ავიღოთ — **ბურჭულაძე,** თავის დედაზე რომ გაიძახის, მაგზნებსო, ან **ქარუმიძეები, ბუღაძეები** და სხვები... ესენი არიან ერის დამღუპველები, სწორედ ესენი ხრწნიან საზოგადოებას...

**— ვთქვათ, საქართველომ უარი თქვა იმ დირექტივების შესრულებაზე, რომლებსაც დასავლეთი გვიგზავნის ევროინტეგრაციის სანაცვლოდ და რომლებიც ქვეყნის საგარეო კურსის ფუნდამენტურ ცვლილებას გამოიწვევს. არის კი დღეს საქართველო ამისთვის მზად?**

— ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ დიდწილად მუსლიმანური სახელმწიფოებისა და ერების რკალში ვართ მოქცეული, ამიტომ ვფიქრობ, რომ **დღეს საქართველოს აქვს ერთადერთი გზა — ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენს მოძმე ქრისტიანულ რუსეთთან დავამყაროთ ძმური ურთიერთობა, მეგობრული და არა — ვასალური, მაგრამ ამას სჭირდება პოლიტიკოსის ჭკუა.**

**— ხედავთ ასეთ პოლიტიკოსებს?**

— სამწუხაროდ, ჩვენ დღეს პოლიტიკოსი არ გვყავს, ჩვენ გვყავს სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ მოსყიდული პოლიტიკანები; ისინი არიან სამშობლოს გამყიდველები, ძალაუფლებას დახამებული მედროვეები, რომელთათვისაც სულერთია, როგორ იქნება სახელმწიფოც და ხალხიც. ამათ ხელში, ცხადია, ვერაფრის იმედი ვერ გვექნება, ამათ ხელში, რაც გვაქვს, ისიც შეიძლება დავკარგოთ.

**— ამ განცხადებების გამო რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება რუსეთის აგენტობა დაგწამოთ.**

— ჰოდა, მაგათ გასაგონად ვამბობ: **აგენტებიც არიან, პედარასტებიც და ჩათლახებიც!**

ასე დაწერეთ პირდაპირ. არავისი მეშინია და რადაც უნდათ, შემრაცხონ. მე რუსი ხალხი მიყვარს. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ გონს უნდა მოვეგოთ და ნორმალურად მოვექცეთ რუსეთს. ეს არის პოლიტიკა და არა ის, რომ გიჟმა სააკაშვილმა ცხინვალში ტანკები შეაგრიალა. მერე რაც მივიღეთ, ყველამ ვნახეთ, ასე რომ, ჩვენ გიჟების ჭკუაზე ვერ ვივლით. რამე რომ მოხდეს, ყველა თავის კაბინეტში შეიყუჟება და იქიდან შეშფოთდება. ეს არის მათი დახმარება, როცა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით. ეს არასამთავრობოები კიდევ, ასე ძალიან რომ გვაპირისპირებენ რუსებს და ცეცხლზე ნავთს ასხამენ, დაჰკრავენ ფეხს და თავიანთ დასავლელ მამა-მარჩენლებთან გაიქცევიან.

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთთან ნორმალური, ძმური ურთიერთობა არსებული ხელისუფლების პირობებში შესაძლებელია?**

— ჩვენი ხელისუფლება ძალიან უსუსური და უგერგილოა, პარლამენტი კიდევ — მოღალატე. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ და პირდაპირ ასე დაწერეთ: ამჟამინდელ პარლამენტში 90 პროცენტი მოღალატეა, ხოლო მთავრობაში — 99. ერთადერთი იმის **იმედი მაქვს, რომ ღარიბაშვილი თავის სიტყვას ბოლომდე გაიტანს და არ დაუშვებს ქვეყანაში გარედან მოხვეული გარყვნილების დამკვიდრებას;** კიდევ — საზოგადოების იმედი მაქვს. მართალია, ბოლო ხანს ჩვენი საზოგადოება მნიშვნელოვნად შეიცვალა და სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმის დამანგრეველმა რეფორმებმა ხალხის ცნობიერებაზე დიდი გავლენა მოახდინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ქართველები ვართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერანაირი პროპაგანდა, ვერანაირი მეხუთე კოლონა და მათი მუხლჩაუხრელი მუშაობა ქართულ ცნობიერებას ვერ შეცვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი საქმე ამთავითვე განწირულია და, რაც უნდა მილიონები ხარჯონ ამერიკის მასონურმა ძალებმა, რაც მათ უნდათ და რაზეც ოცნებობენ, საქართველოში ვერასოდეს ეღირსებიან...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«დღეს საქართველოს აქვს ერთადერთი გზა — ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენს მოძმე, ქრისტიანულ რუსეთთან დავამყაროთ ძმური ურთიერთობა; მეგობრული და არა — ვასალური»**

**P.S. ამას წინათ პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ოქროს საწმისის ორდენზე წარადგინა. იმავე დღეს პრემიერი საელჩოში ეწვია ნორლანდს და ჟურნალისტებთან საუბარში ასეთი სიტყვებით შეამკო: „ეს ადამიანი წარმოუდგენლად დიდ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს საქართველოსთვის“. შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული ორდენით ჯილდოვდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სახელმწიფოს აღმშენებლობაში, მისი ეროვნული ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში.**

**რაც შეეხება ნორლანდს, ეს ის ამერიკელი ემისარია, რომლის წყალობითაც სააკაშვილი და მისი კრიმინალური ბანდა დღემდე ხელუხლებელი დადის, ეს ის ამერიკელი ემისარია, რომლის წყალობითაც ე.წ. არასამთავრობო სექტორი ქვეყნის ფაქტობრივი მმართველია და ხელისუფლებას (და თვით ხელისუფლების პოლიტიკურ გარანტორ ბიძინა ივანიშვილსაც) შიშის ზარს სცემს; ანუ ნორლანდი ის კაცია, რომლის ხელითაც ვაშინგტონი დასავლურ სოდომსა და გომორში მიერეკება საქართველოს; ნორლანდი ის კაცია, რომელმაც ხელისუფლება რესპუბლიკელებს ჩააბარა, „ქოცებს“ „ნაციონალებზე“ ჯვარი დასწერა და ქვეყანა არნახულ კოაბიტაციას აზიარა...**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რუსეთის ვექტორი დღეს პოპულარული არ არის. ადამიანები, რომლებიც ქვეყნის საკეთილდღეოდ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაზე ლაპარაკობენ, ამას თავისი კარიერის რისკის ფასად აკეთებენ, რადგანაც მყისიერად იწყება მუშაობა მათი მარგინალიზაციისთვის. ისინი სანაცვლოდ მატერიალურ დივიდენდებს არ იღებენ, განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომლებიც მხოლოდ პროდასავლურ ვექტორზე აპელირებენ“.



თამარ კიკნაძე:

# სალი აზრი ანტირუსული ისტერიის შეწყვეტასა და კონსტრუქციული პოლიტიკის წარმოებაშია

**გასული კვირა დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარის — დავით უსუფაშვილის საინტერესო განცხადებით, რომლითაც აღიარა, რომ ნატო აბაშიძე-კარასინის შეხვედრების მომხრეა: „ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც მეკითხებოდნენ, იყო ის, ხომ არ აპირებს საქართველოს მთავრობა აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაუქმებას. მათ ესმით ასეთი განცხადებები ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან და თვლიან, რომ, თუ ეს ასე გაკეთდება და მთავრობა გაწყვეტს ამ ძალიან მცირე, არცთუ ეფექტიან, მაგრამ აუცილებელ ხაზებს რუსეთთან ურთიერთობის, მაშინ ჩვენი საქმე გართულდება ნატოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რადგან საქართველოსთვის მაპ-ის მოცემა, საქართველოს შესვლა ნატოში არ არის გააზრებული და მონდომებული ნატოს წევრი სახელმწიფოების მხრიდან იმისთვის, რომ ხვალ ახალ კონფლიქტში შევიდნენ რუსეთთან. ნატო არ ეძებს რუსეთთან კონფლიქტში შესვლის ახალ მიზეზსა და საბაბს“, — განაცხადა უსუფაშვილმა.**
**ევროპა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ურჩევს ხელისუფლებას და ეს არახალია. დადგა თუ არა დრო, რომ რეალური ნაბიჯები გადაიდგას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

**— კვირა საინტერესო ინფორმაციით დაიწყო, რომელიც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ მოგვაწოდა. თურმე ნატოში ამბობენ, რომ აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატის შეწყვეტა მაპის მიღების პროცესს შეაფერხებს.**

— **სამწუხაროა, როდესაც ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯს თვითონ კი არ დგამ, არამედ სხვისი კარნახით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებ.** ყველამ კარგად იცის, მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს. საქართველო პატარა ქვეყანაა. მას ძალისმიერი გზით პრობლემის გადაჭრა არ ძალუძს. ნებისმიერი პროვოკაცია კი შეიძლება ქვეყნისთვის სავალალოდ დასრულდეს. **საქართველოს გამო რუსეთთან საომარ მოქმედებებში ჩაბმას არავინ მოინდომებს.**

ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში შეიძლება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული ეთნოკონფლიქტები გააქტიურდეს, რაც იმის ნიშნავს, რომ პროვოკაციები იგეგმება. ახლახან ჩვენთან ატეხილი ე.წ. სასაზღვრო ხმაურიც ამ გეგმის ნაწილი იყო.

**— აბაშიძე და კარასინი სავაჭრო ურთიერთობებს განიხილავენ. ეს შეხვედრები პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნის. თუ საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ შეხვედრების ფორმატი გაფართოვდეს, ამას ევროპა მხარს დაუჭერს? ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ევროპა, რასაც ხმამაღლა ამბობს, შემდეგ კულუარებში ამ ნათქვამის შესრულებას უკრძალავს საქართველოს ხელისუფლებას.**

— ევროპელებს სიტუაციის გართულება ხელს არ აძლევთ. ეს ასეც რომ არ იყოს, საჭიროა მუშაობა ყველა მხარესთან, საკუთარი და არა სხვისი ინტერესების შესაბამისად მოქმედება, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა. დიპლომატიური მუშაობა ყველა ქვეყანასთან საჭიროა. მოსაძებნია ის მატრიცა, რომელიც ჩვენ გვაძლევს ხელს და ყველა მხარეს დააკმაყოფილებს, მაგრამ ამას სიბრძნე, პროფესიონალიზმი, გამოცდილება და პოლიტიკის კეთების ცოდნა სჭირდება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ საქართველომ თავის სასიკეთო ნაბიჯები გადაადგმევინოს პარტნიორებს.

**რუსეთმა სააკაშვილის წყალობით ყველაფერი მიიღო, რაც სურდა. ჩვენ ვართ რთულ მდგომარეობაში და ამიტომაც უფრო აქტიურები უნდა ვიყოთ. დრო ჩვენ სასარგებლოდ არ მუშაობს. თაობა იცვლება და ახალგაზრდებს არც კი უნახავთ აფხაზეთი, შესაბამისად, ეს ტკივილიც ნელდება, დევნილები გაიბნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, ბევრი მათგანი ქვეყნიდანაც გავიდა.** მალე მოსახლეობისთვის, რომელიც ყოველდღიური სარჩო-საბადებლის მოპოვებით არის დაკავებული, დაკარგული ტერიტორიები აქტუალური აღარ იქნება. ამას სოციოლიგიური კვლევებიც ადასტურებს. ასე მოხდა კვიპროსშიც. **2004 წელს კუნძულის ბერძნულმა ნაწილმა, რომელიც ევროკავშირში შევიდა, უარი თქვა გაერთიანებაზე და თურქული ნაწილი ევროკავშირის მიღმა დარჩა, კვიპროსი კი ორად გაიხლიჩა.**

რუსეთთან კომუნიკაცია აუცილებელია. ნახეთ, რა დაძაბული ურთიერთობაა რუსეთსა და ამერიკას შორის. მიუხედავად ამისა, მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ წყდება – პრეზიდენტები ტელეფონით უკავშირდებიან ერთმანეთს, საგარეო საქმეთა მინისტრები კი თითქმის მუდმივ კავშირში იმყოფებიან. კომუნიკაციას ალტერნატივა არ აქვს.

**— ხშირად ვახსენებთ მეხუთე კოლონას. ვინ არიან ისინი? ზოგი ამ სახელს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მომხრე ადამიანებს უწოდებს.**

— **მეხუთე კოლონაა „ნაციონალური მოძრაობა“, ზოგიერთი სხვა პოლიტიკური პარტია, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და მასმედიის ნაწილი.** პოლიტილოგიასა და სოციოლოგიაში არსებობს ასეთი ცნება — გავლენის აგენტი. ეს აგენტები მოსახლეობაში გარკვეული ღირებულებების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ასეთი აგენტებია: საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მასმედია, პოლიტიკური პარტიები, რელიგია და სხვ. დღეს ყველა ეს გავლენის აგენტი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საეჭვო ღირებულებებს უყალიბებს ადამიანებს, ეს ტექნოლგიების შემადგენელი ნაწილია. ანტირუსული პროპაგანდაც ტენოლოგიაა.

**— ქვეყანაში არიან დიპლომატები და პოლიტოლოგები, რომლებიც ხშირად საუბრობენ, რომ, თუ მთავრობა ვერ ახერხებს საერთაშორისო კონიუნქტურის გამო რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას, მაშინ ლეგიტიმაცია ოპოზიციას უნდა მისცეს და მთავრობის სახელით ალაპარაკოსო. ასეთი მიდგომა მართებული იქნება?**

— პოლიტიკაში ყველაფერია შესაძლებელი. პოლიტიკა ხომ შესაძლებლობების ხელოვნებაა. საჭიროა, მივიდეთ საღ აზრამდე. **სალი აზრი ანტირუსული ისტერიის შეწყვეტასა და კონსტრუქციული პოლიტიკის წარმოებაშია. არ შეიძლება ფაშისტური ელფერის მქონე გადაცემების ტირაჟირება, სადაც ადამიანების ავკარგიანობა ეროვნების მიხედვით განისაზღვრება და ჟურნალისტები იმას ამტკიცებენ, რომ ყველა რუსი ცუდია და ყველა უბედურების მიზეზი მხოლოდ რუსეთია. ასევე, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყველა ამერიკელი ან ევროპელი ცუდია.** რუსეთი უდიდესი მეზობელია და მას ვერავინ შეგვიცვლის, რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და იქიდან არჩენს ოჯახს.

**«უნდა დასრულდეს უცოდინარი და მხოლოდ თავიანთი პრობლემებით დაკავებული დეპუტატების ყოფნა პარლამენტში, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში არავითარ სასარგებლო საქმიანობას არ ეწევიან. ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია, ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საკანონმდებლო ორგანო ჩვენთვის სასარგებლო კანონებს იღებს»**

**— წინა ხელისუფლების პოზიცია რუსეთის მიმართ გასაგები იყო... ახალი ხელისუფლება, ერთი შეხედვით, თითქოს ცდილობს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობების მოგვარებას, მაგრამ ამას გაუბედავად აკეთებს... პარალელურად ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნიან — ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს საწვრთნელი ბაზების განლაგებითა და ნატოში შესვლის რიტორიკით არიან დაკავებულნი.**

— ამჟამინდელ ხელისუფლებას ხელს უშლის საერთაშორისო კონიუნქტურა; წინა ხელისუფლებების დამსახურებით, მოქმედების არეალი შეზღუდულია, მაგრამ საკუთარი ინტერესების დაცვა აუცილებელია. ამის კარგი მაგალითია სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს ორი ქვეყანა ახერხებს დასავლეთთანაც და რუსეთთანაც ურთიერთობის მოგვარებას. ახალ ხელისუფლებას უფრო აქტიური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მართებს. დაველოდოთ, რას მოიმოქმედებენ.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი, მაგრამ საერთაშორისო კონიუნქტურის გამო, ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. გვაქვს კადრებისა და მეხუთე კოლონის სერიოზული პრობლემა.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, შეიძლება თუ არა ოპოზიციამ ილაპარაკოს რუსეთთან, რატომაც არა, თუ ეს ქვეყანას წაადგება.

**რუსეთის ვექტორი დღეს პოპულარული არ არის. ადამიანები, რომლებიც ქვეყნის საკეთილდღეოდ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაზე ლაპარაკობენ, ამას თავისი კარიერის რისკის ფასად აკეთებენ, რადგანაც მყისიერად იწყება მუშაობა მათი მარგინალიზაციისთვის. ისინი ამისთვის მატერიალურ დივიდენდებს არ იღებენ, განსხვავებით იმ ადამიანებისაგან, რომლებიც მხოლოდ პროდასავლურ ვექტორზე აპელირებენ. სამშობლოს კეთილდღეობისთვის დიდი ვაჟკაცობა და გამბედაობაა საჭირო.**

ჩვენი საშინაო პრობლემების უდიდესი ნაწილი საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომებით არის გამოწვეული. მივესალმები სარბიელზე საღად მოაზროვნე ადამიანების გამოსვლას, რომლებიც დაუფარავად გამოხატავენ თავიანთ აზრს პრაგმატული პოლიტიკის წარმოების შესახებ.

**— ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ჩანს, გამოიღვიძა და აღმოაჩინა, რომ ქვეყანაში არც პარლამენტი გვივარგა და არც ხელისუფლება. რა მოხდება მომავალ არჩევნებზე?**

— რა მოხდება, არ ვიცი, მაგრამ **უნდა დასრულდეს უცოდინარი და მხოლოდ თავისი პრობლემებით დაკავებული დეპუტატების ყოფნა პარლამენტში, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში არავითარ სასარგებლო საქმიანობას არ ეწევიან. ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია, ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საკანონმდებლო ორგანო ჩვენთვის სასარგებლო კანონებს იღებს.** განუწყვეტლივ აპელირებენ, კანონმა დასავლეთში გაიარა ექსპერტიზა და სრულყოფილიაო, სინამდვილეში კი მთელი რიგი ხარვეზებით არის სავსე. მაგალითად, ამბობენ, კონსტიტუცია ვენეციის კომისიის მოწონებულიაო. მე ერთი რიგითი პროფესორი ვარ და მეც კი ვხედავ, რომ კონსტიტუციაში ელემენტარულად არ არის დაცული ხელისუფლების შტოებს შორის ლეგიტიმაციის ბალანსი. მიმდინარეობს გამუდმებული კინკლაობა პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, დღეს კი ამის დრო ნამდვილად არ არის. საქართველოს სჭირდება კონსოლიდირებული, შეკრული ხელისუფლება, რომელიც ძალისხმევას ქვეყნის კეთილდღეობას მოანდომებს და არა კინკლაობას.

**— რა ხდება მნიშვნელოვანი მსოფლიო პოლიტიკაში? რუსეთის პრეზიდენტმა ახლახან ახალი საზღვაო დოქტრინა აამოქმედა.**

— ეს დაკავშირებულია რუსეთის საზღვაო ფლოტის გაძლერებასთან. ჩემი აზრით, ოდესაში სააკაშვილის დანიშვნასთან ერთად ძლიერდება რეგიონში ამერიკული გავლენის გაზრდის მცდელობა. სააკაშვილი პირდაპირ ეპატიჟება ამერიკელებს. რუსეთის ახალი საზღვაო დოქტრინა ოფიციალურად ითვალისწინებს ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის ფლოტის გაძლიერებას და არგუმენტირებულია ნატოს რუსეთთან მოახლოების საშიშროებით.

სიტუაცია მარტივი არ არის. ჩვენ უნდა ველოდოთ კუნთების დემონსტრირების ახალ ეტაპს. რაც შეეხება სააკაშვილს, უკრაინელები, მგონი, უკვე ხედავენ მის ნამდვილ სახეს და სააკაშვილის კოლაფსი მხოლოდ დროის ფაქტორია.

**— რა უნდა ქნას ასეთ ვითარებაში საქართველომ?**

— **საქართველო, სამწუხაროდ, სუბიექტი არ არის, ის ობიექტია და ფრთხილი მოქმედება მართებს. აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება და ჩვენს ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის თავიდან აშორება.**

**«საქართველოს გამო რუსეთთან საომარ მოქმედებებში ჩაბმას არავინ მოინდომებს»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ნარმანიას ბედოვლათობასა და კალაძის ტარიფების გაძვირებაში გამოხატულ კრახს რომ თავი დავანებოთ, ყველაზე თვალშისაცემი „გაფუჭებული პასი“, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილია. ვაზელინიანმა პლასტელინმა, გაპრეზიდენტებისთანავე რომ გადაწყვიტა, „ფიგურა“ გამხდარიყო, არავის გამოჰპარვია. დრეკადი პლასტელინის რაიმე მყარ ნივთიერებად ქცევის მცდელობები „ვეტოების“ დადებით დაიწყო და ამ დღეებში „ოცნების“ მისამართით „საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის“ ბრალდებით დასრულა...**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წამოცდენის პოლიტიკა, ანუ «პელეს გაფუჭებული პასები»

**მკითხველო, ახლა მე აქ, ამ სტატიაში, რაღაცები წამომცდება და შენ რამენაირად არ დაიჯერო, სერიოზულად არ მიიღო და ამით არ შეიქმნა ჩემზე წარმოდგენა; არ ჩათვალო, რომ არასერიოზული და ტუტუცი ვარ. მერე რა? ვის არ წამოსცდენია? ნუთუ არ გახსოვთ, ბავშვობაში მეგობარს რომ მოწიწკნიდით თმას და მერე შერიგებისას ეუბნებოდით, — არ მინდოდა, შემთხვევით მომივიდაო?! აი, ასეა დღეს ქართული პოლიტიკაც!**



და სადაც საკუთარ თავზე ამხელა პასუხისმგებლობის ამღები მილიარდერი კაცი ასე იოლად ამბობს: „წამომცდა მე ეგ სიტყვები, თორემ სინამდვილეში ეგ ეგრე არ არის“-ო, მე რატომღა უნდა შემრცხვეს, თუ ამ ჩემს საგაზეთო პუბლიკაციაში ვარახუნებ, რაც ენაზე მომადგება და, თუკი ვინმე რამდენიმე წლის შემდეგ პასუხს მომთხოვს ჩემს სიტყვებზე, განვაცხადო: „უი, ეგ მე ვთქვი? ჰო, რა ვიცი, ეტყობა, წამომცდა“-მეთქი!

მაგრამ, როგორ გეკადრებათ!

სწორედ იგივე მილიარდერი ისეთი რიხითა და პათოსით შემოგვძახებს ჩვენ, მედიასაშუალებების წარმომადგენლებს, ნამუსიანი ადამიანი შეიძლება გაწითლდეს კიდეც:

**„როდესაც რაღაცას ამბობთ, ეს უნდა გააკეთოთ გადამოწმების, ფაქტების ანალიზისა და დადასტურების შემდგომ, დიდი პასუხისმგებლობით და არა ჭორებსა და ყურმოკრულ ამბებზე დაყრდნობით“.**

**განა სწორედ ეს მილიარდერი არ იყო, აგერ, უახლოეს წარსულში მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების ჭკუის სწავლება რომ გადაწყვიტა და მათთვის „ტრენინგების“ ჩატარებასაც კი აპირებდა?**

აი, მაგ „ტრენინგებზე“ ჭკუის მასწავლებელი „ტრენერებისთვის“ ვინმეს კითხვა რომ დაესვა: „როგორ ფიქრობთ, **ვის უფრო მეტად მოეთხოვება პასუხისმგებლობა — ჟურნალისტებს თუ ადამიანს, რომელმაც ერს, სრულიად ქვეყანას სთხოვა, მენდეთ და მე კარგ ქვეყანას აგაშენებინებთო და თავის ჭკუაზე დანიშნა ამ ქვეყანაში პრეზიდენტიც, პრემიერმინისტრიც, პარლამენტის თავმჯდომარეც, დედაქალაქის მერიც და ყველა სხვა მაღალი თუ დაბალი რანგის მოხელეც?“**

საინტერესოა, რა პასუხი ექნებოდათ ამ კითხვაზე ამ ჩვენს პოტენციურ „ტრენერებს“.

თუმცა, რაღა „ტრენერებზე“ ვსაუბრობ, როდესაც ამ ქვეყანაში, „ტრენერები“ კი არა, ყველა მაღალი თუ დაბალი რანგის მოხელე „პელეს პასს“ ელოდება და იქამდე არ იძვრის ადგილიდან, ვიდრე არ დაინახავს, საით გადააგდო „პელემ“ ბურთი!

აი, მერე ყველა ერთად მიესევა ამ „პელეს“ მიერ გადაგდებულ ბურთს და, საითაც ეს ბურთია გადაგდებული, იქაურობას ისეთ ბდღვირს აადენენ, თავის „პასს“ თვითონ „პელეც“ ვეღარ ცნობს ხოლმე!

სხვათა შორის, დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში არა მხოლოდ ფაქტები და შეფასებები, არამედ თვით ადამიანები, ანუ პერსონებიც კი შეგვიძლია „პელეს პასებად“ ჩავთვალოთ და მოვიხსენიოთ!

აკი, **საზოგადოებისთვის „პასივით“ ჩაწოდებულმა აწ უკვე პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უწოდა თავის დროზე ბიძინა ივანიშვილს „პელე“!**

შეგახსენებთ, ეს მაშინ იყო, როდესაც ივანიშვილი სასხვათაშორისოდ ამბობდა ხოლმე — „პოლიტიკიდან უნდა წავიდეო“ და, როდესაც ამ საკითხისადმი თავისი პოლიტიკური გუნდის უარყოფით დამოკიდებულებაზე დაიწუწუნა, სწორედ მაშინ გამოხტა **„მისტერ პლასტელინი“** და განაცხადა: **„მე ვეუბნები ივანიშვილს: შენ ხარ პელე! და როდესაც პელე გუნდიდან წასვლას აპირებს, გუნდი, რა თქმა უნდა, უარყოფითად იქნება განწყობილი!“**

სწორედ ასეთი ვაზელინიანი პლასტელინის შემდეგ გახდა **გიორგი მარგველაშვილი** „პელეს ერთ-ერთი პასი“ და, რომ არა ამ „პასის“ ამ ფლანგზე თავად „პელეს“ მიერ გაგდება, მას ვერავინ ვერასოდეს შენიშნავდა და ვერ ჩათვლიდა „საგოლე გადაცემად“, ანუ ღირსეულ საპრეზიდენტო კანდიდატად.

„პელეს პასია“ **კახი კალაძეც**, რომელსაც, ჩემი აზრით, ოპონენტები უსამართლოდ აყვედრიან საკუთარი ნაკრების კარში გატანილ 2 გოლს და არ უმადლიან მეტოქის ასობით საგოლე გარღვევის ჩაშლას... მაგრამ, აი, ენერგეტიკის სექტორში და, მით უფრო, მინისტრად, კალაძის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ქართველი საზოგადოებისთვის, ეს „პასიც“ პირადად „პელეს“ რომ არ გაეკეთებინა...

**დედაქალაქის მერი? ოდესმე რომელიმე თბილისელი წარმოიდგენდა ასეთ ულიმღამო, უფერული, პროვინციული აზროვნებისა და ჰაბიტუსიანად „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“ თბილისის მერს?**

აქვე დავაზუსტებ, რომ „ხოხბობაზე“ არ არის საუბარი! უბრალოდ, არა მხოლოდ თბილისის, არამედ ნებისმიერი ქალაქის მერი, სულ ცოტა, იმ ქალაქში მაინც უნდა იყოს დაბადებული და გაზრდილი...

მიუხედავად ამისა, როდესაც „პელემ“ მერიც „პირად „პასად“ ჩაგვაწოდა, სხვა რა გზა გვქონდა და თბილისელებმაც მკერდით მივიღეთ ეს გადაცემა, „დავამუშავეთ“ და ახლა ძალიანაც გვინდა გოლის გატანა... მაგრამ ისიც „პელეს“ სხვა „პასებივით“ ძალიან გაუაზრებელი და სრულიად უადგილო და უგერგილო გამოდგა „გოლის“ გასატანად...

ერთი, „პელეს“ მთავარი „პასი“ — ირაკლი ღარიბაშვილი, გამოიყურება მეტ-ნაკლებად „საგოლე გადაცემად“, მაგრამ არა მგონია, მან შეძლოს ჩვენი გაყვანა „მეკარესთან პირისპირ“...

რაც შეეხება სხვა დანარჩენ პასებს, ისინი უკვე მეტ-ნაკლებად „გაფუჭებულ პასებად“ შეიძლება ჩაითვალოს და ამას რიგ შემთხვევებში თვითონ „პელეც“ აღიარებს.

**ნარმანიას ბედოვლათობას და კალაძის ტარიფების გაძვირებაში გამოხატულ კრახს რომ თავი დავანებოთ, ყველაზე თვალშისაცემი „გაფუჭებული პასი“ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილია. ვაზელინიანმა პლასტელინმა, გაპრეზიდენტებისთანავე რომ გადაწყვიტა, „ფიგურა“ გამხდარიყო, არავის გამოჰპარვია. დრეკადი პლასტელინის რაიმე მყარ ნივთიერებად ქცევის მცდელობები „ვეტოების“ დადებით დაიწყო და ამ დღეებში „ოცნების“ მისამართით „საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის“ ბრალდებით დასრულა...**

გიორგი მარგველაშვილის მიერ „ქართული ოცნების“ დადანაშაულება საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაში და კიდევ სხვა მსგავსი საქციელი კახი კალაძემ მას საკუთარ კარში გატანილ გოლებად ჩაუთვალა და დააყვედრა კიდეც:

**„გიორგი მარგველაშვილს ბიძინა ივანიშვილი პატარა ბავშვივით დაატარებდა აქეთ-იქით საპრეზიდენტო არჩევნებისას და მხოლოდ მისი წყალობით გახდა პრეზიდენტი. ახლა კი, ეს მან დაივიწყა და საკუთარ გუნდს უტევს“,** — განაცხადა კალაძემ.

ვერ გეტყვით, რატომ ჰგონიათ „ოცნების“ წარმომადგენლებს კარგი ტონი მარგველაშვილისთვის იმის შეხსენება, რომ ის „ივანიშვილის პირადი პრეზიდენტია“ და ან რატომ ფიქრობენ, რომ ეს ფაქტი სამარცხვინო არ არის „ოცნებისთვის“, როგორც პოლიტიკური გაერთიანებისთვის?!

გაცილებით საამაყო იქნებოდა, „ოცნებას“ პრეზიდენტად თავის დროზე ისეთი კანდიდატურა დაესახელებინა, რომლისთვისაც „პელე“ მხოლოდ დამატებითი დამხმარე ფაქტორი იქნებოდა და არა ერთადერთი „პლუსი“ ამომრჩევლის თვალში.

სამწუხაროდ, **როგორც ჩანს, „პელეს პასებს“ თავების ნაცვლად „ბურთები“ აბიათ და ვერ ხვდებიან, რაოდენ სამარცხვინოა, რომ ივანიშვილმა საქართველოს მართლაც დაუნიშნა პრეზიდენტი და ძნელად შეიძლება, ვინმემ მას „ხალხის რჩეულობა“ დააბრალოს.**

როგორც ჩანს, „პელეს პასები“ მართლაც ასე აზროვნებენ და უხერხულობას ვერ გრძნობენ, როდესაც ერთმანეთს აყვედრიან — „პელეს პასი“ ხარ მხოლოდ და მეტი არაფერიო!

თუმცა რა? თუკი ოდესმე მიხვდებიან ან ვინმე მიახვედრებს მათ ამას, მე შენ გეტყვი, გაუჭირდებათ თავის მართლება...

**თვითონ „პელე“ ამბობს პირდაპირ და უსირცხვილოდ: „როდესაც ვთქვი, მესამე წელიწადს მატერიალურ კეთილდღეობას ყველა საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს, ეს იყო წამოცდენა... ყველას შეიძლება წამოსცდეს რაღაც...“**

მაგარია, არა?

იბოდიალე, რაც გინდა, შეპირდი, ვისაც რა გსურს...

ვინ მოგთხოვს პასუხს?! და თუ მოგთხოვს, აგერ — **„პელეს მეთოდი“!**

„უი, წამომცდა“-თქო თქვი და მორჩა...

**ვის არ წამოსცდენია?!**

*ვის არ წამოსცდენია, მაგალითად, **ხმა მოგვეცით და ტარიფები გაიაფდებაო...**

*ვის არ წამოსცდენია, **სამართლიანობა აღდგებაო...**

*ვის არ წამოსცდენია, **რეჟიმი საკადრისად დაისჯებაო...**

*ვის არ წამოსცდენია, **ღირსეული ადამიანები დაფასდებიან და რეჟიმის მიერ დაწინაურებული უღირსები სახელმწიფო სტრუქტურებში ვეღარ იმუშავებენო...**

*ვის არ წამოსცდენია, **ფაბრიკები და ქარხნები აშენდებაო?!**

მოკლედ, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სოციალური პასუხისმგებლობის უმაღლეს დონეს ვამკვიდრებთ ქვეყანაში.

თუ ასე განვაგრძეთ, რა პრობლემაა და მოდით, უფრო მაგარი „წამოცდენებითაც“ გავახაროთ ბარემ ქვეყანა და ხალხი! მაგისი დედაც ვატირე და — თუ წამოცდენაა, წამოცდენა იყოს, არა?

**წამოგვცდეს, რომ პენსია მალე 500 ლარი იქნება, ვინ გვიშლის?**

**წამოგვცდეს, რომ უმუშევრობა საერთოდ აღარ იქნება და მინიმალური ხელფასი 1 000 ლარი გახდება;**

**წამოგვცდეს, რომ დევნილებს თავიანთ სახლებში დავაბრუნებთ და არა ვარკეთილ-ვაზისუბნის ჩინელების მიერ აშენებულ „ოლიმპიური სოფლის“ კორპუსებში...**

კარგი, კარგი!

გასაგებია ჩემთვის, მკითხველო, რაც „წამოგცდა“ უკვე როგორც არსებული, ასევე წინამორბედი ხელისუფლებების მისამართით და...

და ვიდრე მეც იგივე „წამომცდება“ გაზეთის ფურცლებზე, მგონი, სჯობს, წერტილი დავსვა.

**როგორც ჩანს, «პელეს პასებს» თავების ნაცვლად «ბურთები» აბიათ და ვერ ხვდებიან, რაოდენ სამარცხვინოა, რომ ივანიშვილმა საქართველოს მართლაც დაუნიშნა პრეზიდენტი და ძნელად შეიძლება, ვინმემ მას «ხალხის რჩეულობა» დააბრალოს**

**ვის უფრო მეტად მოეთხოვება პასუხისმგებლობა — ჟურნალისტებს თუ ადამიანს, რომელმაც ერს, სრულიად ქვეყანას სთხოვა, მენდეთ და მე კარგ ქვეყანას აგაშენებინებთო, და თავის ჭკუაზე დანიშნა ამ ქვეყანაში პრეზიდენტიც, პრემიერმინისტრიც, პარლამენტის თავმჯდომარეც, დედაქალაქის მერიც და ყველა სხვა მაღალი თუ დაბალი რანგის მოხელეც?**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქალისა და კაცის ურთიერთობა არის ერის გამრავლების საშუალება. ისედაც თითზე ჩამოსათვლელები ვართ და, თუ მსგავსი ქორწინება დააკანონეს, სულ ამოვწყდებით. ამას ვერაფრით შევეგუები. ეს ჩემთვის მიუღებელია. აი, ეს მოგვიტანა ცივილიზაციამ, გაირყვნა ქვეყანა. ეს გარყვნილებაა, მეტი არაფერი. წარმოიდგინეთ, კაცები არიან ცოლ-ქმარი! — ამას ვერავითარ შემთხვევაში მხარს ვერ დავუჭერ, რადგან კაცი ვარ და ქუდი მხურავს! “

# რას ფიქრობენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ქართველი ხელოვანები და სპორტსმენები

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთი და იმავე სქესის პირებს ქორწინების უფლება უკვე ოფიციალურად მიანიჭა. თუ გავითვალისწინებთ, ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოზე გავლენასა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის განცხადებას, რომ ისინი ეცდებიან, ჰომოსექსუალებს შორის ქორწინება მსოფლიოში დააკანონონ.**

**არის თუ არა შეუძლებელი საქართველოში ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებისდაკანონება და რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისა და ერისთვის დასავლეთის მიერთავსმოხვეული „ღირებულებების“ გაზიარებას? — ამ საკითხზე 2 წლის წინათ ისაუბრა ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში: „თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ ღირებულებებს —დავიღუპებით“.**

**აღნიშნულ საკითხზე „საქართველო და მსოფლიომ“ ქართველ პარლამენტარებს შორის ცოტა ხნის წინათ ჩაატარა გამოკითხვა, ამჯერად კი ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენლების აზრით დავინტერესდით. შევეცადეთ, გაგვერკვია, როგორ აფასებენ ჩვენი წარმატებული ხელოვანები და სპორტსმენები ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების გადაწყვეტილებას და დაუჭერენ თუ არა ისინი მხარს საქართველოში ერთნაირსქესიან წყვილებს შორის ქორწინების დაკანონებას.**



**გია ბურჯანაძე, მსახიობი:**

— ეს მათი გადასაწყვეტია. თავიანთ ქვეყანაში, რაც უნდათ, ის ქნან, მაგრამ, შემდეგ **რომ განაცხადეს, ერთნაირსქესიან წყვილებს შორის ქორწინება ყველა ქვეყანაში უნდა დავაკანონოთო — ეს უკვე ყველა ზღვარს სცილდება.** სიტყვები არ მყოფნის ამ განცხადებების შესაფასებლად. საკუთარ ქვეყანაში, რაც გინდა, ის გააკეთე, მაგრამ რას ჰქვია, სხვა ქვეყნებშიც იგივე დააკანონო?!

**— როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, ერთნაირი სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონების შესახებ საკითხი საქართველოშიც დადგეს დღის წესრიგში?**

— საქართველოში არა მხოლოდ დღის წესრიგში დადგება ეს საკითხი, გააკეთებენ კიდეც; რადგან დღეს საქართველოში ყველაზე დიდი საფრთხე გაუნათლებლობაა — ხალხი ბნელ მასად აქციეს და ეს ბნელი ხალხი, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს.



**თამრიკო ჭოხონელიძე, მომღერალი:**

— რა ვქნა, როგორც გინდათ, ისე ჩამითვალეთ – ამ თემას სერიოზულად ვერ აღვიქვამ. უბრალოდ, ისტერიული სიცილი ამიტყდება ხოლმე, როცა წარმოვიდგენ, როგორ ქორწინდებიან მამაკაცები(!) ვნებიანი სახეებით და თანაც — საქართველოში. თავის დროზე, ვაჟის“ დაბადებისას მათ მამებს, ტრადიციისამებრ, ან „ყური აუწიეს“, ან კიდევ თოფის გასროლით აუწყეს ქვეყანას ვაჟკაცის დაბადება — „ბიჭია, ბიჭიიი!“. როგორი წარმოსადგენია, სკოლაში რომ მივა ბავშვი ორ კაცთან ერთად(?!) და იტყვის — ეს დედაჩემია, ეს — მამაჩემი...

მე დედა ვიცი ქალი და მამა — კაცი! ცოლი ვიცი ქალი და ქმარი — კაცი!

ვერასდროს მივიღებ ამას სერიოზული განჯის საგნად. აი, რაზეც სერიოზული რეაქცია მაქვს, ეს არის ფრაზა — **არაფერი თქვა მათი საწინააღმდეგო, თორემ ხომ იცი (ყველაზე რბილად რომ ითქვას), არათანამედროვე აზროვნებაში ჩაგეთვლება და თავდასხმა გამოწერილი გაქვს.** რა მერე? რაც უნდათ, ის ქნან! მე შემეკითხებიან ვიქორწინოთ თუ არაო?! ჰოდა, რაც უნდათ, ის უქნიათ, მაგრამ იმედია, იმის უფლებას მაინც არ წამართმევენ, ჩემი აზრი გამოვთქვა, მით უმეტეს, როცა მეკითხებიან.



**ჟანრი ლოლაშვილი, მსახიობი:**

— აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია მკვეთრად უარყოფითია.

**— რაკი აშშ ჩვენი მეგობარი და პარტნიორია, შესაძლოა, ძალიან მალე საქართველოშიც დადგეს ეს საკითხი დღის წესრიგში, როგორი იქნება თქვენი პოზიცია ამ შემთხვევაში — მხარს დაუჭერთ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას?**

— არავითარ შემთხვევაში **ამერიკელების მაიმუნობას მხარს არ დავუჭერ! რაში გამოიხატება, რომ ამერიკა ჩვენი მეგობარია? ტერიტორიები არ დავკარგეთ, ქვეყნის საშინაო საქმეებში აღარავინ ერევა დღეს თუ რაში დაგვეხმარა?! ამერიკა გვიკანონებს ყველაფერს, ეს რა უბედურებაა?! ვაის გავეყარე, უის შევეყარეო, — ასეა ჩვენი საქმე. ახია ჩვენზე.**

მთელი ცხოვრება „ამერიკელი“ ვიყავი — ჯაზით დაწყებული ამერიკული ბევრი რამ მიყვარდა, მაგრამ, რაც იდიოტობაა, მხარს როგორ დავუჭერ?! მე ხომ არ ვუშლი, რაც უნდათ, ის აკეთონ, მაგრამ სახლში რატომ მიძვრებიან, ვერ გავიგე?! მაინც და მაინც ჩემ წინ უნდათ, სექსუალური აქტი გააჩაღონ?!



**ვახტანგ ტატიშვილი, მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი:**

— ერთმანეთში, რაც უნდათ, იქ უქნიათ, მაგრამ აგიტაცია-პროპაგანდას ნუ ეწევიან. როდესაც, მაგალითად, უსინათლო ადამიანს უსინათლო მოჰყავს ცოლად, ვინმე ამაზე ლაპარაკობს, კითხულობს — შეიძლება თუ არა უსინათლომ უსინათლო მოიყვანოს ცოლადო?! უბრალოდ, არ უნდა მაიძულონ, მეც ისევე მოვიქცე, როგორც თვითონ იქცევიან.

**— საქართველოში რომ წამოიჭრას ერთნაირი სქესის ადამიანებს შორის ქორწინების ოფიციალურად დაკანონების საკითხი, თქვენ მხარს დაუჭერთ?**

— რად უნდა ამას დაკანონება?! ავადმყოფებმა ერთმანეთში, რაც უნდათ, ის აკეთონ. ეს არის ჩემი პოზიცია.



**იური მეჩითოვი, ფოტოხელოვანი:**

— აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, უარყოფითად ვაფასებ, მაგრამ ეს მათი საქმეა, თავში ქვა უხლიათ, მაგრამ უბედურება იყო ის, რომ განაცხადეს, ამას მსოფლიოში გავავრცელებთო, სწორედ ეს იყო აღმაშფოთებელი, თორემ სინამდვილეში, ღირებულებების თვალსაზრისით, აშშ საკმაოდ კონსერვატორული ქვეყანაა. გასაგებია, რომ ეს გეიაღლუმები და ასეთი ქორწინებები ზედაპირზე ჩანს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამერიკელი ხალხი ამას შეეწინააღმდეგება.

დღეს უმცირესობის უფლებებს იყენებენ, როგორც იარაღს, რათა დაატერორონ უმრავლესობა. ჩვენ ყოველთვის ტოლერანტულად ვეპყრობოდით სექსუალურ უმცირესობებს და ასეთი ადამიანების არსებობა პრობლემა არასდროს ყოფილა, მაგრამ ამგვარი ცხოვრების წესის პროპაგანდა ხალხისთვის მიუღებელია. საქართველოში ვერ წამოიჭრება ეს საკითხი. **მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი მესამედი ქვეყნიდან გასულია, მოსახლეობა ერთნაირსქესიანი წყვილების ქორწინებას არ დაუშვებს.**



**ჰენრი კუპრაშვილი, ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი:**

— პირადად ჩემთვის, აღნიშნული გადაწყვეტილება ყოვლად მიუღებელია, რადგან მე, ქალის გარდა, ვერავისთან წარმომიდგენია ურთიერთობა, მაგრამ აქ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე — ეს მსოფლიო გლობალური პოლიტიკაა. იცით, რომ დღეს კაცობრიობა მოსახლეობის სიჭარბის პრობლემის წინაშე დგას? ეს პრობლემა ჯერ კიდევ მე-18 საუკუ-

**«ამერიკელების მაიმუნობას მხარს არ დავუჭერ! რაში გამოიხატება, რომ ამერიკა ჩვენი მეგობარია? ტერიტორიები არ დავკარგეთ, ქვეყნის საშინაო საქმეებში აღარავინ ერევა დღეს თუ რაში დაგვეხმარა?! ამერიკა გვიკანონებს ყველაფერს, ეს რა უბედურებაა?! ვაის გავეყარე, უის შევეყარეო, — ასეა ჩვენი საქმე. ახია ჩვენზე»**

## ბორის ფილატოვი სააკაშვილს: ყველას მოვუყვები, რატომ გაგაგდეს შენი ქვეყნიდან

უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი ბორის ფილატოვი ოდესის გუბერნატორს — მიხეილ სააკაშვილს სასამართლოთი დაემუქრა და ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებასა და პოლიტიკურ მაქინაციებში დაადანაშაულა. ბორის ფილატოვი ცნობილი უკრაინელი ოლიგარქის — იგორ კოლომოისკის თანაგუნდელია.

**„შენ პასუხს აგებ იმაზე, რომ ბანდიტი მიწოდე. მე კონკრეტულ ფაქტებს მოვიყვან. ყველას მოვუყვები, რატომ გაგაგდეს საკუთარი ქვეყნიდან — ეს მოხდა ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისთვის, გაუპატიურებული პატიმრებისა და ფსიქოტროპული საშუალებებით შენი გატაცების გამო, რომლებიც გონებას აღაგზნებს“,** — დაწერა დეპუტატმა სოციალურ ქსელში. კონფლიქტი სააკაშვილსა და ფილატოვს შორის რამდენიმე დღის წინათ ქალაქ ჩერნიგოვში მოხდა. სააკაშვილმა ფილატოვი ამომრჩევლის მოსყიდვაში დაადანაშაულა.



# „სოდომისა და გომორის ბედი ელის სრულიად მსოფლიოს და მეცოდება პატიოსანი ხალხი, რომელიც ამ ხვედრს გაიზიარებს. იმ ქვეყანაში, რომელშიც ღმერთს გაურბიან და სატანას უახლოვდებიან, სიცოცხლეც აღარ იარსებებს“.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «მსოფლიოს ნებისმიერი რელიგიური მიმდინარეობა, იქნება ეს მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, მუსლიმანური რელიგია, ბუდიზმი თუ ნებისმიერი, ერთ წესს აღიარებს. ეს არის ღმერთის მიერ დადგენილი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, რომელიც დალოცვილია უფლისგან; ხოლო რასაც ჯონ კერი გვთავაზობს, სატანის ქადაგებაა. ისინი სატანიზმის მიმდევრები არიან»

ნეში არსებობდა, როდესაც ინგლისელმა ეკონომისტმა და მღვდელმა — **თომას რობერტს მალთუსმა** ომების თეორია წამოაყენა, რომლის მიხედვითაც, ომებისთვის უნდა შეეწყოთ ხელი, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ხალხი ერთმანეთს დახოცავდა და გამრავლება შეფერხდებოდა. მაგრამ მალთუსის თეორია მაინც ომის თეორიაა და თანამედროვე ჰუმანური საზოგადოებისთვის მიუღებელია, ამიტომ ახალი გზების ძებნა დაიწყეს. აი ერთ-ერთიც — დედამიწაზე რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს ერთნაირი სქესის პირებს შორის ქორწინება, რათა ადამიანების რაოდენობა შემცირდეს. მცირერიცხოვანი ერებისთვის ეს თეორია საფრთხის შემცველია, თორემ დიდი ერებისთვის ბევრს არაფერს შეცვლის.

იმ პროცესებს, რომლებიც ახლა მსოფლიოში მიმდინარეობს, ქართველები ვერაფრით შევაჩერებთ; ერთადერთი გამოსავალი რჩება — ქვეყნის ეროვნულმა ხელისუფლებამ, ყოველგვარი ხმაურისა და ხმამაღალი განცხადებების გარეშე, უნდა გაატაროს გონივრული პოლიტიკა.

**— ჩვენი ხელისუფლება მოახერხებს წინ აღუდგეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს?**

— მე პოლიტიკას არ ვეხები, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი კაცი ვარ საქართველოში, რომელსაც პოლიტოლოგიაში დაცული აქვს როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაცია, დღეს სპეციალისტის აზრი არც მასმედიას და არც არავის აინტერესებს. მხოლოდ პარტიული ხედვა აკმაყოფილებთ და ხალხს იმის მიხედვით ეკითხებიან აზრს, ვინ ვისი მხარდამჭერია.

საერთოდ კი, მიმაჩნია, რომ ეს ხელისუფლება უუნაროა, თუმცა **ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება ერთნაირსქესიანი წყვილების ქორწინების თაობაზე მომეწონა. ეს იყო ძალიან კარგი, ვაჟკაცური განცხადება, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ეს არ იყო პოლიტიკოსის განცხადება, რადგან ამ საკითხს, განცხადებები კი არა, გონივრული პოლიტიკა სჭირდება, რომელიც არც დასავლეთს და არც აღმოსავლეთს არ გააღიზიანებს, ქვეყანას კი განსაცდელს მშვიდად და წყნარად აარიდებს.**

საქმეს არ გადაწყვეტს მოწინააღმდეგეებისა და მომხრეების ქუჩაში გამოსვლა; პირიქით — ეს ქართველ საზოგადოებას კიდევ უფრო დააპირისპირებს. მხოლოდ ხელისუფლების ჭკვიანური პოლიტიკა აგვარიდებს საფრთხეს. ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწის — შარლ დე გოლის სიტყვებს გავიხსენებ — პოლიტიკოსს აუცილებლად უწევს ან სახელმწიფოს, ან ამომრჩევლის ღალატი და მე ამომრჩევლის ღალატს ვარჩევო. ვინაიდან ამომრჩეველი ჭრელია და პირადი ინტერესებით აზროვნებს, მის ჭკუაზე რომ იარო, სახელმწიფო შეიძლება თავზე დაგემხოს. თავის დროზე ფრანგებმა შარლ დე გოლს ვერ გაუგეს, მაგრამ, დრო რომ გავიდა, მიხვდნენ, თურმე უდიდესი პოლიტიკოსი ჰყოლიათ. ხელისუფალმა სახელმწიფო ინტერესები ბოლომდე უნდა გაატაროს და, საბოლოო ჯამში, თანამედროვე არა და, მომავალი თაობა მადლობელი დარჩება.



**ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში:**

— ერთნაირსქესიან პირებს შორის ქორწინებაზე ჩემი პოზიცია, რა თქმა უნდა, უარყოფითია. ყველამ ის აკეთოს, რაც უნდა, ეს მისი უფლებაა, მაგრამ ამის ოფიციალურად გაკეთება და სტატუსის მინიჭება, არასწორად მიმაჩნია. ძალიან ცუდი იქნება, თუ ეს საქართველოშიც მოხდება. რაკი მკითხეთ, გიპასუხებთ, — ეს ჩემთვის მიუღებელია.



**ირმა სოხაძე, მომღერალი:**

— ძალიან რთული თემაა და ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა მიჭირს, თუმცა ვფიქრობ, არავის უნდა დაუშალო, რისი გაკეთებაც უნდა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ ყველაფერს თანამდევი მოვლენებიც აქვს და საქართველოს შემთხვევაში ასე უცებ ამ საკითხს ვერ გადაწყვეტ.

ვფიქრობ, ერთნაირსქესიანი ადამიანების ქორწინება საქართველოში მისაღები არასდროს იქნება, მაგრამ, ხალხი თუ არ მიიღებს, იმას არ ნიშნავს, რომ ოფიციალურადაც არ დააკანონებენ. აქედან გამომდინარე, საითაც მიდის მსოფლიო, იქით უნდა გავყვეთ ჩვენც, მაგრამ გადაჭრით იმის თქმა, რომ ეს გადასარევია და ძალიან კარგი, არასწორია. ქორწინებაზე მეტად ბავშვის საკითხი მაღელვებს, რომელიც ასეთ ოჯახში გაიზრდება, ასევე, შეეძლებათ, იშვილონ (ვფიქრობ, რომ ამის პრევენცია შეუძლებელია), რადგან დღესაც შეუძლია მარტოხელა ქალს, იშვილოს ბავშვი და მეგობარ ქალთან ერთად გაზარდოს. ალბათ, ორი კაცის შემთხვევაში უფრო რთულად იქნება საქმე. ამას გარდა, ბევრ ჰეტეროსექსუალურ ოჯახშიც არ არის მოწესრიგებული ბავშვების აღზრდის საკითხები.

ასე რომ, განცხადება იმისა — თუ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაკანონდება ქვეყანაში, დავიღუპებით და, რადგან დღეს არ არის დაშვებული, გადასარევად ვართ, არ შეიძლება.

**— ეს საკითხი რომ წამოიჭრას საქართველოში, თქვენ თუ დაუჭერთ მხარს ერთსქესიანთა ქორწინებას?**

— იცით, ადამიანი იცვლება. ბევრი რამ, რაც წლების წინათ მიუღებელი იყო, დღეს მისაღებია, ამიტომ, რა იქნება მომავალში, როდესაც ეს საკითხი წამოიჭრება, პასუხიც მაშინ მექნება. დღეს რომ იყოს ამ საკითხზე პასუხი გასაცემი, ალბათ, უარს ვიტყოდი, რადგან ამ საკითხს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბევრი თანამდევი მოვლენა ახლავს.

ასე რომ, მომავალში რა პასუხს გავცემ ამ კითხვაზე, ნამდვილად არ ვიცი...



**გივი ბერიკაშვილი, მსახიობი:**

— მე ქართულ ტრადიციებს და, საერთოდ, იმ ბუნებრივ კანონზომიერებას, რომ ქალი კაცზე უნდა დაქორწინდეს, ვიდრე პირში სული მიდგას, ვერასდროს ვუღალატებ. ერთნაირსქესიანთა ქორწინება რას ჰქვია?! მახსოვს, ჩემს ბავშვობაში თბილისში სულ 4 გაუკუღმართებული ორიენტაციის კაცი დადიოდა. მეტი არ იყო, ახლა ველარ გაიგებ, ვინ ვინ არის.

**— როგორ ფიქრობთ, უახლოეს მომავალში საქართველოშიც შეიძლება დაკანონდეს ერთნაირი სქესის ადამიანებს შორის ქორწინება?**

— ვფიქრობ, რომ არა, მაგრამ, თუ ასე მოხდა, მირჩევნია, მოვკვდე და მაგას არ მოვესწრო.

**— ყველაზე მეტად რა საფრთხეს ხედავთ ამაში?**

— ქალისა და კაცის ურთიერთობა არის ერის გამრავლების საშუალება. ისედაც თითზე ჩამოსათვლელები ვართ და, თუ მსგავსი ქორწინება დააკანონეს, სულ ამოვწყდებით. ამას ვერაფრით შევეგუები. ეს ჩემთვის მიუღებელია. აი, ეს მოგვიტანა ცივილიზაციამ, გაირყვნა ქვეყანა. ეს გარყვნილებაა, მეტი არაფერი. წარმოიდგინეთ, კაცები არიან ცოლ-ქმარი! — ამას ვერავითარ შემთხვევაში მხარს ვერ დავუჭერ, რადგან კაცი ვარ და ქუდი მხურავს!

**— ბატონო გივი, საკუთარი პოზიციის თამამად გამოხატვის გამო პრემიერი და პატრიარქი მწვავედ გააკრიტიკეს და ჰომოფობიაში დაადანაშაულეს. არ ფიქრობთ, რომ თქვენ წინააღმდეგაც გაილაშქრებენ ლგბტ პირების დამცველები?**

— მე არავის დავდევ და ქვას არ ვესვრი, მაგრამ მაქვს ჩემი პოზიცია, ჩემი აზრი. სჯობს, პრემიერსა და პატრიარქს თავი დაანებონ და თავიანთ უკანალს მიხედონ.



**ნანული სარაჯიშვილი, მსახიობი:**

— აშშ-ის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ძალიან უარყოფითად ვაფასებ. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

**— შესაძლოა თუ არა, მალე საქართველოშიც მიიღონ კანონი ერთნაირ სქესიანთა ქორწინების შესახებ?**

— არ მჯერა ამის და არა მგონია, ასეთი სულელური რაღაც საქართველოშიც მოხდეს.

მოამზადა **შორენა ცივქარაშვილმა**

## ქალისა და კაცის ურთიერთობა არის ერის გამრავლების საშუალება. ისედაც თითზე ჩამოსათვლელები ვართ და, თუ მსგავსი ქორწინება დააკანონეს, სულ ამოვწყდებით



## საბერძნეთმა 2 მილიარდი ვალი გადაიხადა

**საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაადასტურა, რომ საბერძნეთმა 2,05 მილიარდის ოდენობის ვადაგადაცილებული ვალი დაფარა.** ბერძნებმა ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის წინაშე არსებული დავალიანება 4,2 მილიარდი ევრო გადაიხადეს. საბერძნეთმა ვალის დაფარვა მას შემდეგ მოახერხა, რაც ევროკავშირმა მოკლევადიანი კრედიტი 7 მილიარდი ევროს ოდენობით გამოყო. სავალუტო ფონდის პრესმდივნის — ჯერი რაისის განცხადებით, სავალუტო ფონდი მზად არის, განაახლოს საბერძნეთთან თანამშრომლობა ქვეყანაში ფინანსური სისტემის სტაბილიზების მიზნით.

ცნობისთვის, საბერძნეთში ბანკები სამკვირიანი შესვენების შემდეგ გაიხსნა. მიუხედავად ამისა, შეზღუდვები გადარიცხვებსა და თანხის განაღდებაზე ძალაში რჩება.

## თუ შვედეთი ნატოს წევრი გახდება, რუსეთი სამხედრო კონტრზომებს მიიღებს

**იმ შემთხვევაში, თუ შვედეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება, რუსეთი სამხედრო კონტრზომებს მიიღებს.** ამის შესახებ რუსეთის ელჩმა შვედეთში — ვიქტორ ტატარინცევმა ჟურნალისტებს განუცხადა. ელჩმა, ასევე, დაგმო ის ფაქტი, რომ რუსეთის წინააღმდეგ მედიასაშუალებებით აგრესიული პროპაგანდული კამპანია მიმდინარეობს. მისი თქმით, შვედეთი არ წარმოადგენს რუსეთის შეიარაღებული ძალების სამიზნეს. „პუტინმა აღნიშნა, რომ შედეგები იქნება, რომ რუსეთი იძულებული გახდება, სამხედრო ხასიათის ქმედებებს მიმართოს და თავისი სამხედროებისა და რაკეტების პერეორიენტირება მოახდინოს. ქვეყანამ, რომელიც ნატო-ში შესვლას აპირებს, უნდა გაითვალისწინოს ის რისკები, რომელთა წინაშეც ის აღმოჩნდება“, — განაცხადა ტატარინცევმა. ელჩს ეჭვი ეპარება, რომ შვედეთი უახლოეს მომავალში გახდება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი.

მოკლედ

## დაწესდა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია

**ლიტერატურის დარგში დაწესებული ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა. ლაურეატი ოქროს მედლითა და 10 ათასი ლარით დაჯილდოვდება.**

როგორც პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩარგალში ვაჟაობის დღესასწაულზე განაცხადა, შექმნილია „ლიტერატურის დარგში ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მინიჭების საკითხების განმხილველი კომისია“, რომელიც პრემიის მინიჭების პროცესს წარმართავს. დღესასწაულზე პრემიერმა ვაჟაობა საქართველოს მიულოცა და აღნიშნა, რომ ვაჟა-ფშაველა მსოფლიო დონის ბუმბერაზი და ევროპულად მოაზროვნე ადამიანი იყო.

წელს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა. კონცერტი, სპორტული ღონისძიებები და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, ტრადიციულად, ვაჟაობის სახალხო ზეიმის შემადგენელი ნაწილები იყო. ღონისძიების დასასრულს, მთავრობის მეთაური ჩარგალში ახალი ხიდის გახსნას დაესწრო, რომელიც სოფელს ეკლესიასთან აკავშირებს.



SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაეროს სპეციალისტების პროგნოზით, 2011-2050 წლებში შემცირდება 41 ქვეყნის მოსახლეობა (197 ქვეყნიდან). 10%-მდე კლება მოსალოდნელი 24 ქვეყანაში, 10-დან 20%-მდე — 13 ქვეყანაში, ხოლო 20%-ზე მეტი — 4 ქვეყანაში, რომელთა შორის იქნება საქართველო. დროის ამ მონაკვეთში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 26%-ით შემცირდება.**

# საქართველო დემოგრაფიულად ყველაზე დაბერებული ქვეყნების სიაშია

## ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს გათვითცნობიერებული არ აქვს ის დამანგრეველი მასშტაბები, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ამჟამინდელი დემოგრაფიული სიტუაციის მომავალში გაგრძელებას

**XXI საუკუნეში დემოგრაფიული პროცესების პროგნოზირება ძნელი იქნება. მიმდინარე და მოსალოდნელ დემოგრაფიულ პროცესებს არ აქვს საზღვრები, შეუქცევადია და მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას მოიცავს.**




ბოლო წლებში რადიკალურად შეიცვალა წარმოდგენა დემოგრაფიულ ვითარებაზე. თუ ადრე მეცნიერები განგაშს ტეხდნენ მსოფლიოს მოსახლეობის სიჭარბით გამოწვეულ მოსალოდნელ საფრთხეზე, დღეს უფრო აქტუალურია საუბარი გლობალურ დეპოპულაციაზე, რომელიც უკვე ყველა კონტინენტს ემუქრება. მიმდინარე დემოგრაფიული ტენდენციების მიხედვით, რეალურია, რომ დაბალი შობადობის გამო მოსახლეობის რაოდენობის შემცირება კაცობრიობის უმთავრეს პრობლემად იქცეს. თანამედროვე დემოგრაფიული ტენდენციები უპრეცედენტოა კაცობრიობის ისტორიაში. ცნობილი დემოგრაფის — **დევიდ კოულმენის** აზრით, **შობადობის შემცირებას სოციალური სტრუქტურა მიჰყავს რადიკალური ტრანსფორმაციისა და ახალი სოციალური წესრიგისკენ, როცა ხანდაზმულთა რაოდენობას ჭარბობს ბავშვებისას, მცირდება შინამეურნეობების სიდიდე, იშლება ოჯახები და იზრდება არამკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა.** ეს საზოგადოებრიობის მკვეთრი გარდაქმნაა.

**გაეროს სპეციალისტების პროგნოზით, 2011-2050 წლებში შემცირდება 41 ქვეყნის მოსახლეობა (197 ქვეყნიდან). 10%-მდე კლება მოსალოდნელი 24 ქვეყანაში, 10-დან 20%-მდე — 13 ქვეყანაში, ხოლო 20%-ზე მეტით — 4 ქვეყანაში, რომელთა შორის იქნება საქართველო. დროის ამ მონაკვეთში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 26%-ით შემცირდება. გლობალური მასშტაბით შობადობის კლების მრავალ მიზეზთა შორის უმნიშვნელოვანესია მოკვდაობის დონის მკვეთრი შემცირება, ოჯახის როლის ცვლილება საზოგადოებაში და მშობლების ფასეულობათა სისტემაში ბავშვების როლის დევალვაცია.**

ცნობილმა ავსტრალიელმა დემოგრაფმა **ჯონ კოლდუელმა** ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში მიაქცია ყურადღება იმას, რომ **ფასეულობათა სისტემის ცვლილება უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს შობადობის კლებაზე, ვიდრე ეკონომიკური მდგომარეობა.** არსებობს მრავალფაქტორიანი კავშირი ტრადიციული ოჯახის საფუძვლების შერყევას, საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებს, ინდუსტრიულ წარმოებას, კულტურულ, ინდივიდუალურ განწყობებს, ფემინიზმსა და შობადობის კლებას შორის. დღეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ურთულესი პრობლემაა შობადობის თუნდაც მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონემდე გაზრდა და მისი შენარჩუნება. თანამედროვე მოდერნიზებულ სამყაროში მიმდინარეობს დაპირისპირება ახალ და ტრადიციულ ფასეულობათა სისტემებს შორის. მიუხედავად ამ უკანასკნელის დიდი მდგრადობისა, მისი გავრცელების არეალი მსოფლიოში იკლებს. საგულისხმოა, რომ ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია საზოგადოების მოდერნიზაციის ის კატეგორიებია, რომლებიც მრავალშვილიანობას ზღუდავს. **თუკი 1800 წელს ქალაქებში მსოფლიოს მოსახლეობის 3% ცხოვრობდა, 2012 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 52%-ს გაუტოლდა. ურბანიზაციული პროცესები მომავალშიც გაგრძელდება და საუკუნის შუა პერიოდისათვის (2050 წ.) მსოფლიო მოსახლეობის 67.2% ქალაქებში იცხოვრებს. ეს მაჩვენებელი საქართველოში 66.4%-ს გაუტოლდება.** მესამე ათასწლეულის დემოგრაფიული **გამოწვევებიდან უმნიშვნელოვანესი იქნება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის საყოველთაო მატების შედეგად გამოწვეული მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი,** რომელსაც, მისი არნახული მასშტაბებიდან გამომდინარე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილმა მდივანმა **კოფი ანანმა** „წყნარი რევოლუცია" უწოდა. **საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2012 წელს განაცხადა, რომ მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატების შედეგად კაცობრიობა რეალურად დადგება სოციალური უზრუნველყოფის სისტემის კრახის წინაშე. გაეროს სპეციალისტების პროგნოზის მიხედვით, 2050 წელს 65 წლისა და უფროსი ადამიანების წილი მსოფლიოს 42 ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 15%-ს გადააჭარბებს. მოსახლეობის დაბერებისა და შობადობის კლების პროცესებს შეუძლია, მკვეთრად შეცვალოს ცალკეული ქვეყნების ურთიერთობები, მსოფლიოს ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სისტემები, გამორიცხული არ არის საერთაშორისო კონფლიქტები. იაპონიის** შრომისუნარიანი მოსახლეობა შემცირდება 37%-ით, მნიშვნელოვანი კლებაა მოსალოდნელი **პოლონეთში, სამხრეთ კორეაში, რუსეთში, გერმანიაში, იტალიაში, საბერძნეთში, სინგაპურში, ავსტრიაში, ესპანეთსა** და **ჩინეთში.** მომავალში ეკონომიკის განვითარება დამოკიდებული იქნება ადამიანურ ფაქტორზე. თანამედროვე ეტაპზე არსებობს დისბალანსი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობებს შორის, რომელიც განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატებით აიხსნება. **2050 წელს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში იცხოვრებს პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 14%, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში — 86%. ბუნებრივია, ცალკეული ქვეყნების არათანაბარი დემოგრაფიული განვითარება გაზრდის გეოპოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ დაძაბულობას მსოფლიოში, რომლის შედეგადაც სრულიად რეალურია საერთაშორისო დაძაბულობის ესკალაცია.** თანამედროვე საქართველოში არსებულ უამრავ პრობლემას შორის უმთავრესია დემოგრაფიული და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემები, რომელთა დარეგულირების გარეშე შეუძლებელია თვით ქვეყნის არსებობა. ამჟამინდელ დემოგრაფიულ პროცესებს ღრმა ფესვები აქვს, რომელთა სათავეც წარსულში უნდა ვეძიოთ. **საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1990-2015 წწ. 28%-ით შემცირდა, რაც მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია. ჰიპერემიგრაციული პროცესებისა და შობადობის კლების შედეგად სწრაფად მიმდინარეობდა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი. აშშ-ის აღწერების ბიუროს მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოს 25 დემოგრაფიულად ყველაზე დაბერებულ ქვეყანას შორის საქართველო მე-14 ადგილზე იმყოფებოდა.**




საქართველოდან კვლავ გრძელდება საზღვარგარეთ მოსახლეობის გადინება, ძირითადად — ახალგაზრდების. ხანგრძლივი შრომითი გარე მიგრაცია, რიგ ნეგატიურ მოვლენებთან ერთად, ხელს უშლის ოჯახის სტაბილურობასა და მეუღლეების მიერ რეპროდუქციული განწყობების რეალიზაციას. ბოლო ხანს მეუღლეთა ხანგრძლივი დროით განცალკევებით ცხოვრება მრავალი ოჯახის ცხოვრებისეული ნორმაა. თანამედროვე საქართველოში დემოგრაფიულ მდგომარეობას ართულებს უმუშევრობა, ოჯახების არასაკმარისი შემოსავლების პირობებში საცხოვრებლისა და ბავშვის მოვლა-აღზრდის დაბალი ხელმისაწვდომობა. პროფესიული საქმიანობისა და მშობლობის მოვალეობის შეთავსების სიძნელეების გამო, მეუღლეები იძულებულნი არიან, იყოლიონ უფრო ნაკლები ბავშვი, ვიდრე სურთ. **დემოგრაფიული პროცესების ინერციული ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც არსებული დემოგრაფიული ვითარების წარსულის პროცესებზე დამოკიდებულებას გულისხმობს, საქართველოში დროის მოკლე პერიოდში ვითარების გამოსწორების შანსი დაბალია.** მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს გათვითცნობიერებული არ აქვს ის დამანგრეველი მასშტაბები, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ამჟამინდელი დემოგრაფიული სიტუაციის მომავალში გაგრძელებას. რა შეიძლება მოვიმოქმედოთ არსებულ სიტუაციაში:

**მივიღოთ დემოგრაფიული გამოწვევები თუ მოლოდინის რეჟიმში თვალყური ვადევნოთ პროცესების თვითდინებით განვითარებას?**

მეორე გზა სრულიად უპერსპექტივოა, პირველ კი გარკვეულ შანსს იძლევა.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ საქართველოს მთავრობის გასული წლის 31 მარტის № 262 დადგენილებით დამტკიცდა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 1 ივნისიდან ამოქმედდა. ეს პროგრამა ითვალისწინებს შობადობის მატერიალურ წახალისებას საქართველოს იმ ექვს რეგიონში (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი), რომლებშიც მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირებულია. ცხადია, მხოლოდ ეს ვერ გადაჭრის დემოგრაფიულ პრობლემას, მაგრამ დემოგრაფიული პრობლემების რეგულირების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი სტიმული და მხარდაჭერა იქნება ახალგაზრდა ოჯახებისათვის.

**გიორგი მელაძე,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,**
**გაზეთი „საქართველოს დემოგრაფია" №3**

**ოკეანე ბრაკონიერების სათარეშო სივრცეა, თანამედროვე მეკობრეების. იშვიათი არ იყო მათი თავდასხმები სხვა ქვეყნის გემებზე. ისე გაძარცვავდნენ და გაატყავებდნენ, მეზღვაურებს, რომ საცვლების ამარა ტოვებდნენ. ჩვენ კი ისე ჩაგვივლიდნენ, ვითომ ვერც დაგვინახეს, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალების ფლოტი ყველგან პატრულირებდა.**

თემის გაგრძელება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ «ჩაიძირა» ქართული ფლოტი

**„საქართველო და მსოფლიოს“ ერთ-ერთ წინა ნომერში გამოქვეყნდა პროფესორ დავით იაკობიძის ინტერვიუ ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგის — საოკეანო თევზჭერის „რეფორმატორული“ გაუქმების შესახებ ყოფილი ხელისუფლების ნეოფიტი ხელმძღვანელების მიერ. „დაიკარგა ქვეყნის ბიუჯეტის შევსების საიმედო წყარო, გაუქმდა ასობით სამუშაო ადგილი“, — აღნიშნავდა ბატონი დავითი და ასკვნიდა, რომ ასეთმა პოლიტიკამ „საბოლოოდ ზურგით შეგვაბრუნა ზღვისკენ“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №26, „შავი ზღვის „ქართულ აკვატორიას“ თურქი მეზღვაურები დაეპატრონენ“). დღეს აღნიშნულ პრობლემაზე გვესაუბრება ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ბაკურ გულუა, რომელსაც თავის დროზე ამ დარგთან უშუალო შეხება ჰქონდა.**
**შეკითხვაზე — რა იყო მთავარი მიზეზი, რომლის გამოც საქართველომ თევზჭერის ფლოტი დაკარგა, ბატონ ბაკურს ასეთი პასუხი აქვს:**

**— დიდ სახელმწიფოებთან, უწინარეს ყოვლისა, რუსეთთან ტრადიციული კოოპერირების გარეშე დამოუკიდებელი საქართველო ფლოტს სარეწაოდ ოკეანეში ვერ გაგზავნიდა.**

ათეული წლების განმავლობაში საქართველომ შეძლო, მოემზადებინა თევზსაჭერი ფლოტის, თევზჭერის სპეციალისტთა 2500-კაციანი არმია. მათ შორის იყვნენ შორეული ნაოსნობის კაპიტნები, რომელთა პროფესია სატრანსპორტო გემების კაპიტნების პროფესიასთან შედარებით რთულია.

**— რატომ, ბატონო ბაკურ?**

— იმიტომ, რომ თევზსაჭერი გემი არის ქარხანა. თუ სატრანსპორტო გემს ევალება A ნავსადგურიდან B ნავსადგურში ტვირთის გადატანა, საოკეანო თევზჭერის გემს ევალება, რამდენიმე თვე ავტონომიურად იცუროს, ღია ოკეანეში რეწოს თევზი, გადაამუშაოს, გაყინოს, მისცეს ფორმა და ღია ოკეანეშივე მიჰყიდოს რომელიმე ქვეყანას.

იმ დროს, როცა საქართველოს საგარეო ურთიერთობები დელეგირებული იყო საკავშირო მთავრობაში, ჩვენ პირდაპირი კავშირები გვქონდა დამყარებული 120-ზე მეტ ქვეყანასთან. ეს ეხება არა მარტო თევზის გაყიდვას ღია ოკეანეში, არამედ მომარაგებასაც, გემების შეკეთებასაც სხვადასხვა ნავსადგურში, ვალუტით ანგარიშსწორებას და ა.შ.

ჩვენს მეზღვაურებს ხელფასის ნაწილი ეძლეოდა ე.წ. ბონებში, რომლებითაც დეფიციტური საქონლის შეძენა შეეძლოთ „ციცინათელასა“ და „ალბატროსის“ მაღაზიათა ქსელში.

თევზჭერა მონადირეობაა. ჩუბინი თუ არ ხარ, თევზს ვერ დაიჭერ და მშობლიურ ნავსადგურში ხელცარიელი და დიდი ზარალით დაბრუნდები. ამიტომ ზღვაში, ოკეანეში სამუშაოდ გასულ გემს აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს კოსმოსური თანამგზავრი, რომელიც გემის შესაბამის სამსახურს მიაწვდის ზუსტ ინფორმაციას თევზის ნაკადის გადაადგილების თაობაზე: კოსმოსიდან შესანიშნავად ჩანს, სად, ზღვის (ოკეანის) რომელ მონაკვეთში არის დაგროვებული პლანქტონი, რომლითაც იკვებება თევზი და რომელსაც მიჰყვება თევზის ნაკადი.

**— ესე იგი, კოსმოსური თანამგზავრებიდან მოწოდებული და დამუშავებული ინფორმაციის გარეშე თევზმჭერი გემი ბრმაა და უსუსური?**

— კი, ასეა, მაგრამ დავაზუსტებ: გემები სიგნალს უშუალოდ თანამგზავრებიდან კი არ იღებდნენ, არამედ რადიოსადგურიდან, რომელიც კიევში იყო და რომლის მეშვეობით ყოველწუთიერი კავშირი გვქონდა ჩვენს ყველა გემთან.

ე.ი. კოსმოსური თანამგზავრის მომსახურება — როგორც პირველი და აუცილებელი წინაპირობა.

მეორე, არანაკლებ აუცილებელი, უსაფრთხოებაა. ოკეანე ბრაკონიერების სათარეშო სივრცეა, თანამედროვე მეკობრეების. იშვიათი არ იყო მათი თავდასხმები სხვა ქვეყნების გემებზე. ისე გაძარცვავდნენ და გაატყავებდნენ მეზღვაურებს, რომ საცვლების ამარა დატოვებდნენ. ჩვენ კი ისე ჩაგვივლიდნენ, ვითომ ვერც დაგვინახეს.

**— ?**

— იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალების ფლოტი ყველგან პატრულირებდა.

ამიტომ ვამბობ, რომ **ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მსოფლიო ოკეანეში თევზის რეწვას ვერ შეძლებს დიდ სახელმწიფოებთან კოოპერირების გარეშე.**

კიდევ ერთ რამეს დავაზუსტებ: 1986 წელს ფოთიდან თბილისში რომ გადმომიყვანეს, საქართველოს ჰყავდა საოკეანო თევზჭერის 25 გემი. მათგან ხუთი მსოფლიოში ყველაზე დიდი გემი იყო. ეს (მსოფლიოში უდიდესი) დიდ უპირატესობას არ ნიშნავს, რადგან დიდ გემს დიდი სირთულეებიც ახლავს. კაპიტალისტები, რომლებიც ჩვენზე უფრო პრაგმატულები არიან, უპირატესობას ანიჭებენ საშუალო სიდიდის გემებს, რომლებიც უფრო მობილურია, მომსახურება შედარებით იოლია და, ვაითუ რამე მოხდა, ზარალი გაცილებით ნაკლები იქნება, დიდი გემების მოცდენასთან შედარებით.

როგორც გითხარით, **ოკეანეში დასაქმებული გვყავდა 2500 მეზღვაური, ხოლო აქ, საქართველოში, საოკეანო თევზჭერის სამმართველო თავისი ბაზებით, გემთსაშენი, გემშემკეთებელი ქარხანა და ეს ყველა სტრუქტურა სამუშაო ადგილით უზრუნველყოფდა დაახლოებით 5000 ადამიანს.**

**— თუ სწორად ვხვდები, დამოუკიდებელი საქართველოს მიერ საბჭოთა პერიოდში არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ხელაღებით უგულებელყოფა იყო ჩვენი საოკეანო თევზჭერის ფლოტის იავარქმნის მიზეზი?**

— არამხოლოდ ფლოტის... ეს არ შეიძლება სცოდნოდა იმ პერიოდში მიმდინარე მიტინგების მონაწილე ახალგაზრდას, ამიტომ ჩავედი ერთხელ შინაგან საქმეთა მინისტრის — **რომან გვენცაძის** დახმარებით მომიტინგეებთან და ვუთხარი, რომ დამოუკიდებლობა ომით კი არ უნდა მოვიპოვოთ, არამედ მშვიდობიანი ხელშეკრულებით და კოოპერირების შენარჩუნებით. იმ დროს მე საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი.

**— რა გიპასუხეს?**

— კომუნისტები გვაშინებენო. დაწვრილებით ავუხსენი, რომ, თუ ეკონომიკურ ურთიერთობებს გავწყვეტთ, საქართველოში დადგება შიმშილის პრობლემა. ამაზე ერთმა მიპასუხა: სახლში იმდენი კონსერვი მაქვს, რომ ხუთი წელიწადი არ მომშივდებაო... არადა, დამოუკიდებლობა და კოოპერირების შენარჩუნება ერთმანეთს არ გამორიცხავს. მოგეხსენებათ, მე ზვიად გამსახურდიას მთავრობაში ვმუშაობდი. ჩემს კოლეგებს ვეუბნებოდი (ამას მაშინდელი მთავრობის წევრები დაადასტურებენ): ბიჭებო, ნუ გადაეშვებით ცეცხლის მორევში! საჭიროა ხერხი, გონიერება და მოქნილობა.



**— გვინდოდა თუ არა, დავდექით პრობლემის წინაშე...**

— არამხოლოდ ამ ერთი მიმართულებით. თევზჭერის დარგს ვგულისხმობ. ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის დაშლის ერთ-ერთ გამოვლინებად წარმოგვიდგა ის პრობლემა, რომელზეც ვლაპარაკობთ. საქართველოს ეკონომიკა (და არამხოლოდ საქართველოსი) ისე იყო აწყობილი ცენტრალიზმის პრინციპზე, რომ, სოციალისტური სისტემის შემქმნელის ვარაუდით, თუ საქმე ამ პოლიტიკური სისტემის დაშლამდე მივიდოდა, უმჭიდროეს ეკონომიკურ კოოპერირებას უნდა გადაერჩინა იგი. ხალხი არ დაუშვებსო! მაგალითად, ფოთის ერთი ქარხანა მარაგ ნაწილებს საბჭოთა კავშირის 500 ეკონომიკური ობიექტიდან იღებდა. ენგურჰესს, რომელიც თავის დროზე ავაშენეთ, ათასობით მომწოდებელი ჰყავდა და ა.შ. ასეთ კოოპერირებაზე იყო აგებული ყველა საწარმო. არ დაგვავიწყდეს „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებთან ურთიერთობაც.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ვიცეპრემიერად რომ ვმუშაობდი, ჩემთან მოვიდნენ მეტალურგები, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის მეთაურები და მკითხეს, როგორ მოვიცქეთო. ყველა მოსკოვში მივავლინე და დავარიგე, რომ არ გაეწყვიტათ არსებული კავშირები, არ მოეშალათ კოოპერირება.

იმხანად დადებულმა ხელშეკრულებებმა კიდევ რამდენიმე წელიწადს იმუშავა, ე.ი. ჩვენ უნდა გვქონოდა კომერციული ურთიერთობა პოლიტიკასთან დაუკავშირებელი. ცივილიზებული გაყრა ასე უნდა მომხდარიყო. თოფი კი არ უნდა გვესროლა, თუმცა ჩვენი გასროლილი არ გაიშვა. არადა, დღემდე ისვრიან...

თბილისში რომ სროლა იყო და ეროვნული ხელისუფლების სახელმწიფო გადატრიალებამდე ექვსი დღეღა რჩებოდა, მე მინსკში წარმოვადგენდი ამ ხელისუფლებას და ხელი მოვაწერე დაშლის ხელშეკრულებას. ამ დოკუმენტის თანახმად, ფლოტი მთლიანად ჩვენ დაგვრჩა. ბატონი **დავით იაკობიძე** „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამაზე სწორად მიუთითებს.

მაგრამ როგორი იყო მისი მომავალი?

**თუ გემი ერთი წლის განმავლობაში გაჩერდება, ჩათვალეთ, რომ ჟანგი შეჭამს, ჯართად იქცევა. ზღვა აგრესიულია. მის აღდგენას ერთი წლის თავზე 100 ათასი დოლარი თუ სჭირდება, მომდევნო წლისთვის შეიძლება ნახევარი მილიონიც არ ეყოს.**

**— ესე იგი, გამოსავალი ვიპოვეთ გემების გაყიდვაში?**

— არა. უნდა გვეძებნა და გვეპოვა კოოპერირების შესაძლებლობა. ვინ იყო წინააღმდეგი, ხომ არ იცით?

**— არ ვიცი.**

— არავინ.

**— აბა, რატომ არ მოხდა კოოპერირება?!**

— მხოლოდ ეს არ გაკეთდა?!

**— ბევრი რამე არ გაკეთდა...**

— ეგ არის! უთავბოლობა ჰქვია ამას. არ გაფორმდა, არ დაიდო ახალი ხელშეკრულებები. მოკლედ გეტყვით: **ფლოტი გაიყიდა მაშინ, როცა მოგებაზე გადავიდა.**

გაუგებარი ამბები ხდებოდა, რაც ქაოსური ვითარებისთვის დამახასიათებელია. მაგალითად, ერთი გემი გავმართეთ და, როცა მზად იყო, დაეწყო თევზის რეწვა, მივიდა საგადასახადო ინსპექცია და 400 ათასი ლარი შეაწერა, რითაც ისევ ნაპირს მიაბა.

**— რატომ? რა მოხდა?**

— ბიუჯეტს გაუჭირდა ფული...

**— ბატონო ბაკურ, ფლოტის გემების გაყიდვაში ბენდუქიძე-ჟვანიას ტანდემის როლზე იტყვით რამეს?**

— ამაზე ბატონი გურამ დოლბაია გეტყვით ჩემზე უკეთესად. ამ კაცმა გამოიყვანა კრიზისიდან თევზჭერის ფლოტი, ხალხი აამუშავა, 140 მილიონი ლარის მოგება მიიღო, დაიწყო ახალი გემების მშენებლობა, ბიუჯეტში ფულის შემოტანა, და მაინცდამაინც მაშინ გაყიდა ეს გაერთიანება ბენდუქიძე-ჟვანიას დუეტმა...

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«ფლოტი გაიყიდა მაშინ, როცა მოგებაზე გადავიდა. გაუგებარი ამბები ხდებოდა, რაც ქაოსური ვითარებისთვის დამახასიათებელია. მაგალითად, ერთი გემი გავმართეთ და, როცა მზად იყო, დაეწყო თევზის რეწვა, მივიდა საგადასახადო ინსპექცია და 400 ათასი ლარი შეაწერა, რითაც ისევ ნაპირს მიაბა»**

**«ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მსოფლიო ოკეანეში თევზის რეწვას ვერ შეძლებს დიდ სახელმწიფოებთან კოოპერირების გარეშე»**

**P.S. ბატონ გურამ დოლბაიას ფოთში დავუკავშირდით... ჯერ შორს დაიჭირა თავი ჩვენი გაზეთის თხოვნისგან, შემდეგ დაგვპირდა, რომ არ გააწბილებდა მკითხველებს, თბილისში ჩამოსვლისთანავე მოვიდოდა რედაქციაში და მოგვიყვებოდა ყველაფერს, რაზეც ამდენი წელიწადი დუმდა.**

ქველმოქმედება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არიან უმუშევრები და — ქრონიკულად უმუშევრებიც. ეს უკანასკნელი ფენა არასოდეს განიკურნება, უსაქმურობა ურჩევნია, ჩაცუცქულად მზესუმზირის კვნეტა. ასეთს 500-ლარიანი სამუშაო რომ შესთავაზო, უარს გეტყვის. ეს ერთი ფენაა. მეორე ჯგუფი უსაფუძვლო ამბიციურობით არის დაავადებული“.**



# ნოდარ გიორგაძე: საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ლავირებას, ხავერდოვან ცვლილებებს მოკლებულია

**ნოდარ გიორგაძემ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოში გავლო: მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში; როგორც ავღანეთის ომის მონაწილე, ავღანეთის ვეტერანთა კავშირს ხელმძღვანელობდა; სამოქალაქო ომის ურთულესმა პერიპეტიებმა მის თავზეც გადაიარა.**
**1993 წლის აპრილში ავსტრიაში შეიქმნა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ევროსაბჭოში და მუდმივ წარმომადგენლად ნოდარ გიორგაძე დაინიშნა.**
**ერთი თვის თავზე ამ თანამდებობას დაემატა მუდმივი დელეგაციის ხელმძღვანელის მოვალეობა გაეროს ევროსტრუქტურებში, 1994 წლის ოქტომბერში კი საელჩოდ დარეგისტრირდა. ეს იყო საქართველოს პირველი დიპლომატიური კორპუსი მსოფლიოში.**
**1996 წლიდან მუშაობა განაგრძო გაეროსთან არსებულ ომის ვეტერანთა მსოფლიო ფედერაციაში.**
**ბოლოს ბიზნესს მოჰკიდა ხელი — დააარსა ბიზნესკომპანია და დაფუძნდა სლოვაკეთში.**
**1999 წელს დაბრუნდა საქართველოში, მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და:**

— სიყალბემ, რომელიც მაშინ ტრიალებდა და რომლის მოწმეც გავხდი, დამიკარგა პოლიტიკაში დარჩენის ყოველგვარი სურვილი და დემონსტრაციულად დავტოვე საქართველო.

**— კენჭი არ გიყრიათ?**

— კენჭიც ვიყარე და მოვიგე კიდეც არჩევნები ჩუღურეთში. ეს გაირკვა იმავე საღამოს, ხმების დათვლის შემდეგ, მაგრამ დილით ოქმები შეცვალეს, გააყალბეს, ჩაწერეს ის, რაც და როგორც ხელს აძლევდათ. ცესკოში წარსადგენ ამ დოკუმენტებს, 16 კაცის ნაცვლად, კომისიის მხოლოდ 3 წევრი აწერდა ხელს. დავუხეთქე ის ოქმები მაგიდაზე. წავედი და წავედი...

**საუბარი ახალი დაწყებული გვქონდა, ახალგაზრდა ქალი რომ მოგვიახლოვდა შვილების თანხლებით, მოიბოდიშა და:**

**— ძალიან დიდ მადლობას გიხდით, ბატონო ნოდარ, დახმარებისთვის. მე ვარ ლიკა დაბრუნდაშვილი, წყალდიდობით დაზარალებული. თქვენი შემწეობით ახლა აქ ვისვენებთ.**

**ნოდარი უხერხულად იშმუშნება:**

**— კმაყოფილი ხართ?**

**— რა თქმა უნდა.**

**— სად ცხოვრობდით?**

**— სვანიძის ქუჩაზე. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, ღმერთის წყალობით.**

**სიკეთის ქმნის ეს ფაქტი მომდევნო შეკითხვის საფანელი ხდება:**

**— ბატონო ნოდარ, საქართველოში ვრცელდებოდა ხმა, რომ სლოვაკეთიდან მნიშვნელოვან ქველმოქმედებას ეწეოდით საქართველოში, მათ შორის, პაატა ბურჭულაძის „იავნანას“ ხაზითაც.**

— რაც შემიძლია, ვაკეთებ და ვეხმარები. ასე იყო ახლაც — 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ. ჩემი ბავშვობის დროსაც ადიდდა „ვერარეჩკა“. ახლაც მაჟრიალებს იმის გახსენებაზე, რა უბედურებაც დატრიალდა მაშინ.

„იმედის“ ეთერში განვაცხადე, რომ 45 დაზარალებული ოჯახიდან (მაშინ ამდენზე იყო ლაპარაკი), ერთს მე დავაყენებდი ფეხზე. იმ დღეს ვთქვი, განა საქართველოში პრობლემაა 45 შეძლებული კაცის პოვნა, თითო ოჯახს რომ ვუპატრონოთ-მეთქი?! **გიორგი გვარჯალაძის ოჯახი უკვე შევასახლე ახალ სამოთახიან ბინაში ყოფილ გაგარინის მოედანზე. სამივე ბავშვს სტიპენდია დავუნიშნე, მანქანა ვუყიდე, ვფიქრობ, დაკარგულზე უკეთესი.** ყველა დაზარალებულს ასე ვერ დავეხმარებოდი, ცხადია. ამიტომ თბილისის მერიას ვთხოვე, ამოეყვანათ აქ, ჩვენთან, თბილისის ზღვაზე, ასი ბავშვი დაზარალებული ოჯახებიდან.

პატარა სასტუმრო მაქვს; აკვაპარკი, აუზები, საუნები მათ განკარგულებაშია. აქ ცხოვრობენ, უზრუნველყოფილნი არიან სამჯერადი კვებით. ეს ქალბატონიც, ახლა მადლობა რომ მითხრა, ეტყობა, იმ ჯგუფიდანაა.

„იავნანას“ რაც შეეხება, გეტყვით: პერიოდულად ვყიდულობთ ბინებს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. მახათას მთაზე მშენებარე ეკლესიის ჯვრისა და ზარების ჩამოსასხმელად ახლახან 10 ათასი დოლარი შევწირე, 7 კაცი ვაფინანსებთ. სულ 70 ათასია საჭირო.

ელიას მთაზე ახალ, ფერისცვალების ეკლესიას ვაშენებ. აქ დედათა სამონასტრო კომპლექსი დაფუძნდება; პირველი ეკლესიაა, რომლის აგებას სრულად ვაფინანსებ. საძირკველი ჩასხმულია, კედლების ამოყვანა დაიწყო.

**— ქველმოქმედებას მაღალ ზნეობასთან ერთად სჭირდება ფული. ბიზნესი სიკეთის ქმნის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. თუ საიდუმლო არ არის, რა ბიზნესს ეწევით?**

— სამი მიმართულებით ვმუშაობ: ტურიზმი, ენერგეტიკა და სოფლის მეურნეობა; ძირითადად — ევროპაში, საქართველოში — ჯერჯერობით ტურიზმი. მაგალითად, სასტუმრო „ჯინო ველნეს რაბათი“ ჩემი აშენებულია, მცხეთაში ვაშენებ „ველნეს“ ტიპის სასტუმროს. ამ ბრენდის ფილოსოფიაში დევს, რომ სასტუმრო არ არის მხოლოდ ღამის გასათევი ადგილი, იგი ადამიანს უნდა აძლევდეს ფიზიკური დასვენების, რეაბილიტაციის საშუალებას, უნდა უზრუნველყოს მისი სულიერი მოთხოვნები და ა.შ. ჩვენ მხოლოდ ასეთ კომპაქტურ, ოთხხუთვარსკვლავიან სასტუმროებს ვაშენებთ.

**— ბატონო ნოდარ, ავღანეთს როგორ იხსენებთ?**

— ჰმ! რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ,



სასტუმრო რაბათის ციხეში (ახალციხე)

კარგად ვიხსენებ. ავღანეთის ომში მონაწილეობა რომ არ მიმეღო, თბილისის ომს, ალბათ, გადავყვებოდი. ძმათა შორის ბრძოლა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რა ავღანური წარმოშობის პუშტუნები და ხაზარები ებრძვიან ერთმანეთს და რა — მეგრელი და კახელი, ან თბილისელი, აფხაზი და ოსი. ავღანეთის გამოცდილება მეხმარებოდა მომენტალურად გავრკვეულიყავი, როგორც ამბობენ, თემაში, გადაწყვეტილებაც მიმეღო და ლავირებაც შემძლებოდა. ეს მწარე გამოცდილება დამეხმარა, ადამიანების ბევრი ჯგუფის გადარჩენისთვის ხელი შემეწყო.

**— ახლა საქართველოში გადმოინაცვლეთ?**

— მე და ჩემი ოჯახის წევრები სლოვაკეთის მოქალაქეები ვართ. სხვათა შორის, მამაჩემი — ქუჩუკი გიორგაძე სლოვაკეთის ქალაქ მიხაილოვიჩის გათავისუფლებისთვის იბრძოდა, იქ დაიჭრა. სლოვაკებმა მამაჩემი ორდენითა და მედლებით დააჯილდოვეს.

**— ხომ არ გაგიჭირდათ ახალ გარემოსთან შეგუება?**

— არა. სლოვაკები მენტალურად ძალიან ახლოს დგანან ქართველებთან: გაჭირვებაში მხარში ამომდგომნი დაძახების გარეშე, რაფინირებულნი ურთიერთობაში. როგორც იტყვიან, ევროპული ვარცხნილობა აქვთ. დღევანდელი საქართველო დაახლოებით ისეთია, როგორიც სლოვაკეთი იყო 1990-იან წლებში. 20 წლით მაინც გვისწრებენ. დღეს სლოვაკეთი ჩამოყალიბებული ევროპული ქვეყანაა.

**— სლოვაკეთის მოქალაქე საქართველოზე ფიქრობთ და იღვწით...**

— ეს — თავისთავად! **აბა, ისე რა ჩამადებინებდა 27 მილიონს ამ ობიექტში თბილისის ზღვაზე და ახალციხის რაბათის სასტუმროში 4 მილიონს?! ბანკების კრედიტები და ვალდებულებები მაქვს წამოკიდებული. ჩემი საფიქრალი, იცით, რა არის? როგორც შემეძლება, ხელი შევუწყო საქართველოს აღმშენებლობას, რათა ჩვენმა ქვეყანამ მიაღწიოს განვითარების იმ დონეს, როგორიც წარმომიდგენია და როგორიც მინდა, იყოს.** ამ დონისგან ჯერჯერობით, სამწუხაროდ, შორსა ვართ...

**— რა არ მოგწონთ, უპირველეს ყოვლისა?**

— ადამიანების აზროვნების რადიკალური ცვლილება. **საქართველოდან რომ წავედი, 40 წლისა ვიყავი და მაშინ სიტყვას ფასი ჰქონდა. კაცი სიტყვას რომ გეტყოდა, ნებისმიერ ხელმოწერაზე და ბეჭედზე უფრო მტკიცე იყო. დღეს კაცს სიტყვაც აქვს ნათქვამი, შეთანხმებაზეც ხელი აქვს მოწერილი, დოკუმენტი ნოტარიულადაც არის დამოწმებული, მაგრამ ისეთ უარს გეტყვის, რომ დაეჭვდები — გეჩვენება თუ სინამდვილეში ხდება?! ეს მთრგუნავს და ყოველგვარ სურვილს მიკარგავს, ვინმესთან საქმიანი ურთიერთობა დავამყარო.** იმის მოწმეც ვყოფილვარ, რომ ძალიან ახლობელი კაცი პირზე დამდგომია — მსგავსი არაფერი მითქვამს და არავითარი ვალდებულება არ მაკისრიაო.

ასეთი პირის გატეხვა მიუღებელია არა მხოლოდ ჩემნაირად მოაზროვნე ადამიანისთვის, რომელიც სიტყვის ერთგული რჩება, არამედ ინვესტორებისთვის, რომლებიც საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად მოდიან საქართველოში.

ახლა მეორე პრობლემაზეც მოგახსენებთ: **საქართველოში აღარ არის მშრომელი ადამიანი.**

**— უმუშევრები გვყავს ბევრი სამაგიეროდ.**

— დიახ, არიან უმუშევრები და ქრონიკულად უმუშევრებიც. ეს უკანასკნელი ფენა არასოდეს განიკურნება — უსაქმურობა ურჩევნია, ჩაცუცქვა და მზესუმზირის კნატუნი. ასეთს 500-ლარიანი სამუშაო რომ შესთავაზო, უარს გეტყვის. ეს ერთი ფენაა. მეორე ჯგუფი უსაფუძვლო ამბიციურობით არის დაავადებული. საკმარისია, რომელიმე სამსახურში დაიწყოს მუშაობა და მეორე დღესვე უჩნდება სურვილი, რომ შენ, მისი დამქირავებელი, ჩაგწიოს და თვითონ დაიკავოს შენი ადგილი.

ასეთი პრეტენზიები უმეტესად 20-25 წლის ახალგაზრდებს აქვთ, თითქმის ბავშვებს. **ამბიცია ცუდი არ არის, მაგრამ ამის უკან ხომ უნდა იდგეს ცოდნა, განათლება, ინტელექტი, გამოცდილებაც, რა თქმა უნდა. ჩემი კრიტიკა ყველას არ ეხება, მხოლოდ ნაწილისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ სწორედ ეს ნაწილი ქმნის საზოგადოებრივ ამინდს.**

საქმიანი ურთიერთობა მაქვს ევროპის ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ავსტრია, ესპანეთი და არსად, ვიმეორებ, არსად ასეთ დამოკიდებულებას არ შევხვედრივარ.

**— ბატონო ნოდარ, ევროპიდან დანახული საქართველოს ხვალინდელ დღეზე იტყვით რამეს?**

— არსებობს ერთი ჭეშმარიტება: ბოლო კეთილია. ამ რწმენით ცხოვრობდა და უნდა იცხოვროს სრულიად საქართველომ და მისმა ყველა მეზობელმა, საერთოდ ყველა ნორმალურმა ადამიანმა. ოპტიმისტი ვარ, მაგრამ ინფორმირებული ოპტიმისტი, რაც გარკვეულწილად კრიტიკულ დამოკიდებულებასაც გულისხმობს. დარწმუნებული ვარ, რომ გამოსავალი აუცილებლად მოიძებნება. ყველაფერს დრო სჭირდება. ჩვენ, ალბათ, მზად არ ვიყავით რადიკალური ცვლილებებისთვის, რომელმაც გახლიჩა ჩვენი საზოგადოებრიობა: ერთი ნაწილი უცებ გახდა პროამერიკელი, პროდასავლელი და ანტირუსი. მეორე ნაწილი უცებ ჩამოყალიბდა, როგორც პრორუსი, ანტიევროპელი და ანტიამერიკელი. ვლაპარაკობ 1990-იანი წლების პერიოდზე. ჩემი დაკვირვებით, ახლაც ასეა. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ლავირებას, ხავერდოვან ცვლილებებს მოკლებულია, რადიკალიზმმა კი, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედა პროგრესზე. მახსენდება ერთი კაცის ნათქვამი: მე ან მძულს, ან მიყვარს, მესამე ჩემთვის არ არსებობსო. ბევრის მანიშნებელია ეს კერძო პოზიცია, რომელიც საზოგადოებრივი აზრის რადიკალიზმსაც გამოხატავს.

**ეს ყველაფერი აუცილებლად გაივლის და პრიორიტეტული გახდება ისეთი აზროვნება, რომელიც დააბალანსებს დაპირისპირების სიტუაციას. სხვა შემთხვევაში კატასტროფა გარდუვალია.**

სიტყვას არ გავაგრძელებ იმის შესახებ, რომ იგივე პრობლემა დგას ევროპის ქვეყნების წინაშეც კი, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული სიმძაფრით განვიცდით ჩვენს სამშობლოში შექმნილ რეალობას. ადამიანური დამოკიდებულებები იცვლება მსოფლიოში.

**ჩვენ საქართველო გვტკივა, ძალიან გვტკივა, ამიტომ რადიკალურად უნდა შემოვბრუნდეთ რეგიონული პრობლემებისკენ, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი გადასაწყვეტია.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. საუბარი რომ დავამთავრეთ, პატარა გოგო-ბიჭების რკალში მოექცა ბატონი ნოდარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახებიდან, რომლებიც ფიზიკურ და სულიერ რეაბილიტაციას გადიან ნოდარ გიორგაძის „ჯინო პარადაისის“ კურორტზე, რომელიც თბილისის ზღვაზე ამ მადლიანი კაცის აშენებულია: დიდი მადლობაო, ნოდარი ბიძია!**

ისტორიკოსი, რომელსაც არასდროს დაუმალავს უარყოფითი დამოკიდებულება სტალინური რეპრესიების მიმართ, მივიდა დასკვნამდე, რომ უცხოელების მიერ ჩატარებულ კვლევებში მოყვანილი და პერესტროიკისდროინდელ მასმედიაში გამოქვეყნებული მონაცემები ათეულობით მილიონი რეპრესირებულის შესახებ რეალობას არ შეესაბამება.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რეპრესიების ისტორია უემოციოდ

## ვიქტორ ზემსკოვის არგუმენტები და ფაქტები


ვიქტორ ზემსკოვი

**ისტორიკოსმა ვიქტორ ზემსკოვმა, რომელიც საბჭოთა არქივების განსაიდუმლოებულ დოკუმენტებზე მუშაობდა, საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეპრესიების რეალური სურათი აღადგინა.**

### ადამიანი, რომელსაც ფაქტების სჯეროდა

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის ოფიციალური ვებგვერდი იუწყებოდა, რომ 2015 წლის 21 ივლისს, 70 წლისა, მოულოდნელად გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი რუსეთის სამხედრო ისტორიის ცენტრის სწავლული მდივანი **ვიქტორ ზემსკოვი.**

„ვიქტორ ზემსკოვის ცხოვრება განუყოფლად არის დაკავშირებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტთან, სადაც 50 წელზე მეტ ხანს მუშაობდა, — ნათქვამია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განცხადებაში. — ვიქტორ ზემსკოვმა სახელი გაითქვა საარქივო მასალების კვლევით, 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანის დასაწყისში ის იყო პირველი მკვლევარი მეცნიერებისთვის მანამდე დახურული საარქივო ფონდებისა სსრკ-ში პოლიტიკური რეპრესიების შესახებ“.

ვიქტორ ზემსკოვის სახელი და გვარი ბევრს არაფერს ეუბნება ფართო აუდიტორიას. მისი წიგნები არ გამოუციათ მილიონობით ტირაჟით, არც მყვირალა სათაურებით. სენსაციების გამოდევნების ნაცვლად ის გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა ისტორიულ დოკუმენტებს.

1989 წელს, „პერესტროიკის“ პიკზე, ზემსკოვი გახდა წევრი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის კომისიისა, რომელსაც უნდა განესაზღვრა მოსახლეობის დანაკარგები. კომისიას ნება დართეს, გასცნობოდა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ო-გე-პე-უ), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (ენ-კა-ვე-დე), შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სტატისტიკურ ანგარიშებს, რომლებიც ინახებოდა ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

**ეს ადრე მკაცრად განსაიდუმლოებული დოკუმენტები შეიცავდა ყველა ფაქტობრივ ინფორმაციას საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების რეალური ისტორიის შესახებ.**

ვიქტორ ზემსკოვი არასოდეს გამოდევნებია სენსაციას, მაგრამ მის მიერ ჩატარებული კვლევის მასალებმა დიამეტრულად შეცვალა თვალსაზრისი სსრკ-ში პოლიტიკური რეპრესიების მასშტაბებზე.

### საიდუმლო, რომელიც გაცხადდა

ისტორიკოსი, რომელსაც არასდროს დაუმალავს უარყოფითი დამოკიდებულება სტალინური რეპრესიების მიმართ, მივიდა დასკვნამდე, რომ უცხოელების მიერ ჩატარებულ კვლევებში მოყვანილი და პერესტროიკისდროინდელ მასმედიაში გამოქვეყნებული მონაცემები ათეულობით მილიონი რეპრესირებულის შესახებ რეალობას არ შეესაბამება. ყველა დოკუმენტის გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ ზემსკოვმა გამოარკვია, რომ 1921-53 წლებში „კონტრრევოლუციური და სხვა განსაკუთრებით სახიფათო სახელმწიფო დანაშაულის“ ჩადენის გამო სსრკ-ში მსჯავრი დაედო 4 060 306 ადამიანს, მათგან 799 455 სიკვდილით დასაჯეს.

ზემსკოვმა, აგრეთვე, უარყო გავრცელებული თვალსაზრისი „ქვეყანაზე, სადაც ყოველმა მეორე მოქალაქემ საპყრობილე ან კოლონია გამოიარა“. კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ე.წ. ლაგერებში პატიმართა მაქსიმალური რაოდენობა, 1950 წლის 1 იანვრის მონაცემებით, იყო 2 760 095 კაცი, საშუალოდ კი პატიმართა რაოდენობა 1,5 მლნ-დან 2,5 მლნ-მდე მერყეობდა; ლაპარაკია როგორც პოლიტიკურ პატიმრებზე, ისე სისხლის სამართლის დამნაშავეებზე.

**შესადარებლად: აშშ-ში 2013 წელს პატიმართა რაოდენობამ 2,2 მლნ-ს მიაღწია.**


გულაგი ვორკუტაში



ალექსანდრე სოლჟენიცინი

### დოკუმენტები ემოციის წინააღმდეგ

ვიქტორ ზემსკოვის კვლევის შედეგები სრულიად არ შეესაბამება სსრკ-ში რეპრესიებზე იმ წარმოდგენებს, რომლებიც ჩამოყალიბდა **ალექსანდრე სოლჟენიცინის** წიგნის — „გულაგის არქიპელაგის,“ აგრეთვე, პერესტროიკისდროინდელი მამხილებელი პუბლიცისტური მასალების გავლენით.

ზემსკოვი ფალსიფიკაციაში დაადანაშაულეს და მისი დასკვნების უარყოფას შეეცადნენ, მაგრამ ისტორიკოსმა მშვიდად, ფაქტებით გააცამტვერა ოპონენტთა არგუმენტები.

მაგალითად, **ანტონ ანტონოვ-ოვსეენკომ**, „გულაგის“ ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, დახვრეტილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის — **ვლადიმერ ანტონოვ-ოვსეენკოს** შვილმა, ზემსკოვი რეალობის დამახინჯებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ 1946 წელს „გულაგში“ (ბანაკების მთავარი სამმართველო — რედ.) 16 მილიონი პატიმარი იმყოფებოდა, ანტონოვ-ოვსეენკო ამტკიცებდა, რომ ეს მონაცემები გამოთვლილი იყო პატიმრებზე გაცემული სურსათ-სანოვაგის ულუფების რაოდენობის გათვალისწინებით.

**„იმ თარიღისთვის (1946 წ.), რომელიც მხედველობაში აქვს ანტონოვ-ოვსეენკოს, ბანაკებსა და კოლონიებში იმყოფებოდა არა 16 მლნ, არამედ 1,6 მლნ პატიმარი. სჯობს, ყურადღება მივაქციოთ მძიმე ციფრებს შორის“,** — აუღელვებლად უპასუხებს ოპონენტს ვიქტორ ზემსკოვი თავის ნაშრომში — „სსრკ-ში პოლიტიკური რეპრესიების მასშტაბის შესახებ“, და დასძენს, რომ სიაში იმ ადამიანებისა, რომლებიც მუშაობდნენ ანტონოვ-ოვსეენკოს მიერ მითითებულ დოკუმენტებზე, პატივცემული ოპონენტის გვარი არ არის და ამ მასალებზე მას მხოლოდ სხვებისგან თუ სმენია.

მალე ცხადი შეიქნა, რომ ზემსკოვის ფაქტობრივი მასალის წინააღმდეგ ოპონენტებს შეეძლოთ მხოლოდ ემოციებისა და ისეთი მტკიცებულებების გამოყენება, როგორიც არის: „მე ეს მიამბო ერთმა მცოდნე ადამიანმა“. საბოლოოდ, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ძალიან უყვართ მსჯელობა „საბჭოთა რეჟიმის მილიონობით მსხვერპლზე“, გადაწყვიტეს, რომ ვიქტორ ზემსკოვის მასალებისთვის ყურადღება აღარ მიექციათ. ზემსკოვი კი მუშაობას განაგრძობდა და ბოლო ათწლეულში საბჭოთა კავშირზე შექმნილი მითებისგან ქვას ქვაზე არ ტოვებდა.

გავა დრო და ამ გამოჩენილ ისტორიკოსსა და მის ნაშრომებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ წარსულის გასაგებად, არამედ მომავლისთვისაც, სათანადოდ დააფასებს ყველა, ვისთვისაც ობიექტურობა და ჭეშმარიტება ძვირფასია.



გულაგის არქიპელაგი


გულაგის საფლავები

„არგუმენტი ი ფაკტის“ მასალების მიხედვით
მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„იოსებ სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი, თუმცა ნიჭიერი, ღრმად განსწავლული მოღვაწენი იყვნენ, მაინც ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებოდნენ, იოსებ ჯუღაშვილი კი განგებამ ჩვეულებრივი ადამიანებისაგან გამოარჩია და მას დიდი მისია დააკისრა“.**

„მას მხოლოდ ქართული საცივისა
და კახური ღვინის გემო ახსოვდა“.
გრ. რობაქიძე

# სტალინი და ქართული კულტურა

**სტალინმა, იმისათვის, რომ წარმოეჩინა, რა დიდი კულტურის ერის შვილი იყო, დაგეგმა რამდენიმე კარგად გააზრებული ღონისძიება, რომლებიც საჭირო ეფექტს მოახდენდა საბჭოთა კავშირშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც. და განახორციელა კიდეც ოთხი დიდი ღონისძიება: საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა; ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში; შოთა რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავისა და ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნა.**

1943 წლის 9 აგვისტოს მსოფლიოს მწერლობის ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა — შოთა რუსთაველი, რომლის უკვდავი პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ — დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავი თარიღი უნდა დადგენილიყო. დადგინდა კიდეც: 1936 წელს, სტალინის ინიციატივითა და იუნესკოს ხელშეწყობით, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხალხებს, არამედ სრულიად მსოფლიოს უნდა აღენიშნა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავის იუბილე.

სტალინის დავალებით, 1934 წლის აგვისტოშივე ჩამოყალიბდა სამთავრობო კომისია, რომელსაც საქართველოს მთავრობის იმდროინდელი თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. კომისიას უნდა უზრუნველეყო პოემის გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე თარგმნა. თბილისში უნდა დაედგათ შოთა რუსთაველის ძეგლი, დაედგინათ პოემის ტექსტის საბოლოო ვარიანტი და ეთარგმნათ რუსულ ენაზე. სტალინის ინიციატივით, 1936 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანი. მისივე თაოსნობით, მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის ფასადზე მსოფლიოს კლასიკოსთა შორის ჩასვეს დიდი შოთას ბარელიეფი. ბალმონტის ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნით“ სტალინი კმაყოფილი არ იყო და სურვილი ჰქონდა, რუსთაველის ნაწარმოები რუსულ ენაზე სრულყოფილად ეთარგმნათ. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის მცდელობა თვითონაც ჰქონდა.

სტალინმა შეიტყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაზე მუშაობდა **შალვა ნუცუბიძე** და მოითხოვა, სასწრაფოდ მოეტანათ რამდენიმე სტროფის თარგმანი. სტალინს ძალიან მოეწონა ტექსტი და ბრძანა, მისთვის პერიოდულად მოეტანათ ნათარგმნი.

შალვა ნუცუბიძემ კი თავის მემუარებში ეს ჩანაწერი დაუტოვა შთამომავლობას:

„თარგმნა დავიწყე 1937 წელს. მოულოდნელად დამიჭირეს (ქართველ ნაციონალისტთა არალეგალური ორგანიზაციის აქტიური წევრობისა და ფაშისტური გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობის ბრალდებით) და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე მოსკოვში ლუბიანკაზე ვიყავი ჩასახლებული.

ერთხელ, როდესაც დაკითხვაზე გამომიძახეს, მკითხეს:

— მართლა გაქვთ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის სურვილი?

— თქვენ ეს რატომ გაწუხებთ, რა იცით ამის შესახებ? — შევუბრუნე კითხვა.

— ვიცი, რომ თქვენ რუსთაველის პოემას თარგმნით. დროგამოშვებით კითხულობდით და ხალხიც გესწრებოდათ. საშუალებას მოგცემთ, დაასრულოთ რუსთაველის თარგმნა.

სხვა გზა არ იყო, თანხმობა განვუცხადე. მეორე დღესვე ჩემს მაგიდაზე იდო რუსთაველის პოემის ქართული გამოცემა... ასე დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. ერთი კვირის განმავლობაში ნათარგმნი შაბათობით მიჰქონდათ და, როგორც შემდეგ შევიტყვე, ამ მასალას სტალინი კითხულობდა.

დრო გადიოდა. ერთ დღეს ქობულოვმა მიამბო, რომ თურმე სტალინს უკითხავს თავისი ერთ-ერთი თანამშრომლისთვის (ლ. პ. ბერიასთვის):

— თუ იცი, შაშვი რა ფრინველია?

— ბევრი იცის ჩვენში, მინახავს კიდეც და მომისმენია გალობა, — უპასუხა თანამოსაუბრემ.

— გალიაში მომღერალი შაშვისთვის თუ მოგისმენია? — არ მოეშვა სტალინი, — არც კამერაში მომღერალი მგოსანი არსებობს, — განაგრძო მან. თუ მართლა გსურთ, მიიღოთ რუსთველის პოემის თარგმანი, გაუშვი იმ გალიიდან, რომელშიც შენ მას ამღერებ.

ერთ საღამოს ქობულოვმა გამომიძახა და მითხრა:

— არსებობს სტალინის განკარგულება თქვენი განთავისუფლების შესახებ რუსთაველის პოემის თარგმნის გარკვეულ ვადაში შესრულების პირობით.

— ეს უნდა მოხდეს ციხეში თუ ციხის გარეთ? — გავბედე შეკითხვა.

— მოლაპარაკებას გააჩნია, — მიპასუხა მან.

მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი სანახევროდ უკვე ნათარგმნი მქონდა, მაგრამ გავბედე და თარგმნის დასრულების ვადად წელიწად-ნახევარი დავასახელე. გაუკვირდათ, რადგან ასეთი პასუხი თავისუფლებას მიზღუდავდა.

— დავამთავრეთ, — თქვა ქობულოვმა, — გაგიშვებთ, მაგრამ გახსოვდეს, რომ რუსთაველის თარგმნა იყო და არის შენი გადარჩენის პირობა.

იმ საღამოსვე გამომიშვეს, სოკოლნიკში დამასახლეს. როცა 1939 წელი 1 მაისს მიუახლოვდა რუსთაველის თარგმანი გავათავე“.

1940 წლის 20 ოქტომბერს შალვა ნუცუბიძე სტალინმა მიიღო. მას მხიარულად მიეგება და ქართულად მიმართა:

— ტექსტი ძალიან გაგიმართავს, ბრწყინვალეა! ვთვლიდი, რომ რუსთაველის საუკეთესო თარგმანი იყო **პეტრენკოსი**, მაგრამ, როდესაც გავეცანი თქვენს თარგმანს, უკვე ვთვლი, რომ იგი არათუ უკეთესია პეტრენკოს ნამუშევარზე, არამედ ნამდვილი ლიტერატურული მოვლენაა.

და აქ ისეთ რამეზე გაამახვილა ყურადღება სტალინმა, რაც დიდი ხანია, კამათის საგანია რუსთველოლოგთა შორის.

— მე მხარს ვუჭერ, — განაცხადა სტალინმა, — ხატაელთა ბრძოლისა და ხვარაზმელთა ეპიზოდსაც, თუნდაც საეჭვოდ მიაჩნდეთ მკვლევართ მისი რუსთველისათვის მიკუთვნება. ხალხმა ხომ მიიღო, ზეპირად იცის, ამით უფრო გაამდიდრა იგი მხატვრული სახელებით და ამიტომ არ მიმაჩნია მართებულად ამ ეპიზოდების ამოღება, პირიქით — შენ უნდა დაურთო ხვარაზმელთა ეპიზოდიც, რა თქმა უნდა, გარკვეული რედაქციით.

**სტალინმა მის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფი შესთავაზა შალვა ნუცუბიძეს, შალვამ აღტაცებით მიიღო სტალინის საჩუქარი და ასე გაჩნდა პოემაში სტალინის მიერ ნათარგმნი სტრიქონები.**

განიხილეს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საკითხიც. სტალინმა, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი სამუშაო გასწია, კატეგორიული უარი განაცხადა, მისი გვარი სადმე მოეხსენიებინათ. **სტალინმა ბევრი იმუშავა უკვე დაბეჭდილ სასიგნალო ეგზემპლარზეც, შეამოწმა სატიტულო ფურცელი, ყდა, ილუსტრაციები და ცვლილებებიც შეიტანა. მოითხოვა, სატიტულო ფურცელზე შრიფტი შეეცვალათ (სტალინი ხომ სტამბის დიდი სპეციალისტი იყო), ლამაზი და შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო, მოითხოვა, აგრეთვე, დაერთოთ მიხეილ ზიჩის დიდებული ნახატები.**



იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული
ძეგლი ილიას საფლავზე „მწუხარე საქართველო“

**სტალინმა მოიწონა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, მაგრამ ჰქონდა შენიშვნები, რომლებიც გაითვალისწინეს სახელმძღვანელოს ავტორებმა და 1946 წელს გამოიცა საქართველოს ისტორიის სრულყოფილი სახელმძღვანელო, რომელსაც 1947 წელს მიენიჭა სტალინური პრემია და ითარგმნა რუსულ ენაზე**

შუაღამე გადასული იყო, როდესაც სტუმრები აიშალნენ. ასე დასრულდა ფანტასტიკური დღე, რომელიც ერთად იზეიმეს ახალნათარგმნმა „ვეფხისტყაოსანმა“, მისმა მთარგმნელმა და გამომცემელმა.

1907 წელს წიწამურთან დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ზოგიერთმა ვაიქართველმა მრავალგზის დაგმო ილია ჭავჭავაძე. არ იშურებდნენ ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა „სისხლისმსმელი“, „გამყვლეფი“ „„გლეხთა მჩაგვრელი“ და სხვ. სოციალ-დემოკრატებისგან ათვალწუნებულ დიდ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს საფლავშიც არ ასვენებდნენ. ილია ჭავჭავაძის ლანძღვის ამბავი სტალინის ყურამდე მივიდა. 1934 წლის ზაფხულში, როდესაც **მალაქია ტოროშელიძეს** საკავშირო ყრილობაზე გამოსასვლელი მოხსენების მაკეტს უდგენდა, სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა: **„საქართველოში, თურმე, რაღაც უაზრო და ყოვლად ყალბი თვალსაზრისი გაუვრცელებიათ, თითქოს ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგი და ამ კლასების ინტერესების დამცველი იყო. ვის მოუვიდა თავში ასეთი სიყალბე, ასეთი მცდარი და უკუღმართი აზრი? აქვს კი ვინმეს მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ისეთი ძლიერი სოციალური პროტესტი, რომელიც მოცემულია ილიას შემოქმედებაში? ამის შესახებ რამდენჯერმე ველაპარაკე ქართველ ამხანაგებს, მაგრამ დასკვნები არ გამოუტანიათ. დეკრეტის გამოცემას ხომ არ ელოდებიან?“**

1936 წლის 4 სექტემბერს გაზეთმა „პრავდამ“ სტალინის უშუალო მითითებით გამოაქვეყნა მასალა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე და მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „უპოპულარესი მოღვაწე“ უწოდა. ეს კი სტალინის მართლაც ის დეკრეტი იყო, რომლითაც დაიწყო ილია ჭავჭავაძის ▶

მოკლედ



## მთიან ყარაბაღში ვითარება დაიძაბა

**აზერბაიჯანული და სომხური მხარეები ერთმანეთს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ზავის დარღვევაში ადანაშაულებენ.** აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა კონფლიქტის ზონაში სომეხი სამხედროების თავდასხმა მოიგერიეს. არსებული ინფორმაციით, შეტაკების შედეგად 5 სომეხი და 1 აზერბაიჯანელი ჯარისკაცი დაიღუპა. ოფიციალური ბაქოს მტკიცებით, აზერბაიჯანულ პოზიციებს სომხეთის არმიის დანაყოფები რამდენიმე რაიონში უტევდნენ. ყველა შემთხვევის დროს აზერბაიჯანულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა. სომხური მხარის ცნობით კი, აზერბაიჯანმა დღის განმავლობაში ზავი 140-ჯერ დაარღვია.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში, თურმე, რაღაც უაზრო და ყოვლად ყალბი თვალსაზრისი გაუვრცელებიათ, თითქოს ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგი და ამ კლასების ინტერესების დამცველი იყო. ვის მოუვიდა თავში ასეთი სიყალბე, ასეთი მცდარი და უკუღმართი აზრი? აქვს კი ვინმეს მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ისეთი ძლიერი სოციალური პროტესტი, რომელიც მოცემულია ილიას შემოქმედებაში? ამის შესახებ რამდენჯერმე ველაპარაკე ქართველ ამხანაგებს, მაგრამ დასკვნები არ გამოუტანიათ. დეკრეტის გამოცემას ხომ არ ელოდებიან?“**

◀ გენიის გამომზეურება.

1934 წლიდან ილია ჭავჭავაძეზე განსაკუთრებული ზრუნვა იმითაც იყო განპირობებული, რომ ილიას მიმართ შეტევამ კულმინაციას 1933 წელს მიაღწია, როდესაც იმჟამინდელმა პარტიულმა და მწერალთა ელიტამ გადაწყვიტა, ილია ჭავჭავაძე მთაწმინდიდან კუკიის სასაფლაოზე გადაესვენებინათ, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ამის გამო სტალინის ბავშვობის მეგობარმა **პეტა კაპანაძემ** გადაწყვიტა, მოსკოვში ჩასულიყო და მეგობარს შეხვედროდა. პეტა რკინიგზის სადგურიდან პირდაპირ კრემლში მიიწვიეს და იქვე დაუდეს ბინა. საღამოს, ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, სტალინმა ჰკითხა, ხომ არაფერი გიჭირს, დახმარება ხომ არ გჭირდებაო?

— მე არაფერი მიჭირს, საქართველოს უჭირს, ილია ჭავჭავაძეს უჭირს,— მიუგო მეგობარმა სტალინს.

— აბა. რაშია საქმე, ჩემო პეტა, მითხარი.

— სოსო, სურთ, ილია ჭავჭავაძე მთაწმინდიდან ამოთხარონ და კუკიაზე გადაასვენონ, ამაზე დიდი უბედურება რაღა იქნება. ამ უსინდისოებს სურთ, მეორედ მოკლან ილია, — თვალზე ცრემლი მოადგა პეტას.

— რა ხდება, საფლავს რაღას ერჩიან? — სტალინი სწრაფად წამოდგა და ტელეფონთან მივიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი მეგობარს განუცხადა:

— ჩემო პეტა, შეგიძლია, დამშვიდდე, ილიას საფლავს ხელს ვერავინ ახლებს.

**ასე დაიცვა ლეგენდარული ლექსის („დილა“) ავტორმა ლეგენდარული ჟურნალ „ივერიის“ მოკლული მთავარი რედაქტორი მთაწმინდიდან კუკიის სასაფლაოზე გადასვენებისგან.**

1934 წლის ზაფხულში, მალაქია ტოროშელიძის სტუმრობისას, სტალინმა გამოთქვა სურვილი, შექმნილიყო საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო. ეს საკითხი სტალინმა ბერიასთან ერთად განიხილა და მიიღეს გადაწყვეტილება, დაევალებინათ ქართველი ისტორიკოსებისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან მრავალეროვან საბჭოთა კავშირში რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელოც კი არ არსებობდა, არათუ რომელიმე რესპუბლიკის.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერის დავალება მიიღეს მეცნიერებმა: **ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა** და **სიმონ ჯანაშიამ.** აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს მანამდე ჰქონდა დიდი სამუშაო შესრულებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესაქმნელად და 1940 წელს ხელნაწერის სახითაც არსებობდა.

როდესაც სტალინი საფუძვლიანად გაეცნო ნიკო ბერძენიშვილის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ვარიანტს, ბერიას უსაყვედურა:

— რომელი ქვეყნის ისტორიას წერს ბერძენიშვილი? საქართველოს ისტორიაში გიორგი სააკაძის არარსებობა და მწირი მასალები დავით აღმაშენებელზე სხვა არაფერია, თუ არა ისტორიის ფალსიფიკაცია.

ბერიასადმი სტალინის საყვედურმა ნიკო ბერძენიშვილის ყურამდეც მიაღწია და დაიწყო სრულიად ახალი სახელმძღვა-



ივანე ჯავახიშვილი



ნიკო ბერძენიშვილი



სიმონ ჯანაშია

**სტალინის დავალებით, 1934 წლის აგვისტოშივე ჩამოყალიბდა სამთავრობო კომისია, რომელსაც საქართველოს მთავრობის იმდროინდელი თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. კომისიას უნდა უზრუნველეყო პოემის გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე თარგმნა. თბილისში უნდა დაედგათ შოთა რუსთაველის ძეგლი, დაედგინათ პოემის ტექსტის საბოლოო ვარიანტი და ეთარგმნათ რუსულ ენაზე. სტალინის ინიციატივით, 1936 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანი. მისივე თაოსნობით, მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის ფასადზე მსოფლიოს კლასიკოსთა შორის ჩასვეს დიდი შოთას ბარელიეფი**

ნელოს დაწერა, რომელიც 1943 წელს დაასრულა. წიგნი, რა თქმა უნდა, გაუგზავნეს სტალინს. უცნობია, როდის მოასწრო სისხლისმღვრელ ომში ჩართული ქვეყნის მთავარსარდალმა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს წაკითხვა, მაგრამ, თუ მცირე შესვენებისას „ევგენი ონეგინსა“ და „ანა კარენინას“ კითხულობდა, შეუძლებელია, 1945 წლამდე არ წაეკითხა მისი დავალებით დაწერილი წიგნი.

1945 წლის 20 ოქტომბერს ომგადახდილმა სტალინმა სოჭის მახლობლად მდებარე მაცესტის აგარაკზე საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორები ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია მიიწვია (ბატონი ივანე ჯავახიშვილი ცოცხალი აღარ იყო).

„როდესაც ოთახში შევედით, — იგონებს ნიკო ბერძენიშვილი, — ჩვენი წიგნი მაგიდაზე ედო და ფურცლავდა. გულთბილი მისალმების შემდეგ გვითხრა:

„თქვენს წიგნზე შენიშვნები მაქვს. ორი ძირითადი შენიშვნა“:

„სრულყოფილი არ არის საწყისი თავი, მეტი გაბედულება და გარკვეულობაა საჭირო ქართველთა ნათესაობა-წარმოშობა-იგივეობის შესახებ წინა აზიის უძველეს კულტურულ ხალხებთან, სუბერ-სუბარხ-ურარტუსთან... ბერძნები გვიან მოვიდნენ, ეგვიპტელები მათ ავარებს, რაზბოინიკებს უწოდებდნენ, ყველაფერი ეს შესასწავლია.... მეტი გაბედულებაა საჭირო. ზედმეტი პიეტეტი (მოწიწება —




რუსთაველის ბარელიეფი მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის შენობაზე

გრ. ონიანი) გჭირთ ევროპელთა მოსაზრებების მიმართ, სომხები გვიან მოვიდნენ, ურარტუ დაიკავეს, მოსახლეობა გამოაძევეს ან მათვე შეუერთდნენ. **ირანის ხელში საქართველოს ფერეიდნელობა ელოდა, ოსმალეთის ხელში — გათურქება. რუსეთი, მართალია, ბოროტება იყო, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში — უმცირესი ბოროტება...**

ქართველი უფრო მეტის შემცველია, ვიდრე ეს ჩვენ მიგვაჩნია, უფრო ფართო, ვიდრე ქართ-ზანურ-სვანური. ეს ცნება უნდა გაფართოვდეს, როგორც ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით, აგრეთვე, ადრინდელი საქართველოს პოლიტიკური თვალსაზრისითაც“.

სტალინმა მეცნიერებთან ერთად განიხილა ქართული მეცნიერების მიღწევები და ჩათვალა, რომ თბილისის უნივერსიტეტი არ უნდა იყოს რომელიმე უნივერსიტეტზე ნაკლები.

„სტალინს აინტერესებს, გვაქვს თუ არა მეცნიერების ყოველ დარგში შემუშავებული ტერმინოლოგია; აინტერესებს ქართული ენის მდგომარეობა, საჭიროდ და დროულად მიიჩნევს ენის უნიფიკაციას. ილია და ვაჟა საფუძველი უნდა იყოს უნიფიცირებული ენისა; აინტერესებს ჩვენი მედიცინის მდგომარეობა.

სტალინს არ მოსწონდა სომეხთა ტრაბახი დიად არმენიაზე და ამ გარემოებას ხსნის იმით, რომ ისტორიის მიერ სომხები განებივრებული არასოდეს ყოფილან,— ავადმყოფური ისტორიზმი სჭირთო“.

**სტალინმა მოიწონა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, მაგრამ ჰქონდა შენიშვნები, რომლებიც გაითვალისწინეს სახელმძღვანელოს ავტორებმა და 1946 წელს გამოიცა საქართველოს ისტორიის სრულყოფილი სახელმძღვანელო, რომელსაც 1947 წელს მიენიჭა სტალინური პრემია და ითარგმნა რუსულ ენაზე.**

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ბევრი რამ პროგრესული, ეს სახელმძღვანელოც ისტორიის სანაგვეზე მოისროლეს ბელადთან ერთად, რომლის დასაცავადაც სახელმძღვანელოს ავტორებს კრინტი არ დაუძრავთ.

1958 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით კვლავ დაიწერა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, მაგრამ იგი პირველთან შედარებით აჩრდილი იყო. ამ სახელმძღვანელოში ჩადებული იყო ხრუშჩოვის „გენია“.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც მთვარის ზედაპირის სინჯები ჩამოიტანეს დედამიწაზე, ცნობილმა ასტრონომმა, აკადემიკოსმა **ევგენი ხარაძემ** განაცხადა, რომ ცვლის თავის მეცნიერულ დასკვნებს მთვარის დისკოს შესახებ (სხვა რა გზა ჰქონდა?!). მეცნიერის მობოდიშება კვლევის სისწორეზე ადამიანური და მეცნიერულია, მაგრამ **რით უნდა იმართლონ თავი თანამედროვე ისტორიკოსებმა, როდესაც მათი ნალაყბევი მომავალ თაობებს სიმართლეს არ მოუთხრობს წარსულზე და მხოლოდ ღიმილს მოჰგვრის? საქართველოს უახლეს ისტორიას უსტალინოდ ხომ ჩალის ფასიც არა აქვს?! ეს იგივეა, რაც მარტყოფის ომი გიორგი სააკაძის გარეშე!**

საქართველოს უახლეს ისტორიას მხოლოდ ერთი ჟამთა აღმწერელი ჰყავს, რომელიც ამბობდა: **„იოსებ სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი, თუმცა ნიჭიერი, ღრმად განსწავლული მოღვაწენი იყვნენ, მაინც ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებოდნენ, იოსებ ჯუღაშვილი კი განგებამ ჩვეულებრივი ადამიანებისაგან გამოარჩია და მას დიდი მისია დააკისრა“.** ამ სიტყვების ავტორს ახლა არ ვასახელებ, რადგან მის „დიდ ექსპერიმენტს“ ცალკე წერილი უნდა მივუძღვნა. ამ გენიალურად ნათქვამ სიტყვებს წინ უძღვის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ჩანაწერი: **„იგი თეორიული ცოდნით იმ დონეზე იდგა, რომ ყველა დარგის აკადემიკოსები შეგირდებად ან ასისტენტებად თუ გამოადგებოდა“.**

ამ მოკრძალებული სტატიით (მასში მოყვანილი კონკრეტული ისტორიული ფაქტებით) მინდა, პასუხი გავცე გრიგოლ რობაქიძის შეფასებას, რომ სტალინს „მხოლოდ ქართული საცივისა და კახური ღვინის გემო ახსოვდა“.

## თურქეთმა ქურთების მუშათა პარტიაც ამოიღო მიზანში

**თურქეთის ჯარი „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების დაბომბვას აგრძელებს, თუმცა ამჯერად თურქული სამხედრო ავიაციის მიზანში ქურთების მუშათა პარტიის (PKK) წევრებიც აღმოჩნდნენ.**

ეს პირველი შემთხვევაა 2013 წლის შემდეგ, როცა თურქმა სამხედროებმა PKK-ზე მიიტანეს იერიში. ცოტა ხნის წინათ PKK-მ განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას იღებდა რამდენიმე დღის წინათ თურქეთ-სირიის საზღვარზე მომხდარ სროლებზე, რომელმაც თურქი მესაზღვრის სიცოცხლე შეიწირა. მათი თქმით, ისინი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ თანამშრომლობენ. თურქეთის მთავრობის განცხადებით, მათმა საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს PKK-ს თავშესაფრებზე, ბუნკერებზე, საწყობებსა და სხვა ლოჯისტიკურ ობიექტებზე. საჰაერო დარტყმები ჩრდილოეთ ერაყში განხორციელდა, მათ შორის ქანდილის მთებში, სადაც PKK-ს მმართველები იმყოფებიან.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰაკერებმა შეუტიეს PATRIOT-ის სისტემის გერმანულ საზენიტო მართვად სარაკეტო ბატარეას, რომელიც დისლოცირებული იყო თურქეთისა და სირიის საზღვარზე. კიბერშეტევის შედეგად ბატარეა ისეთ ბრძანებებს იღებდა, რომელთაც ახსნა არ მოეძებნებოდა.**

# 2015 წლის მეორე ნახევარი — მსოფლიოში ქაოსისა და არეულობების დასაწყისი



**მოვლენები დაჩქარდა. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველაფერი, ოფიციალური სიახლეებიცა და შეტყობინებებიც კი, ძალზე უცნაურად გამოიყურება: ჩინეთის ბირჟებზე კრახია, საბერძნეთის სავალე კრიზისი კონტროლს აღარ ექვემდებარება, ნიუ იორკის საფონდო ბირჟის მუშაობა „ტექნიკური ხარვეზების“ გამო დაახლოებით ოთხი საათით შეაჩერეს... გლობალური პოლიტიკოსებიც ძალზე უცნაურად მოქმედებდნენ. შესაძლოა, 2015 წლის მეორე ნახევარი მთელი მსოფლიოსთვის ქაოსისა და არეულობების პერიოდად იქცეს. იშვიათად თუ გაიხსენებს ვინმე დროის ისეთ მშფოთვარე მონაკვეთს, როგორიც უკანასკნელი ექვსი თვე იყო; დიდი შანსია, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ აისბერგის მწვერვალი აღმოჩნდეს. ქვემოთ მოყვანილი 10 უცნაური მოვლენა ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში მოხდა.**



გასული კვირის ოთხშაბათს ნიუ იორკის საფონდო ბირჟებმა — United Airlines-მა და Wall Street Journal-მა დროებით შეწყვიტეს საქმიანობა რაღაც მოულოდნელი „ტექნიკური ხარვეზების“ გამო. ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ ჰაკერებს ამაზე არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ.

* ჩინეთში საფონდო ბაზრის სრულმასშტაბიანი დაცემა მიმდინარეობს. რამდენიმე დღეში Shanghai Composite-ის ინდექსი 30%-ზე მეტით დაეცა, NASDAQ-ის ჩინური ვერსია — 40%-ზე მეტით. ჩინეთის მიერ დაკარგული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 15-ჯერ აღემატება საბერძნეთის მთელ საერთო შიგა პროდუქტს.

* მეორე დღეს ჰაკერებმა იოლად მოახერხეს გერმანული სარაკეტო ბატარეა „მიწა-ჰაერის“ საიტის გატეხვა.

ეს საშინელებაა. ადგილობრივი წყაროების ცნობით, **ჰაკერებმა შეუტიეს Patriot-ის სისტემის გერმანულ საზენიტო მართვად სარაკეტო ბატარეას, რომელიც დისლოცირებული იყო თურქეთისა და სირიის საზღვარზე. კიბერშეტევის შედეგად ბატარეა ისეთ ბრძანებებს იღებდა, რომელთაც ახსნა არ მოეძებნებოდა.**

ბოროტმოქმედებმა Patriot-ის რაკეტების გამოყენება ორი სხვადასხვა საშუალებით მოახერხეს. ამ გამოვლენილმა ნაკლოვანებებმა, შესაძლოა, ჰაკერებს მისცეს საშუალება, მოიპარონ მონაცემები ან, რაც კიდევ უფრო საგანგაშოა, სინამდვილეში თავად აკონტროლონ სარაკეტო ბატარეები.

* ახლახან აშშ-ის ზარაფხანამ გამოაცხადა, რომ ამერიკული ვერცხლის ბოლო მონეტა სწორედ იმ დღეს გაყიდა, როდესაც ვერცხლის ფასი, 2015 წლის მაჩვენებლებით, ახალ მინიმუმამდე დაეცა. რა აზრი აქვს ამ ქმედებებს?

## 30 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების თავზე მოულოდნელად «სისხლიანი მთვარე» დაინახეს. ეს მოხდა ზუსტად იმ დღეს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ გეიქორწინებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გამოაცხადა

*** 30 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების თავზე მოულოდნელად „სისხლიანი მთვარე“ დაინახეს. ეს მოხდა ზუსტად იმ დღეს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ გეიქორწინებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გამოაცხადა.**

ნაციონალურმა მეტეოროლოგიურმა სამსახურმა „სისხლიანი მთვარის“ მოვლენა ხანძრების შედეგად წარმოშობილი კვამლით ახსნა.

* მიუხედავად იმისა, რომ ნასამ ახლახან გამოაცხადა, არაფერი იცის იმ ასტეროიდის ან კომეტის შესახებ, რომელიც, შესაძლოა, დედამიწას შეეჯახოს, და რომ არც ერთი დიდი ობიექტი არ შეეჯახება დედამიწას რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში, ბირთვული უსაფრთხოების ნაციონალურ ადმინისტრაციასთან ერთად ნასა ცდილობს, მონახოს საშუალება ბირთვული იარაღის გამოსაყენებლად, რათა გაანადგუროს ასტეროიდები, რომლებიც ჩვენს პლანეტას ემუქრება. თუკი საფრთხე არ არსებობს, რატომ უნდა დაიხარჯოს ამაზე ამდენი დრო და ენერგია?

* დაახლოებით ერთი თვის წინათ ცნობილი შეიქნა, რომ ბარაკ ობამამ გასცა 19 „საიდუმლო დირექტივა“. რას გეგმავს ობამა და რატომ არ აძლევს უფლებას საზოგადოებას, იცოდეს ამ გეგმების თაობაზე?

* ახლახან რომის პაპმა ფრანცისკმა მოუწოდა ხალხებს, შექმნან ახალი „ეკონომიკური და ეკოლოგიური მსოფლიო წესრიგი, რათა დედამიწის პროდუქტებით სარგებლობა შეეძლოს მთელ მოსახლეობას და არა მხოლოდ მდიდრებს“. ამრიგად, რას დაემსგავსება ამგვარი „მსოფლიო წესრიგი“?

* მას შემდეგ, რაც ბერძნებმა რეფერენდუმზე ხმათა უმრავლესობით უარყვეს უმკაცრესი ეკონომია, ევროკავშირის მაღალჩინოსნებმა ამ გადაწყვეტილებაზე რეაგირების ფარგლებში საბერძნეთის ხელისუფლებას მისცეს ერთკვირიანი ვადა, რათა მიეღწიათ შეთანხმებისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა კიდევ უფრო მკაცრი ეკონომიის ზომები ბერძენი ხალხისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საბერძნეთს ბანკროტად გამოცხადებით, საბანკო სისტემის კრახითა და ევროზონიდან გაძევებით დაემუქრნენ.

უცნაური მოვლენები ამ ჩამონათვალით არ მთავრდება. 15 ივლისს აშშ-ში დაიწყო მასობრივი სამხედრო სწავლებები, რომელთაც Jade Helm უწოდეს. სწავლებები მიმდინარეობს ტეხასის, კოლორადოს, ნიუ-მექსიკოს, არიზონის, ნევადის, იუტას, კალიფორნიის, მისისიპისა და ფლორიდის შტატებში.

სექტემბერში შმიტის წელი დასრულდება და ჩვენ მეოთხე „სისხლიან მთვარეს“ დავინახავთ; ჩატარდება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის კენჭისყრა პალესტინის სახელმწიფოს ოფიციალურად აღიარებისთვის.

და ეს მხოლოდ ის მოვლენებია, რომელთა შესახებაც ვიცით...

**cont.ws**

# ვაშინგტონმა ახლო აღმოსავლეთის ბალკანიზაციისკენ აიღო კურსი

**სირიელი პოლიტიკური აქტივისტი მარამ სუსლი, რომელიც მსოფლიოში ცნობილია ფსევდონიმით Syrian Girl, თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა უკვე დაიწყეს არქიტექტურული ძეგლების განადგურება ანტიკურ ქალაქ პალმირაში.**



ვიდრე დასავლური მედიასაშუალებები კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის განადგურებას წარმოადგენს, როგორც ისლამისტების აულაგმავ ბარბაროსობას, სტრატეგიული თვალსაზრისით, პალმირა არანაირ ინტერესს არ წარმოადგენდა „ისლამური სახელმწიფოსთვის“, ანუ მისი აღება კარგად მომზადებული გეგმის ნაწილი იყო.

ამ გეგმის სხვა ასპექტს წარმოადგენს სამი ათასზე მეტი წლის წინათ აღმართული არქიტექტურის ძეგლების განადგურება ერაყში. ამასთან, აღნიშნული გეგმა შემუშავებულ იქნა არა „ისლამური სახელმწიფოს“ საველე მეთაურების კარვებში, არამედ სირიაში ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. მრავალი ერაყელი მეცნიერი და არქიტექტორი ჩიოდა, რომ 2003-ში, ქვეყანაში შეჭრისას, ამერიკელი სამხედროები მიზანმიმართულად ძარცვავდნენ ადგილობრივ მუზეუმებს. თალიბების მიერ 2001 წელს ბუდას უძველესი მონუმენტური ქანდაკებების განადგურებასაც ისტორიკოსები დიდხანს ვერ დაივიწყებენ.

**ჯერ კიდევ „ისლამურ სახელმწიფომდე“ სირიის ტერიტორიაზე აშშ-ის მიერ დაფინანსებული „სირიის თავისუფალი არმიის“ ბოევიკები აცხადებდნენ, რომ ჩამოაყალიბეს შავი მთხრელების რაზმები, რათა სირიული ისტორიული მემკვიდრეობა „მართალი საქმისთვის“ იქნეს გამოყენებული.**

პროამერიკული წარმონაქმნების მიერ არქიტექტურის ძეგლების მიზანმიმართული განადგურება, ისევე, როგორც ამერიკელი სამხედროების პირდაპირი მონაწილეობა ამგვარ ბარბაროსულ ქმედებებში, იმაზე მეტყველებს, რომ ვაშინგტონი ცდილობს, გაანადგუროს სირიელების, ერაყელების, ავღანელების, ეგვიპტელების ნაციონალური იდენტურობა, რათა დაასამაროს ამ ხალხების წინააღმდეგობის სურვილი, სამუდამოდ დამარხოს ხსოვნა, რომ ამგვარი ხალხები ოდესღაც არსებობდნენ.

სწორედ ასე ხორციელდება „ბალკანიზაცია“ ამერიკულად.

აშშ-ს არასდროს განუხორციელებია დემოკრატიის ექსპორტი, მის საექსპორტო საქონელს წარმოადგენს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისა და ომების დასაცავი კაპიტალისტური იდეოლოგია, რათა დაიმორჩილოს ურჩი ქვეყნები, რომლებიც მის მსოფლიოზე ბატონობას უშლის ხელს.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის თვალთმაქცობა

**აშშ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ბირთვული იარაღი გამოიყენა. 1945 წელს იაპონიის ქალაქებში — ხიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური დაბომბვის შედეგად დაახლოებით 125 ადამიანი მაშინვე მოკვდა, ამდენივე დასხივების შედეგად შემდგომი ექვსი თვის განმავლობაში გარდაიცვალა. შედეგი — 250 ათასი ადამიანი, რომელთაც უნდა დაემატოს ისინიც, ამ ამაზრზენი დანაშაულის საშინელი შედეგები ათწლეულების შემდეგ რომ დაეტყოთ.**



ეს ყველაფერი ჩაწერილია ისტორიული მეხსიერების მატიანეში. მაგრამ გულმავიწყობა საშინელ ნაყოფს იძლევა და აი, ახლა აშშ განაგრძობს სხვა ქვეყნებისთვის ეთიკის ნორმების სწავლებას. ამჟამად ირანთან შეთანხმება მიღწეულია, ამ დოკუმენტის თანახმად, ირანი უარს აცხადებს ატომური ბომბის შექმნის სამუშაოების გაგრძელებაზე. ზეწოლის კლასიკურ ინსტრუმენტად გამოიყენებოდა საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები, რომლებიც წმინდა წყლის თვალთმაქცობა იყო როგორც აშშ-ის, ისევე ევროკავშირის მხრიდან.

ჩვენ კვლავაც ძლიერის კანონთა მოწმენი გავხდით, ძლიერის, რომელიც საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს დიპლომატიურ და სამხედრო ზემოქმედებებს დასავლეთის „უმაღლესი მორალის“ ინტერესების სასიკეთოდ. რატომაც არ უნდა თქვან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ბირთვული იარაღის მფლობელმა სხვა სახელმწიფოებმა უარი საკუთარ ატომურ ბომბებზე? ეს მართლაც მსოფლიო მასშტაბის ისტორიული მოვლენა იქნებოდა, ზნეობრივი და დემოკრატიული შინაარსით აღსავსე მოვლენა.

დასავლეთმა მიითვისა სხვა ქვეყნების სწავლების უდავო უფლება, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია, რომ ის გამოდის მოსამართლის როლში ნებისმიერი შიგა და საერთაშორისო კონფლიქტისას. თავის მორალს ის ამტკიცებს სამხედრო ძალით ან ფინანსური თუ ეკონომიკური ხასიათის შიშის დანერგვით; არავინ იმაღლებს ხმას, რათა გამოაშკარავებული და მხილებული იქნას ესოდენ საარაკო უსამართლობა. **კარგი ბიჭები დასავლეთში ცხოვრობენ, მის ფარგლებს მიღმა კი ცხოვრობენ მხოლოდ კამანჩების ტომები, რომლებთანაც ცერემონიები საჭირო არ არის.**

ცნობილია, რომ აშშ-ის გარდა ბირთვულ იარაღს ფლობენ რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. ბირთვული იარაღის გამოცდებს ატარებდნენ ინდოეთი, პაკისტანი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. ექჭვმიტანილთა შორის ფიგურირებენ ერაყი და საუდის არაბეთი. ისრაელი ამ საკითხზე დუმს, თუმცა ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ქვეყანაც, უკვე დიდი ხანია, ფლობს ბირთვულ იარაღს, რომელიც წარმოებულია ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე.

რაც შეეხება საუდურ დიქტატორულ რეჟიმს და ისრაელელ ტექნოკრატებს (ორივე ქვეყანა აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორია), ვაშინგტონი ამჯობინებს, თავი ისე დაიჭიროს, თითქოს არაფერი ხდება. ვაშინგტონელი პოლიტიკოსებისგან ვერასდროს გაიგონებთ საყვედურის შემცველ ერთ სიტყვასაც კი მეომარი თელ-ავივის ან შუასაუკუნოვანი სამეფოს მცველი ერ-რიადის მისამართით.

**აშშ-ს არასდროს განუხორციელებია დემოკრატიის ექსპორტი, მის საექსპორტო საქონელს წარმოადგენს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისა და ომების დასაცავი კაპიტალისტური იდეოლოგია, რათა დაიმორჩილოს ურჩი ქვეყნები, რომლებიც მის მსოფლიოზე ბატონობას უშლის ხელს.** ასეთია საქმის რეალური ვითარება, რაც მსოფლიო მედიაში ასახვას ვერ ჰპოვებს, რადგან ეს მედიაც დასავლური ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ განხორციელებად ნეოლიბერალურ გლობალიზაციას ემსახურება.

ირანთან ამ შეთანხმების მიღწევით პლანეტაზე მშვიდობა არ დამყარდება. აშშ კვლავაც რჩება მდგომარეობის მმართველი და მასთან ერთად — რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ბრიტანეთი და ისრაელიც, თუნდაც გაცილებით ნაკლები დოზებით. როდესაც ეს ქვეყნები მიიღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას, გაანადგურონ საკუთარი ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის არსენალები, თანამედროვეობის ბნელი გვირაბის ბოლოს სინათლე აციმციმდება. მანამდე კი ცხოვრება კვლავინდებურად განვითარდება, დამოკლეს მახვილის ქვეშ, იმ ძალის უზენაესობით, რომლის გადატრიალებული მორალი და მომაკვდინებელი უგუნურება, უპირველეს ყოვლისა, პენტაგონიდან მოდის.

**Rebelion**

# ვინ შეუწყო ხელი აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხილებას



**დგას თუ არა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობის მხილების უკან რომელიმე ინსტანცია, ძალა ან ორგანიზაცია? ეს კითხვა დღითიდღე აქტუალური ხდება, რადგანაც ამ უწყებისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უამრავი მხილება სნოუდენისა და WikiLeaks-ის მხრიდან ნეგატიურად აისახება ამერიკისა და ევროპის ურთიერთობაზე. საუბარია ზემოქმედებაზე, პოლიტიკურ ეფექტზე და ამგვარი ზემოქმედებისას სტრატეგიულად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ვინ და რა სარგებელს მიიღებს ამ ყველაფრისგან და არსებობს თუ არა საიდუმლო ორგანიზატორი. თუ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ, „სნოუდენის საგა“ სულ სხვა ელფერს მიიღებს.**

აგენტი სნოუდენის ზურგს უკან მდგომთა შორის, აშშ-ის აზრით, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი და ჩინეთია. ორივე ქვეყანა ცდილობს, ამერიკას ჩამოართვას მორალური ლიდერობა კიბერდიპლომატიაში. გარდა ამისა, ნაწილობრივ იკარგება არა მხოლოდ მორალური, არამედ აშშ-ის ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობებიც. ტაქტიკურ და ტექნიკურ მოტივებს შეეძლოთ, მნიშვნელოვან ელემენტებად ქცეულიყვნენ ჩინეთისა და რუსეთის ისეთ მოკავშირეებთან მოლაპარაკებებში, როგორებიც არიან სირია და ჩრდილოეთ კორეა.

რუსი ჰაკერების ჯგუფის „კარბანაკის“ კიბეროპერაცია მიმდინარე წლის დასაწყისში შემდგომი მოვლენების წინამორბედი გახდა. მათ გადაიღეს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მეთოდები და მოიპარეს მილიარდი დოლარი. გარდა ამისა, რუსეთი და ჩინეთი მოგებულები რჩებიან მთელი ტრანსატლანტიკური კავშირის მოშლით. ისინი მოგებულები არიან დასავლეთში განხეთქილებითაც, ორივე ქვეყანას საკუთარი მოტივები აქვს.

ანალოგიური მოტივები აქვს კიდევ სხვა მრავალ ქვეყანას, მაგრამ უფრო მაღალია ალბათობა, რომ მთელი ეს ისტორია რუსეთისა და ჩინეთის მიერ იქნა ორგანიზებული. ქვეყნები სპეცსამსახურების წრეებში ცნობილნი არიან თავიანთი მაღალი კვალიფიკაციით „ინფორმაციული ოპერაციების“ ან ასევე „ფსიქოლოგიური ოპერაციების“ სფეროში, ამ ოპერაციებისას იქმნება პირობები გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის.

თუკი სნოუდენის ისტორიას ამ პარანოიდული თვალთახედვით შევხედავთ, ჩნდება მთელი რიგი კითხვები, რომლებიც უშვებს საიდუმლო „მამოძრავებელი ძალის“ შესაძლო არსებობას. როგორ შეძლო ჩვეულებრივმა თანამშრომელმა ამხელა მოცულობის საიდუმლო დოკუმენტების ხელში ჩაგდება და შეუმჩნევლად მითვისება? შესაძლოა, ეს მხოლოდ შეცდომაა, მაგრამ ასევე შესაძლოა, რომ არსებობდა პროფესიონალი დამხმარე. რატომ გაიქცა ედვარდ სნოუდენი აღმოსავლეთისკენ და არა სამხრეთისკენ? ნათელია — რუსეთი, როგორც ჩანს, უფრო უსაფრთხო სავანეა, ვიდრე სხვა ქვეყნები, სადაც ცსს-სგან შეიძლება დამალვა. მაგრამ სხვადასხვა სამხრეთამერიკული ქვეყანა გაცილებით უფრო ადვილად ხელმისაწვდომი იყო და ისინი ასევე მზად იყვნენ, თავშესაფარი მიეცათ სნოუდენისათვის. რატომ აირჩია სნოუდენმა სწორედ ის ორი ქვეყანა, რომლებიც ინტერნეტის მანიპულატორებისა და ცენზორების მსოფლიო სიაში უდავოდ სათავეში ფიგურირებენ? შეიძლება თუ არა სნოუდენის დავუჯეროთ, როდესაც ამბობს, რომ რუსეთისა და ჩინეთისთვის არ გადაუცია 1,7 მილიონი საიდუმლო დოკუმენტის ასლი? გამგზავრებისას მას ჰქონდა რამდენიმე ნოუთბუქი და მონაცემთა შემნახველი, იგი ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას იძლეოდა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა თან დოკუმენტები. თუ ეს დოკუმენტები სნოუდენს თან ჰქონდა, მასთან საუბარსაც კი არ წამოიწყებდნენ; თუკი ამ მასალების ასლებს არ მიიღებდნენ, რადგან სტრატეგიულად, ტაქტიკურად და პოლიტიკურად სნოუდენის ფაილები ნამდვილი საგანძურია. თავად სნოუდენისთვისაც დოკუმენტების ასლი მნიშვნელოვანი ელემენტია მოლაპარაკებების წარმოებისას.

რატომაა, რომ მთელი ამ გაჟონილი ინფორმაციიდან ჯერჯერობით გამოჩნდა მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ ევროპასა და ამერიკას შორის ურთიერთობაზე? ძნელი წარმოსადგენია, რომ ცსს-სა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს 1,7 მილიონი დოკუმენტიდან ნაწილი მაინც არ შეიცავს მონაცემებს ამერიკის სპეცსამსახურების „ძირითადი პაციენტების“ შესახებ.

დასავლეთის სპეცსამსახურებში ისმის ხმები, რომ სნოუდენის ფაილები, შესაძლოა, დიფერენცირებულადაა დაშიფრული. შესაძლოა, ისინი დაყოფილია თემების მიხედვით, თემატური ბლოკები კი — ცალ-ცალკე დაშიფრული. შემდეგ საიდუმლო ორგანიზატორი აქტივისტებსა და პრესას განსაზღვრულ დროს უგზავნის გასაღებს და ასე ხელმძღვანელობს პოლიტიკური გავლენის ზედმიწევნით ზუსტ სვლას. ეს კარგად შეესაბამება მათ ჩვეულებრივ ტაქტიკურ მეთოდებს.

ამ ყველაფრიდან რაიმეს დამტკიცება არ შეიძება. თუ ეს მიზანმიმართული ოპერაცია იყო, ის დიდი ოსტატობითაა ორგანიზებული. არასასიამოვნო სიმართლე საუკეთესო იარაღია საინფორმაციო ომში. ფაქტად რჩება ის, რომ აშშ-მა ბევრი რამ გააკეთა, რაც ვერ შეფასდება კანონზომიერ და გამართლებულ ქმედებად.

**Frankfurter Allgemeine Zeitung**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სავალუტო ბაზარი FOREX-ი ან უარყოფითადაა განწყობილი ევროზონაში ბერძნების დატოვების მცდელობების მიმართ, ან სულ სხვა ფაქტორებზე რეაგირებს. ექსპერტთა წრეებს მიაჩნიათ, რომ მიზეზი, საბერძნეთი კი არა, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემაა.**

# ევრო დაეცემა ამერიკის და არა საბერძნეთის გამო

**მსოფლიო სავალუტო ბაზარზე დოლარის მიმართ ევროს კურსი ეცემა. თუ 10 ივლისს კურსი თითქმის 1,12-ს შეადგენდა, 16 ივლისის მონაცემებით, 1,08-მდე ჩამოვიდა. ამ საკმაოდ სწრაფ ვარდნაში ყველაზე საოცარი ისაა, რომ ეს ყველაფერი ხდება ჯერჯერობით საკმაოდ წარმატებული მცდელობების ფონზე, თავიდან იქნეს აცილებული ევროზონიდან საბერძნეთის გასვლა.**



ძალზე მკვეთრი ვარდნა იყო 13 ივლისს, არადა, სწორედ იმ დილით ბრიუსელში ევროზონის ქვეყნების ლიდერთა სამიტზე მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება საბერძნეთისთვის ფინანსური დახმარების ახალი პროგრამის თაობაზე. 16 ივლისის ღამეს ათონში პარლამენტმა დაამტკიცა ფულის მიღებისთვის აუცილებელი რეფორმების პირველი პაკეტი, მაგრამ ევროს გაყიდვა ამან ვერ შეაჩერა, თუმცა ამ ამბების ფონზე ევროპულ საფონდო ბაზარზე აქციების კურსი იზრდება, თანაც საკმაოდ სწრაფი ტემპით.

გამოდის, რომ **სავალუტო ბაზარი Forex-ი ან უარყოფითადაა განწყობილი ევროზონაში ბერძნების დატოვების მცდელობების მიმართ, ან სულ სხვა ფაქტორებზე რეაგირებს. ექსპერტთა წრეებს მიაჩნიათ, რომ მიზეზი, საბერძნეთი კი არა, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემაა.**

იმ ანტიკრიზისული პოლიტიკის დაწყებიდან შვიდი წლის შემდეგ, რომლის დროსაც საპროცენტო განაკვეთები პრაქტიკულად ნულოვან დონეზე რჩებოდა, ამერიკული ცენტრალური ბანკი ემზადება, ბოლო მოუღოს ზეიაფი ფულის პოლიტიკას და დაიწყოს იმ პროცენტების მომატება, რომლითაც ლიკვიდურობის ბაზარს ამარაგებს.

სწორედ ეს პერსპექტივაა ახლა გაცვლითი კურსის მამოძრავებელი. ახლა მიმდინარეობს არა იმდენად ევროს დასუსტება, რამდენადაც დოლარის გამყარება, კაპიტალი ხომ, როგორც წესი, ყოველთვის იქეთ მიედინება, საითაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებია და სადაც ამ განაკვეთების შემდგომი ზრდაა მოსალოდნელი.

ეს მოლოდინები სწორედ იმ დღეს გაჩნდა, როდესაც საზოგადოებრიობის ყურადღება ევროპისკენ იყო მიმართული, ყოველ შემთხვევაში ევროპაში, და ამის გამო ოკეანის გაღმა გაკეთებული ზოგიერთი საკვანძო განცხადება შეუმჩნეველი დარჩა. მაგალითად, ევროს გაყიდვები ან, უფრო ზუსტად, დოლარის ყიდვა დაიწყო 10 ივლისს და გაგრძელდა 13 ივლისს, მას შემდეგ, რაც ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელმა ჯანეტ იელენმა ამერიკულ კლივლენდში გამოსვლისას საპროცენტო განაკვეთების გაზრდას დროული უწოდა.

ეს ის სიგნალი იყო, რომელსაც ბაზრის მონაწილენი ელოდნენ. 15 ივლისს აშშ-ის კონგრესის წინაშე ანგარიშით წარდგენისას **ჯანეტ იელენმა** პრაქტიკულად გაიმეორა თავისი ნათქვამი, რომ დადგა ფულადი პოლიტიკის ნორმალიზების დაწყების დრო და საკმაოდ ოპტიმისტურად შეაფასა ამერიკული ეკონომიკის მდგომარეობა. ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის აზრით, ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სტაბილურია იმისათვის, რომ კრედიტების გაძვირებას გაუძლოს, მიუხედავად საფრთხეებისა, რომლებიც ახლა საბერძნეთის სავალე კრიზისიდან და ჩინეთში ბირჟების „ჩამოშლიდან" მომდინარეობს.

სულ რამდენიმე საათის შემდეგ კი ფედერალური სარეზერვო სისტემის სან-ფრანცისკოს განყოფილების ხელმძღვანელმა ჯონ უილიამსმა პირდაპირ განუცხადა ჟურნალისტებს: „სექტემბერი ძალიან კარგი დრო იქნებოდა მომატებისთვის". უფრო მეტიც, მან გამოთქვა ვარაუდი, რომ წლის დასასრულამდე პირველ ნაბიჯს მეორეც მოჰყოლოდა. სწორედ ამ სიტყვებმა განაპირობა ის, რომ 16 ივლისს ევროს კურსი 1,09-ზე დაბლა დაეცა. ახლა ბაზრის მონაწილენი იმაზე ეწყობიან, რომ საპროცენტო განაკვეთები აშშ-ში გაიზრდება როგორც სექტემბერში, ასევე დეკემბერში.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1,08-1,09-მდე ევროს კურსის დაცემა სულაც არ არის ზღვარი. მიმდინარე წლის მარტში ხომ ერთი ევროს სანაცვლოდ უკვე იძლეოდნენ 1,05 დოლარზე ნაკლებსაც კი, რადგან აშშ-ში საპროცენტო განაკვეთების მატების დაწყებას ივნისიდან ელოდნენ. მთელმა რიგმა უმნიშვნელო მაკროეკონომიკურმა მაჩვენებლებმა მაშინ უკიდურესად ფრთხილი ფედერალური სარეზერვო სისტემა აიძულა, განუსაზღვრელი დროით გადაედო ეს ნაბიჯი.



შედეგად ევროს კურსმა კვლავ მატება დაიწყო და მაისის რომელიღაც მონაკვეთში 1,14-იან ნიშნულსაც კი გადააჭარბა. იმავე დროს აშშ-ის ეკონომიკასა და შრომის ბაზარზე დინამიკა საგრძნობლად დასტაბილურდა, რის გამოც ახლა საქმე კვლავ დოლარის გამყარებასა და ევროს დასუსტებაზე მიდგა. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, რომ უკვე მომავალ შემოდგომაზე ვალუტების პარიტეტის მომსწრენი გავხდეთ და ევროს ფასი დოლარისას გაუტოლდეს.

**ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად ჩქარა და როგორი ნაბიჯებით დაიწყებს ფედერალური სარეზერვო სისტემა საპროცენტო განაკვეთების გაზრდას.** ეს ახლა საკვანძო ფაქტორია მსოფლიო სავალუტო ბაზარზე. რაც შეეხება საბერძნეთში შექმნილ მდგომარეობას, ის, უკანასკნელი კვირების გამოცდილებიდან გამომდინარე, სავალუტო კურსებზე დიდ გავლენას არ მოახდენს და, რაც უნდა პარადოქსული იყოს, საქმე პირიქითაც კი არის.

საბერძნეთის გადარჩენის საქმეში წარმატებები ამჟამინდელ სიტუაციაში, დიდი ალბათობით, ხელს შეუწყობს ევროს დასუსტებას, რადგან შეამცირებენ ამ კრიზისთან დაკავშირებულ გლობალურ რისკებს და ფედერალურ სარეზერვო სისტემას საშუალებას მისცემენ, უფრო სწრაფი ტემპით გაზარდოს საპროცენტო განაკვეთები.

პირიქით, **ბერძნული პრობლემების გამწვავებამ, შესაძლოა, ჯანეტ იელენი აიძულოს, დაამუხრუჭოს ფულადი პოლიტიკის ნორმალიზების პროცესი, რომელიც დოლარის დროებით დასუსტებას და ევროს კურსის მომატებას განაპირობებს.** თუმცა ნათელია, რომ მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ევრო განაგრძობს დაცემას, რითაც ძალზე გაახარებს ევროპელ ექსპორტიორებს.

**Deutsche Welle**

# ვის უყვარს ევროპა?

**დიდ ბრიტანეთს? ბრიტანეთი ერთი თვალით ამერიკის შეერთებულ შტატებს შეჰყურებს, მეორით კი — შოტლანდიას.**
**პორტუგალიას? ის ხომ თავად ამბობს, რომ მთლად ევროპა არ არის, რომ ის საუკეთესო შემთხვევაში ევროპის მხოლოდ კუდია. თუმცა, ეიფორიის მომენტებში ხანდახან ევროპის სახეცაა, პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ის პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას აპირებს.**

**ბალტიისპირეთს?** ახალგამომცხვარი ევროპელები ან ცოტა ხნის წინათ დაბრუნებულები... ვერ გაიგებ. ზოგიერთს სპეცრაზმებიც კი ჰყავს.

**უკრაინა** ფორმაში არაა, მაგრამ იყო კი ის ოდესმე ფორმაში?

**ფინეთს?** შეპყრობილია შიშით, რომ ოდესმე დაკარგავს მამილო „ნოკიას".

**ხორვატიას?** მზრუნველი პროტექციით XX საუკუნის ბოლო ევროპული ომიდან გამარჯვებული გამოვიდა. არსებობს უკეთესი რეზიუმეებიც.

**შვეიცარიას?** ის მხოლოდ ოხრავს: „არ გამრიოთ ყველა ამ კინკლაობაში".

**იტალიას?** კი, ალბათ, მაგრამ რომელ მათგანს — ჩრდილოეთს, სამხრეთს თუ ცენტრალურს? თხელი თუ სქელი ცომით?

**ესპანეთს?** ესპანური, გარდა გერმანული იბიცასა და ტორემოლინოსისა, რომელიც ჰიბრალტარის მკვიდრთ სირცხვილისგან აწითლებს.

**საფრანგეთს?** მუდმივი ფრანგული გამონაკლისი წესებიდან — exception francaise, რომლის არსიც არავის ესმის. გასაგებია მხოლოდ ის, რომ Vraie Europe-ის დამყარების შემთხვევაში მისი შტაბ-ბინა პარიზში იქნება.



**ირლანდიას?** უკვე დროა, მიატოვოს იმ ბიჭის თვითკმაყოფილი ღიმილი, რომელმაც იცის, რომ ნამდვილი ევროპის მოწყობისთვის შტაბ-ბინა უნდა მდებარეობდეს კორკეში, დედაქალაქი კი — დუბლინში.

**გერმანია**... კი, რა თქმა უნდა.

**საბერძნეთი** — ბოდიში, მშვიდობით.

**შვედეთი** ძალზე მომხიბვლელია, მაგრამ ძალიან ჰგავს დანიას.

**ავსტრია** იტანჯება ფროიდისეული კომპლექსით, რომლისგან გათავისუფლებაც გაუძნელდება.

**თურქეთი** უკვე შეეშვა კლუბში გაწევრების მცდელობას, კლუბში, რომლის წევრადაც ჯიუტად არ იღებენ.

**დანია** კარგია, მაგრამ ძალიან ჰგავს შვედეთს.

**ჰოლანდიაში** უფრო მეტი ველოსიპედია, ვიდრე მთელ ჩინეთში, სადაც ველოსიპედების რაოდენობა დღითიდღე იკლებს.

**რუმინეთი** სულ უფრო ხშირად დუმს. კარგია კი ეს?

**ბულგარეთში** ყოფილ მეფეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად ირჩევენ. გადაწყვიტონ ბოლოს და ბოლოს.

**უნგრეთი** ამბობს, რომ კედელს მხოლოდ თავისთვის აშენებს და არავის გაუყოფს.

**ბელგია** გამოგვრჩა?

და **ლუქსემბურგი**. ის ისევ საგადასახადო სამოთხეა თუ ის დროც წავიდა?

რჩებიან ადამიანები, რომლებიც უზარმაზარი რისკებისა და მსხვერპლის ფასად ხმელეთიდან თუ ზღვიდან ევროპამდე მიღწევას ცდილობენ. როგორც ჩანს, მათ კანის შეუფერებელი ფერი აქვთ, მაგრამ შესაფერისი გულები. ისინი არიან ერთადერთნი, ვისაც ევროპა უყვარს.

და, შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით, თუ დავფიქრდებით, ისინი ნამდვილად იმსახურებენ ევროპელობას.

**Publico**

**„აშშ-ში უსახლკარონი არიან, ძირითადად, 35-40 წლის ადამიანები, ისინი ხიდის ქვეშ ცხოვრობენ და გზის პირას მათხოვრობენ. არადა, რეალურად ახლა ამერიკაში უსახლკაროთა საშუალო წლოვანება 11 წელია“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თანამედროვე ფინანსების იდუმალი პატრონები

**თავის წიგნში „ფინანსების მბრძანებლები: ბანკირები, რომლებმაც მსოფლიო გადაატრიალეს“ ეკონომისტი ლიაკვატ ახამედი ყვება ისტორიას, თუ როგორ „გადაატრიალა მსოფლიო“ და გამოიწვია „დიდი დეპრესია“ ცენტრალური ბანკების ოთხმა ხელმძღვანელმა, რომლებიც ცდილობდნენ, „ოქროს სტანდარტის“ ერთგულნი დარჩენილიყვნენ. ცენტრალური ბანკების ამჟამინდელი ხელმძღვანელები იზიარებენ ახალ საყოველთაოდ მიღებულ თეორიას იმის თაობაზე, რომ რბილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მომგებიანია. ნუთუ მონეტარული ხელისუფლება კვლავაც მზადაა მსოფლიოს გადასატრიალებლად?**



ორთოდოქსულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ოქროს სტანდარტი წმიდათაწმიდად აღარ ითვლება. 1920-იან წლებში ცენტრალური ბანკების მხრიდან მის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება გახდა საპროცენტო განაკვეთების არასწორი მართვის საბაბი, რომელმაც გლობალური ეკონომიკური კრიზისი განაპირობა, საბოლოო ჯამში კი, წინაპირობები შექმნა მეორე მსოფლიო ომისთვის. თუმცა კოორდინირებული რბილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უპრეცენდენტო პერიოდი, რომელიც 2008 წლის ფინანსური კრიზისისას დაიწყო, შესაძლოა, ანალოგიური პრობლემების საბაბი გახდეს. მისი გავლენა ფინანსურ ბაზარზე უკვე უზარმაზარია.

პირველადი ეფექტი თვალნათელია. ინვესტორებს გაუძნელდათ დადებითი რეალური შემოსავლების მიღება იმ ინვესტიციებიდან, რომლებიც ტრადიციულად „მშვიდ სავანედ“ ითვლებოდა. მაგალითად, სიცოცხლის დამზღვევი კომპანიები დიდი სირთულეების ფასად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. კომპანია Swiss Re-ის ბოლოდროინდელი ანგარიშის თანახმად, სახელმწიფო ობლიგაციები მათ „რეალურ ღირებულებასთან“ მიახლოებულ ფასად რომ იყიდებოდეს, ამერიკასა და ევროპაში სადაზღვევო კომპანიები დამატებით დაახლოებით 40-80 მილიარდს გამოიმუშავებდნენ 2008-2013 წლებში. საპენსიო ფონდები შეძლებდნენ ყოველწლიური შემოსავლების 40-50 მილიარდი დოლარით გაზრდას, დროის იმავე მონაკვეთში ობლიგაციების შემოსავლიანობა სულ რაღაც 1%-ით მეტი რომ ყოფილიყო.

ინვესტორების პასუხი თითქმის ნულოვან საპროცენტო განაკვეთებზე აქტივების განთავსების საქმეში უპრეცენდენტო ცვლილებები იყო. მათ გაზარდეს ინვესტიციების რაოდენობა უფრო სარისკო აქტივებში. დასაწყისისთვის გადავიდნენ უფრო სარისკო საკრედიტო ინსტრუმენტებზე, რომელმაც კორპორაციული ობლიგაციების სპრედების შეკუმშვა განაპირობა. როდესაც კომერციულ ფასიან ქაღალდებზე შემოსავალი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა, ინვესტორებმა გადაწყვიტეს, აქციების ბაზარზე გადართულიყვნენ. ბოლოდროინდელი გამოკითხვის მონაცემების თანახმად, გლობალური ინსტიტუციური ინვესტორების დაახლოებით 63%-მა გაზარდა დაბანდებები განვითარებული ქვეყნების კომპანიების აქციებში. ამასთანავე, მათი 60% ელის ბაზრის კორექციას 10-20%-ით.

მსოფლიოს ყველაზე კონსერვატიული ინვესტორებიც კი დათანხმდნენ, საკუთარ თავზე აეღოთ უპრეცენდენტო რისკები. იაპონიის საპენსიო ფონდებმა, მათ შორის მსოფლიოს უდიდესმა საპენსიო ფონდმა, ობლიგაციების ადგილობრივი ბაზარი საპროცენტო განაკვეთების რეკორდულად დაბალ დონემდე დასცეს. უცხოურ აქციებსა და ობლიგაციებში მზარდ ინვესტიციებთან ერთად ისინი, უკვე მეხუთე კვარტალია, ზედიზედ ზრდიან იაპონური კომპანიების აქციებში დაბანდებებს.

ეს საინვესტიციო გადაწყვეტილებები გასაგებია იმ ციცქნა შემოსავლების ფონზე, რომელთა მიღებაც შეიძლება ფიქსირებული შემოსავლების ინსტრუმენტებში დაბანდებიდან, მაგრამ ამგვარი პოლიტიკის თანმდევი მეორადი ეფექტი, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, დამანგრეველი აღმოჩნდეს.

ვიდრე გლობალური რაოდენობრივი შეღავათების, იაფი ნავთობისა და ინსტიტუციური ინვესტორების მხრიდან დაბანდებების ზურგის ქარი განაგრძობს ქროლვას, საფონდო ბირჟებზე რალი გაგრძელდება. მაგრამ რომელიღაც მომენტში ნამდვილი საბაზრო კორექცია დაიწყება. და როდესაც ეს მოხდება, საპენსიო ფონდები და სადაზღვევო კომპანიები საფონდო ბაზრების მერყეობით ამჯერად უფრო დაზარალდებიან, ვიდრე ოდესმე.

აქციების ბაზარზე ჭარბი დამოკიდებულება გაჩნდა მაშინ, როდესაც დემოგრაფიული ტენდენციები საპენსიო ფონდების საწინააღმდეგოდ მუშაობს. მაგალითად, გერმანიაში მოსახლეობის 20% უკვე 65-ზე მეტი წლისაა, **შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა რაოდენობა ამჟამინდელი 50 მილიონიდან 2060 წლისთვის 34 მილიონამდე შემცირდება.** განვითარებად ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობის სწრაფი ზრდისა და შობადობის კლების ტენდენციები, როგორც ჩანს, განაპირობებს იმას, რომ 2050 წლისთვის ჩინეთში 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდება. **ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამატებით გაჩნდება დაახლოებით მილიარდ-ნახევარი ადამიანი, რომელსაც შრომისუუნარობის გამო მხარდაჭერა დასჭირდება.**

შესაძლოა, ამ ყველაფერმა განაპირობოს საპენსიო ფონდების მხრიდან ვალდებულებების შესრულების პრობლემა. ამ შემთხვევაში დახმარების აღმოჩენა მოუწევთ ხელისუფლებებს, ცხადია, თუ შეძლებენ. 2007 წლიდან მსოფლიოში საერთო შიგა პროდუქტის მიმართ სახელმწიფოების ვალები ყოველწლიურად 9,3%-ით მატულობს.

ახალმა „ფინანსების მბრძანებლებმა“, როგორც ჩანს, წარმატებით მიაღწიეს მრავალ მიზანს, რომლებიც შვიდი წლის წინათ გაჩაღებული ფინანსური კრიზისის შემდგომ იქნა დასახული. ამისათვის შექებას იმსახურებენ, მაგრამ, როდესაც საგანგებო მდგომარეობაა, მასშტაბური პოლიტიკური პასუხი ყოველთვის მიდის გაუთვალისწინებელ შედეგებამდე და, როგორც წესი, თესავს თესლს მორიგი სრულფასოვანი კრიზისისთვის. ბაზრებზე ბოლო რყევების გათვალისწინებით შეიძლება დაისვას კითხვა: ხომ არ დაიწყო უკვე ეს ახალი სრულმასშტაბიანი კრიზისი?

**Project Syndicate**

# აშშ-ში უსახლკარო ბავშვების რაოდენობა იმატებს




**2013 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აშშ-ში ყოველი მე-13 ბავშვი უსახლკაროა. მათი რაოდენობა კი მუდმივად იზრდება.**

ფლორიდის შტატის დროებით თავშესაფარში ამერიკელი სკოლის მოსწავლეებისთვის ცეკვის გაკვეთილი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ეს ბავშვები, ისევე, როგორც ათასობით ბავშვი ამერიკაში, უსახლკარონი არიან.

**„აშშ-ში უსახლკარონი არიან, ძირითადად, 35-40 წლის ადამიანები, ისინი ხიდის ქვეშ ცხოვრობენ და გზის პირას მათხოვრობენ. არადა, რეალურად ახლა ამერიკაში უსახლკაროთა საშუალო წლოვანება 11 წელია“,** — ამბობს უსახლკაროთა დახმარების ფონდ Chapman Partnership-ის მმართველი ალეკ როუზენი.

ყველა ასეთ ბავშვს ერთ-ერთი მშობელი მაინც ჰყავს, მაგრამ არ აქვს სახლი. ფონდის ერთ-ერთი პედაგოგის განცხადებით, ზოგიერთი ბავშვი, უკვე 3-4 წელია, თავშესაფარში ცხოვრობს, ისინი დაუძლურებულნი არიან და უძლიერეს სტრესს განიცდიან.

სკოტის აზრით, ეს ჩაკეტილი წრეა — **ბავშვები იზრდებიან თავშესაფრებში, შემდეგ კი თავიანთი შვილები მიჰყავთ იმავე თავშესაფრებში. 20 წლის მანძილზე ზემოხსენებული თავშესაფრის კედლებში 180 ათასი უსახლკარო ცხოვრობდა, მათგან 20%-ს ბავშვები შეადგენდნენ.**

ფსიქოლოგიურად ტრავმირებული ბავშვები, რომელთაც არ გააჩნიათ მომავლის იმედი, მხარდაჭერას საჭიროებენ. ფლორიდის თავშესაფარი უსახლკარო ადამიანებისა და მათი შვილების მხარდასაჭერად წელიწადში დაახლოებით 15 მილიონ დოლარს ხარჯავს. ეს ფული მას ეძლევა როგორც სახელმწიფო დაფინანსებიდან, ასევე კერძო პირებისგან, მაგრამ, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის. უსახლკაროდ დარჩენილი უამრავი ბავშვი ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავაც ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად რჩება.

**russian.rt.com**

მოკლედ

## თურქეთმა «ისლამური სახელმწიფოს» სამი ბაზა დაბომბა

**თურქეთის მთავრობის განცხადებით, ქვეყნის სამხედრო ძალებმა „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციები დაბომბეს.** თურქეთის ჯარმა ზომები მას შემდეგ მიიღო, რაც ერთი დღის წინათ თურქეთ-სირიის საზღვარზე „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა თურქ მესაზღვრეებს ცეცხლი გაუხსნეს, რომლის შედეგადაც ერთი მესაზღვრე დაიღუპა, ხოლო ორი დაიჭრა. პრემიერმინისტრ აჰმეთ დავუთოღლუს ადმინისტრაციის განცხადებით, საჰაერო იერიშები თურქეთის საჰაერო ძალების F-16-ის ტიპის გამანადგურებლებმა მიიტანეს. საერთო ჯამში დაიბომბა „ისლამური სახელმწიფოს“ სამი ბაზა. ასევე, ცნობილი ხდება, რომ თურქეთი აშშ-ს ერთ-ერთ სამხედრო ბაზას დაუთმობს, რომლიდანაც აშშ სირიაში მდებარე „ისლამური სახელმწიფოს“ ბაზებს დაბომბავს. ამას გარდა, თურქეთის პოლიციამ ქვეყნის შიგნით „ისლამურ სახელმწიფოსთან“ თანამშრომლობის ბრალდებით მასობრივი დაჭერები დაიწყო. მხოლოდ სტამბულში ამ ბრალდებით 140 ადამიანი დააკავეს. სპეცოპერაცია ქალაქის 26 უბანში ჩატარდა და მასში პოლიციის 500 თანამშრომელი მონაწილეობდა.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანაში შექმნილია ამერიკის მიერ ზურგგამაგრებული მეხუთე კოლონა, რომელმაც უკვე მოახერხა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობიერების დეფორმირება მათ კონტროლს დაქვემდებარებული მედიასაშუალებებით და ცდილობს, ჭეშმარიტად ეროვნული ადამიანები ქართული სახელმწიფოს მტრებად წარმოაჩინოს.**

# დამაბრალეთ რუსეთუმეობა, ამით მხოლოდ ვიამაყებ, რომ დემოკრაკი არ ვარ!

„ვინც საქართველოში ფეხს მოიკიდებდა,
იგი დიდს ზემოქმედებას იქონიებდა მთელს
დასავლეთსა და მცირე აზიაში და
სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკის ხელთ
ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად.
ბევრჯერ ააოხრეს საქართველო,
ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს.
ამ ტანჯვა-წამებით შეინარჩუნა რჯული,
ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და ქვეყანა“.

ილია



**საუკუნეების განმავლობაში მუსლიმანური ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საქართველოს დაპყრობაში, მაგრამ კეთილგონიერებამ გაიმარჯვა ქართველ მეფეებში, ერთმორწმუნე რუსეთს მივანიჭეთ უპირატესობა. საქართველოს მოსახლეობა, რომელიც, ოფიციალური მონაცემებით, 1814 წელს 400 000-მდე იყო, 1991 წლის ბოლოს 5 467 000 გახდა. დღეს რუსეთში დიდი ქართული დიასპორაა, გვაქვს ისტორიული სარწმუნოებრივი კავშირები.**

ევრაზიული კავშირი იქნება ის ეკონომიური სივრცე, რომელიც მომავალში ქვეყნის წინსვლას განაპირობებს. მიუხედავად ასეთი პერსპექტივისა, ევროპა-ამერიკის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ჩვენი სამშობლო იმ გზაგასაყარზე დააბრუნა, რომელზეც მე-18 საუკუნის ბოლოს იდგა. საქართველომ რეგრესი განიცადა და სააკაშვილის ნატერფალზე სიკვდილის აჩრდილი რომ დაძრწის ქვეყანაში ცოტა ხნის წინათ მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამაც ცხადყო.

მაშ, **რატომ მიუყვება ჩვენი ხელისუფლება ამ ნაკვალევს? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — მხოლოდ პოლიტიკური დღეგრძელობის, დასავლეთიდან მიღებული გრანტებისა თუ სხვა დაფინანსების გახანგრძლივების მიზნით. ამიტომაც არ ინება, საბერძნეთის ხელისუფლების მსგავსად, ეთქვა დასავლეთისთვის — არა! საბერძნეთის მაგალითიც საკმარისია გავაცნობიეროთ, რომ დასავლეთი ქვეყნის ეკონომიურ ანექსიას ახდენს და ხალხის ბედ-იღბალი უხერხულ ცისფერ ადგილზე ჰკიდია. სხვა ქვეყნები უარეს მდგომარეობაში არიან, მაგალითად, ესპანეთის საგარეო ვალი ტრილიონ ევროზე მეტია.**

მსოფლიო ბატონობისკენ მიმართული ამერიკის პოლიტიკა ერთ მიზანს ემსახურება — ყველა ხელისუფლება მის ინტერესებს ატარებდეს თავის ქვეყანაში. რუსმა მწერალმა და ანალიტიკოსმა **გრიგორი კლიმოვმა** გონივრული ახსნა მოუძებნა იმ ძალებს, რომლებიც სხვა ქვეყნის ინტერესებს ლობირებენ: **„ამა თუ იმ ქვეყნის დასანგრევად დეგენერატი, გადაგვარებული ლიდერი გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ბირთვული ომი“.**

დასავლეთის ყალბ იდეოლოგიას კარგად აუბა მხარი „მეოცნებეთა“ პარტიამ, რომელიც იმიტომ მოვიყვანეთ ხელისუფლებაში, რომ საზოგადოებამ ფუფუნებაში აცხოვროს, ჩვენივე გადახდილი თანხებით მსუყედ დავაფინანსოთ და ჩვენზე აღმატებულად მივიჩნიოთ ის ადამიანები, რომელთათვისაც სამშობლოს სიყვარული პირად კეთილდღეობასთან ასოცირდება.

**„მეოცნებენი“, რომლებიც ბიძინას ზურგს არიან ამოფარებულნი, დღეს საზოგადოებისთვის გაცილებით საშიშნი არიან, ვიდრე „ნაცები“.**

გავიხსენოთ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების წინა პერიოდი: ხელისუფლებამ ხალხის გულის მოსაგებად მიიღო კანონი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ამას სრულიად მოულოდნელად მოჰყვა ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთხმად მიღება პარლამენტში. ამჟამად ობამას განცხადების (ერთნაირსქესიანთა ქორწინების ყველა შტატში დაკანონებაზე) საპასუხოდ პრემიერმა ღარიბაშვილმა ხალხის გული კვლავ მოინადირა განცხადებით, რომ კონსტიტუციით გაამყარებდა საქართველოს პოზიციას; მეტიც, საზოგადოების საამებლად აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანაც დააანონსა ხელისუფლებაში მოსვლიდან 3 წლის შემდეგ (?!). რაც შეეხება სტალინის ძეგლს, რომლის დადგმასაც დაჰპირდა გორელებს, როგორც ჩანს, ივანიშვილთან კონსულტაციის შემდგომ გადაიფიქრა და უარი მივიღეთ, რადგან, ივანიშვილის ცნობიერებით, სააკაშვილი პატარა სტალინია (?!). სამწუხაროა, რომ სტალინთან მებრძოლი კიდევ ერთი ქართველი გაუზრდია საქართველოს. **ფაშიზმისგან მსოფლიოს გამათავისუფლებელი სტალინი იყო გულანთებული პატრიოტი, სამართლიანი ადამიანი, რომელსაც ანალოგი არ ჰყოლია მსოფლიოში თავისი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. სტალინს ივანიშვილივით მილიონები არ უგროვებია და ქვეყანა უცხო ქვეყნის მონად არ უქცევია.** მსოფლიოს გენიოსი ლიდერი, რომელსაც ჩერჩილი და რუზველტი ფეხზე უდგებოდნენ, ივანიშვილმა ფსიქოპათი, ნაძირალა სააკაშვილის სწორფერად მოიხსენია; **სტალინი კიტელსა და ფეხსაცმელს არ იცვლიდა, ქვეყანას ტვირთად არ დააწვესო. მას, ივანიშვილის ხელისუფლების მსგავსად, კერძო შპს-დ არ უქცევია ქვეყანა და ქართველი ხალხის ხარჯზე მილიონები არ ჩაუჯიბავს. როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, „საოცნებო“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გაცემულია 3.400 000 ლარი პრემიებად, დანამატების სახით — 400 000 ლარი და ეს მაშინ, როცა მინისტრის ხელფასი მინიმუმზე 33-ჯერ მეტია.**

დროა, ქართველმა საზოგადოებამ თავი დაანებოს სირაქლემის პოზაში ჩადგომას და ხელისუფლების გამართლებას, რომ თავის გადაწყვეტილებებში არ არის თავისუფალი. სად გაქრა ქართული, კაცური ღირსება?! **რატომ დარჩა უპასუხოდ გორის მუნიციპალიტეტზე ზემოქმედება და თითის ქნევა პოლონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ამერიკის ელჩისგან? რატომ არის დღემდე სტალინის ძეგლი მიგდებული კარალეთის გზაზე?** ძეგლებთან მებრძოლ სააკაშვილს ივანიშვილმაც მიჰბაძა, მაგრამ სტალინის გენიას, რომელმაც მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნა, ვერასოდეს გადაფარავს. ივანიშვილ-ღარიბაშვილის გადასაწყვეტი არ არის სტალინის ძეგლის დადგმის საკითხი, რომელსაც სრულიად საქართველოს მოსახლეობის უმრავლეობა უჭერს მხარს. **ვერც ფიროსმანის სურათის საქართველოსთვის დაბრუნებით, ვერც ახალი ზოოპარკის მოწყობით, ვერც „პანორამა თბილისის“ მშენებლობით, რომელიც ძველი თბილისის იერ-სახეს შლის, და ვერც სხვა ქველმოქმედებით ივანიშვილი ვერასდროს გადაფარავს:**

*ბარბაროსობასა და ვანდალიზმს, რომლებიც საყდრისის მიმართ ჩაიდინეს! — რა არის ეს: ქართველების გულის მოგების წილ სულში ჩაფურთხება?

***ხუდონჰესის მშენებლობის გამო სვანეთის წყალში ჩაძირვის მცდელობას. ეს პროექტი მჟავანაძის პერიოდში სსრკ-ის ენერგეტიკის მინისტრმა პეტრე ნეპოროჟნიმ შეაჩერა და ხელისუფლებას მიმართა: ნუთუ არ გრცხვენიათ, საქართველოს მარგალიტი – სვანეთი წყალში ჩაძიროთ?**

*ფსიქოპათი, მანიაკი, მკვლელი და ქართველთმოძულე სააკაშვილის გადარჩენას თავის კრიმინალურ ბანდასთან ერთად, რომელსაც რეაბილიტაციის საშუალებაც მისცა და სხვადასხვა ინფორმაციით, ქვეყნიდან გატანილი 19 მილიარდიც გაუთეთრა (ივანიშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით, სტალინი ხალხის მტრებს სასათბურე პირობებს არ უქმნიდა).

***ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, რითაც ქართველ ერს ღირსება შეულახა.**

*ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვას.

მართალია, ივანიშვილის მოსვლა პოლიტიკაში წინა ხელისუფლებასთან შედარებით დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ მისი რჩეული პოლიტიკოსების პოლიტიკა შორს არის ქართველთა რეალური ოცნებისგან. „ნეტარ არიან მორწმუნენი“, მაგრამ საინტერესოა, რას ელიან ის ადამიანები, რომლებიც ივანიშვილის მეორედ მოსვლაზე ოცნებობენ? ერთხელ მოსვლით ხომ პოლიტიკური ფუნა შეიტანა პარლამენტში, „ყველაფერი გაწერილია, ყველაფერი კარგად იქნება“-ს პრინციპით; მეორედ, დიდი ალბათობით, ჩვენი ცნობიერების შეცვლას შეეცდება, რათა დაგვარწმუნოს, რომ ეს მართლაც ასეა. **მართალია, ივანიშვილმა ქართული ოცნება ვერ აგვისრულა, მაგრამ დაინტერესდა ჰომოსექსუალი ფროიდის მოდერნიზმით ფსიქიატრიაში, რომელიც თვითმკვლელობის ფორმებს სხვადასხვა სურვილის ასრულებად განიხილავს.**

მაგალითად, დახრჩობა ორსულობას ნიშნავს, სიმაღლიდან გადმოვარდნა – ბავშვის გაჩენას და ა.შ. ეს კი ნიშნავს, რომ, თუ ვინმემ „ოცნებისტების“ მმართველობის პირობებში თავი მოიკლა, თავისი დიდი ხნის ოცნება აუსრულებია. თუმცა, თუ ოცნება სრულდება, რა მნიშვნელობა აქვს, ის ქართული იქნება თუ ამერიკული?! მსგავს მოსაზრებებს სრულიად ემიჯნება ბიბლია და ნათლად განმარტავს: „თუ ერთ ბრმას მეორე ბრმა მიჰყავს, ორივე ორმოში ჩავარდება“. სიბრმავეა, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყანას, ქართველ ხალხს უფსკრულისკენ მიაქანებენ და მისგან წარსულის დავიწყებას მოითხოვენ. წარსული კი თავს არ გვავიწყებს: **საქართველო იფურჩქნებოდა და ყვაოდა. გვქონდა მეცნიერებათა აკადემია, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური მრეწველობა, ელმავალმშენებელი და ჩარხმშენებელი ქარხნები და 75 დასახელების მძიმე მრეწველობის პროდუქცია გადიოდა ქვეყნიდან. საქართველო 95%-ით აკმაყოფილებდა სსრკ-ის მოთხოვნას ჩაიზე, ეს ყოველივე კი ნიშნავს, რომ ქვეყნის წინსვლით თავად რუსეთი იყო დაინტერესებული და მასთან თანაცხოვრების პერიოდში საქართველომ დემოგრაფიული, კულტურული და ეკონომიკური განვითარების არნახულ მასშტაბებს მიაღწია.**

დღეს ხელისუფლებას ქვეყნის პოლიტიკა საკუთარ კეთილდღეობაზე აქვს მორგებული და ივანიშვილი გვმოძღვრავს: „ჩვენ გვყავს ძალიან წარმატებული პრემიერი და მთავრობა“(?!). **დავუჯეროთ და ჩვენი სამშობლო გადავაყოლოთ უკანალებს დეგრადირებული, გახრწნილი ადამიანებისა, რომლებმაც ლგბტ თემი ახალ ფასეულობად აქციეს?!**

მოკლედ შევეხები თანამდებობრივ სავარძლებს და მსუყე დაფინანსებას ჩაბღაუჭებული „პატრიოტების“ — **კახი კალაძისა** და **ელისო ჩაფიძის** განცხადებებს. როცა პირველი წარსულის შეცდომებზე აპირებს ლგბტ-ს მიმართულებით განათლდეს და ცნობიერება შეიცვალოს, მეორე გვმოძღვრავს, — გაგებით მოვეკიდოთო. **მანანა კობახიძე** კი „ლიბერასტებს“ თხოვნით მიმართავს: ოღონდ პრორუსულობას ნუ დამაბრალებთ, რაც გინდათ, დამაბრალეთო. საინტერესოა, ლგბტ თემის წევრობა რომ დავაბრალოთ, ღირსება არ შეელახება? ყველაზე მძიმე წონის „ეროვნული“ **გუბაზ სანიკიძე** საგარეო პოლიტიკის ცვლილებას შეუძლებლად მიიჩნევს. ამ „პატრიოტებმა“ არც საკანონმდებლო ბაზა შეცვალეს და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენასაც ეწინააღმდეგებიან.

**ქვეყანაში შექმნილია ამერიკის მიერ ზურგგამაგრებული მეხუთე კოლონა, რომელმაც უკვე მოახერხა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობიერების დეფორმირება მათ კონტროლს დაქვემდებარებული მედიასაშუალებებით და ცდილობს, ჭეშმარიტად ეროვნული ადამიანები ქართული სახელმწიფოს მტრებად წარმოაჩინოს.** მათ ცნობიერებაში ყველაფერი ქართული რუსეთთან ასოცირდება. ვერავინ მცემს პასუხს — მივიღეთ ის ნანატრი თავისუფლება, რომელიც რუსეთთან თანაცხოვრებისას გვაკლდა?

დღეს ქვეყნის ღალატი და რუსეთის ლანძღვა კარგად იყიდება საერთაშორისო ბაზარზე. ერთ-ერთი სატელევიზიო ეთერიდან („კავკასია“) ვისმენთ: „რუსეთი ყველაზე თავხედი ქვეყანაა მსოფლიოში“. სხვა სატელევიზიო ეთერიდან („ობიექტივი“) გვესმის რიტორიკა, რომ სსრკ-ის პერიოდში უამრავი ადამიანი დახოცეს. ეს ცალმხრივი გაშუქებაა თემისა. მაშინ პარალელი გავავლოთ დასავლეთის ქვეყნებიდან წამოსულ აგრესიასთან, როცა სამამულო ომში მილიონობით რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. **განა ფაშიზმთან გამკლავებას ქართველები რუსების გარეშე შეძლებდნენ ან 1878 წელს აჭარის გათავისუფლებას, რომელიც საქართველოს დაუბრუნეს? რამდენი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა 1821 წელს, როცა რუსეთმა თურქ-** ▶

## ვისი განკარგულებით გადაუსვეს ხაზი ჩვენს ღვაწლს და ამაგს? — ამ შეკითხვით მივმართავ საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორს, ბატონ შიხიაშვილს.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ეთს საქართველოს მონაწილეობით ახალციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია წაართვა?! ოპონენტი მეტყვის, თუ დაუბრუნა საქართველოს, თავის იმპერიას შეუერთაო (?!) — უმადურებო, ვის ინტერესებში იყო და ვინ სარგებლობდა ამ ტერიტორიით?**

აღარავის ახსოვს, **რამდენი ადამიანი დაიღუპა ამერიკის მიერ ყალბი მოტივაციით ინსპირირებული ინტერვენციების შედეგად, რომელთა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში მე-20 საუკუნიდან დღემდე 45-ია? რამდენი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა 1945 წელს ჰიროსიმა-ნაგასაკიში აშშ-ის მიერ ატომური ბომბის ჩამოგდების შედეგად?** თვითონ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ოფიცერი **რეი მაკჰოვენი** ადანაშაულებს დასავლეთს კიევის პუტჩის ორგანიზებაში და აღნიშნავს, რომ სპეცსამსახურების ვეტერანებმა წერილით მიმართეს **ანგელა მერკელს** და აცნობეს, რუსეთი უკრაინაში არ შეჭრილაო. ფაქტია, რომ რუსეთს კიევის პუტჩამდე ყირიმის მიერთება არც უცდია. მიუხედავად ამ რეალობისა, **ყველაზე „ეროვნული" ტელეეთერიდან („ობიექტივი") ყველაზე „ეროვნული" ქართველი (თარხან მოურავი) გვაფრთხილებს: „ნახეთ, რუსეთმა რა უქნა უკრაინას!"; შემდეგ კი უკვე „მაესტროდან" გვაიმედებს: ჩვენ ყველა ქვეყანასთან გვექნება კარგი ურთიერთობა, რუსეთთან — მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა" (?!). როგორც ჩანს, შეშინებულია, პრორუსულობა არ დამაბრალონო.**

დასავლეთისკენ 25-წლიანი სწრაფვის შედეგია, რომ საქართველო დღეს 3 ნაწილად არის დაშლილი და, ეს პროცესი რომ არ გაგრძელდეს, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან და გავაფორმოთ სამოკავშირეო ხელშეკრულება. ჩვენი დაცვა „ისლამური სახელმწიფოს" შესაძლო აგრესიისგან, და არამხოლოდ მისგან, რუსეთს შეუძლია. მოდი, უფრო გარკვევით და თამამად ვთქვათ: **სასწორის ერთ მხარეს დევს ამერიკის ინტერესებისადმი ერთგულება და პოლიტიკური დივიდენდები, მეორე მხარეს – დედასამშობლოს გადარჩენა და მადლიერი ქართველი ერი. ჩვენმა გენმოდელირებულმა პოლიტიკურმა ელიტამ პირველი აირჩია.** შედეგად მივიღეთ უცხოელებისთვის მიყიდული მიწა-წყალი, შეტევა ზნეობაზე, დაცლილი საქართველოს სოფლები (აღწერის მონაცემებით, ნახევარი მილიონი ადამიანია გასული სოფლებიდან) და უცხო თესლის ზეობა საქართველოში – დავრჩებით კი ერად? ქვეყნისთვის დამანგრეველი პოლიტიკის გატარება სადამდე მიიყვანს საქართველოს? — ამაზე შეშფოთებას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოთქვამდა ქართველი პოეტი:

**„რა ძნელია რუსთაველო,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე, ეს
არ არის საქართველო!"**

**იზა თამაზაშვილი**

**P.S. ოპონენტო ლიბერასტებო, დამაბრალეთ რუსეთუმეობა, ამით მხოლოდ ვიამაყებ, რომ დემოტრაკი არ ვარ.**

# ვეტერანი პასუხს ითხოვს

## საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილის მიერ 2015 წლის 19 ივლისს, 21 საათზე, «რუსთავი 2»-ის გადაცემა «P.S.»-ში გაკეთებული განცხადების გამო

**ამ წერილს ვწერ თბილისში გამრეკელის (ყოფილი კუტუზოვის) შესახვევის №6, ბ. №11-ში მცხოვრები, მხედრული მამაცობისა და სხვა მედლებით დაჯილდოებული, 87 წლის თადარიგის ვიცეპოლკოვნიკი ვახტანგ დოლიძე.**



1944 წელს საშუალო სკოლის მერვე კლასის 16 წლის მოსწავლემ მივმართე სამხედრო კომისარიატს, ომში სამშობლოს დასაცავად წასასვლელად, რათა ჩემი წვლილი შემეტანა ფაშიზმის დამარცხებაში. არასოდეს დამავიწყდება კომისარის სიტყვები — „შენი ომი აქ იწყება, დიმიტროვის სახელობის ქარხანაში. დაიმახსოვრე: ძლიერი ზურგი გამარჯვებაა ყველა ჩვენგანისთვის". ამ ლოზუნგით ვშრომობდით და ვიბრძოდით, რამაც გამარჯვება მოგვიტანა.

ხანში შესული 60 წლის კაცი მოხალისედ შევედი ეროვნულ გვარდიაში. შემდგომ გავხდი კადრის ოფიცერი, ვმონაწილეობდი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საბრძოლო მოქმედებებში, შედეგად II ჯგუფის ინვალიდი გავხდი.

ვეტერანის სტატუსის მიღებისას ავირჩიე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საბრძოლო მოქმედებების და არა დიდ სამამულო ომში მონაწილესთან გათანაბრებულის სტატუსი, მაქვს საბუთები და ჯილდოები.

ჩემი აღშფოთება გამოიწვია 2015 წლის 19 ივლისს, 21 საათზე ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გადაცემა „P.S."-ში გასულმა ინტერვიუმ, სადაც ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილემ **ჟანრი უბირიამ** ფართო საზოგადოების წინაშე განაცხადა: „მეორე მსოფლიო ომის ზოგიერთი ვეტერანის აზრი იყო, რომ ზურგის მუშაკები, რომლებიც ათასი კილომეტრით დაშორებულები იყვნენ ფრონტის წინა ხაზს, არ უნდა იყვნენ მათთან გათანაბრებულნი და მათსავით მიიღონ იგივე ჯილდო და საჩუქარი". **მოხელეს არ ეკადრება ამგვარი განცხადების გაკეთება ფართო აუდიტორიის წინაშე; ჩაიხედოს კანონში, რომელშიც ვეტერანები კატეგორიებად არიან დაყოფილნი, მათ შორისაა კოდი 700, რომელიც აღნიშნავს ომის მონაწილესთან გათანაბრებულს.** ეს განმარტება რას მივაწეროთ — კანონის უცოდინარობას თუ უსაფუძვლო პოზიციას, რომლის მიხედვით ზურგის მუშაკები ომის მონაწილეებთან გათანაბრებული არ უნდა იყვნენ. ომს იგებს არა მხოლოდ წინა ხაზზე მებრძოლი, არამედ ზურგის მუშაკიც. რომ არა ზურგი, ვინ მიაწვდის წინა ხაზს იმ აუცილებელ იარაღს, რომელიც გამარჯვებას უზრუნველყოფს? თუნდაც ის რად ღირს, საქართველოში მცხოვრებნი ფრონტზე გასაგზავნად რომ აგროვებდნენ სურსათ-სანოვაგეს, ჩასაცმელ-დასახურს და ა.შ. **„თუ ზურგი მაგარია — ომი მოგებული გაქვს",** — **ეს იყო გენერალისიმუსის იოსებ სტალინის სიტყვები.**

2015 წლის 9 მაისს, როცა აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი, სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენილთა სიაში ვიყავი მეც, თქვენი მონამორჩილი. შევაგროვე სათანადო საბუთები და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარვადგინე. **8 მაისს დამიკავშირდნენ და მთხოვეს, არ დამეგვიანებინა პრეზიდენტის სასახლეში გამოცხადება. სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. 9 მაისს, დილის 10 საათზე ვაკის პარკში ვეტერანთა კავშირის ხელმძღვანელობამ ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ ვეტერანებს გვაცნობა, რომ ჩვენი კატეგორიის ვეტერანები ამოღებულნი არიან პრეზიდენტის სასახლეში ბანკეტზე დამსწრეთა და დაჯილდოებულთა სიიდან!**

ისედაც გულნატკენ და ყველასაგან მივიწყებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ ვეტერანებს ჭრილობაზე მალამოს წასმის ნაცვლად მარილი დაგვაყარეს. დარწმუნებული ვარ, ომის არც ერთი მონაწილე არ შეურაცხყოფს მათთან გათანაბრებულ ვეტერანებს. მაშ, **ვისი განკარგულებით გადაუსვეს ხაზი ჩვენს ღვაწლსა და ამაგს? — ამ შეკითხვით მივმართავ საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორს, ბატონ შიხიაშვილს.**

**ვახტანგ დოლიძე**
**2015 წლის 22 ივლისი**

**8 მაისს დამიკავშირდნენ და მთხოვეს, არ დამეგვიანებინა პრეზიდენტის სასახლეში. სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. 9 მაისს, დილის 10 საათზე ვაკის პარკში ვეტერანთა კავშირის ხელმძღვანელობამ ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ ვეტერანებს გვაცნობა, რომ ჩვენი კატეგორიის ვეტერანები ამოღებულნი არიან პრეზიდენტის სასახლეში ბანკეტზე დამსწრეთა და დაჯილდოებულთა სიიდან!**

# ჰოლანდიელი ქალი პირველი ქმრის — კატის სიკვდილის შემდეგ ცოლად გაჰყვა ძაღლს

**ქვემომოყვანილი ამბის შემდეგ, რომელიც ბრიტანულმა გამოცემა „მირორმა" გამოაქვეყნა, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, აღარც ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონება და აღარც პედერასტების აღლუმები. ალბათ, შორს აღარ არის დრო, როდესაც ზოოფილიაც მისაღები გახდება „დასავლური დემოკრატიისთვის" ისევე, როგორც პედოფილია და ინცესტი.**







ნიდერლანდელმა ქალმა **დომინიკ ლესბირელმა** ძაღლზე იქორწინა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მისი პირველი ქმარი — კატა, რომელთანაც 16 წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

ლესბირელი ცხოველებთან ქორწინებებში ცუდს ვერაფერს ხედავს, ინტერნეტშიც კი შექმნა ვებგვერდი, რომელზეც მსურველს შეუძლია, აირჩიოს ნებისმიერი ცხოველი და შემდეგ მასზე იქორწინოს.

ქალი ამბობს, რომ ცხოველთან ქორწინება გარყვნილება არ არის და მასთან ოჯახური ცხოვრება სულიერ სიახლოვეზეა აგებული.

ლესბირელმა განაცხადა, რომ თავის პირველ ქმარს — კატას ცოლად მაშინ გაჰყვა, როდესაც ცხოველი 3 წლის იყო და მასთან 16 „შესანიშნავი წელიწადი" გაატარა. კატის სიკვდილის შემდეგ კი გათხოვდა ძაღლზე, რომელიც მასთან, რამდენიმე წელია, ცხოვრობს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ზოგი რამ ვიდეოთამაშებზე

**სიტყვა „ვიდეო“ გულისხმობს ელექტრონულსხივებიან მოწყობილობას, ამ შემთხვევაში — გამოსახულების ასახვის ნებისმიერ მოწყობილობას, რომელსაც შეუძლია ორ ან სამგანზომილებიანი გამოსახულების გადმოცემა. ელექტრონულ სისტემებს, რომლებიც გამოიყენება ვიდეოთამაშების სათამაშოდ, უწოდებენ პლატფორმებს, მაგ., პერსონალური კომპიუტერები და ვიდეოთამაშების კონსოლები. ასეთ მოწყობილობათა კატეგორიაში შედის ყველაფერი — დიდი კომპიუტერებიდან ჯიბის მოწყობილობებამდე.**



კომპიუტერის გამოგონების შემდეგ გაჩნდა კომპიუტერული თამაშების გამოგონების იდეაც. ვიდეოთამაშების ისტორია 40-იანი წლებიდან მოდის, როცა ამერიკული ტელევიზიის პიონერმა და ფიზიკის პროფესორმა ტომას ტ. გოლდსმიტმა შექმნა პირველი სიმულატორული თამაში Cathode ray tube-სთვის (ტელევიზორი). ოდნავ მოგვიანებით ალან ტიურინგმა შეადგინა პროგრამა ჭადრაკის სათამაშოდ, ხოლო 1952 წელს ალექსანდრ ს. დუგლასმა კომპიუტერ EDSAC -ისთვის, რომელიც კემბრიჯის უნივერსიტეტს ეკუთვნოდა, დაწერა თამაში OXO. თამაში „ტიკ-ტაკ-ტოუ“, რომელსაც იქსითა და ნულით თამაშობდნენ, 1950-60-იან წლებში ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე იქნა გამოგონილი. ისეთი თამაშები, როგორიცაა Star Trek, ძირითადად, ვერბალური იყო, ვინაიდან მისი გრაფიკა, კომპიუტერის მცირე შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეზღუდული იყო.

**1958 წელს ატომური ბომბის ერთ-ერთმა შემქმნელმა, ფიზიკოსმა ვილი ჰიგინბოთემმა მსოფლიოში პირველი ვიდეოთამაში გამოიგონა.** ჰიგინბოთემს ძალიან უყვარდა ჩოგბურთი. მან მიზნად დაისახა, გამოეგონა გასართობი, რომელიც მეცნიერების „ყოვლისშემძლეობაში“ დაარწმუნებდა იმ ლაბორატორიის სტუმრებს, რომელშიც მუშაობდა. ზუსტად სამ კვირაში უკვე მზად იყო ახალი თამაში — „ჩოგბურთი ორისთვის“ (tennis for two). მის სათამაშოდ საჭირო იყო ოსცილოსკოპის ეკრანის გამოყენება. ბურთი ეკრანზე მოთავსებული ქვედა ჰორიზონტალური წრფიდან აისხლიტებოდა, ჩოგნის ფუნქციას კი ასრულებდა ზედა წრფე, რომელიც ასხლეტილ ბურთს იგერიებდა. წრფეების სამართავად ჰიგინბოთემმა გააკეთა პულტი ღილაკებით — მარცხნივ და მარჯვნივ. თამაშმა ლაბორატორიის თანამშრომლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა, მაგრამ მალე ავტორმა მის მიერვე შექმნილი ხელსაწყო დაშალა, რადგან ოსცილოსკოპი ახალი ცდების ჩასატარებლად სჭირდებოდა. ფიზიკოსი თამაშის გამოგონებაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავდა, ამიტომ იდეის დაპატენტება აზრადაც არ მოსვლია. პირველი კომერციული თამაშები ჰიგინბოთემის „ჩოგბურთის“ საფუძველზე შეიქმნა.

**ოდნავ მოგვიანებით, 1961 წელს, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა 25 წლის სტივ რასელის ხელმძღვანელობით შეიმუშავა პირველი ინტელექტუალური კომპიუტერული თამაში „კოსმოსური ომი“ (Spacewar).** თამაშში ერთმანეთს ორი ადამიანი ეჯიბრებოდა. მოთამაშეები ორ „ვარსკვლავთმფრენს“ მართავდნენ და რაკეტების საშუალებით ერთმანეთის განადგურებას ცდილობდნენ. თამაშში გათვალისწინებული იყო გრავიტაციის ძალა, რომელიც გავლენას ახდენდა რაკეტის ტრაექტორიაზე.

ჯგუფში შემავალი ყველა სტუდენტი მეცნიერული ფანტასტიკის მოყვარული იყო და თამაშის სცენარიც ამიტომ შეირჩა, თუმცა არც რასელს და არც მის მეგობრებს არ უფიქრიათ თავიანთი გამოგონების დაპატენტება. იმ დროისთვის ეს უაზრობა იყო, რადგან კომპიუტერი ძვირ სიამოვნებად და მიუწვდომელ ფუფუნებად ითვლებოდა. 1967წელს კი ინჟინერ **რალფ ბაერს** ტელევიზორთან მისაერთებელი სათამაშო კონსოლის შექმნის იდეა გაუჩნდა. ბაერმა თამაშის ორი ტიპი შექმნა: ტირი და ჩოგბურთი. ამის შემდეგ კომპიუტერული თამაშების ინდუსტრია და თამაშების ბიზნესიც ძალიან სწრაფად განვითარდა. ყოველწლიურად ამ ბიზნესში 12 მილიონამდე ინვესტიცია იდება.

მას შემდეგ, რაც კომპიუტერები გაცილებით პატარა და იაფიც გახდა, კომპიუტერული თამაშები ყველასთვის ხელმისაწვდომი შეიქნა. 1972 წელს **ნოლან ბუშელმა** გამოიგონა ახალი თამაში „პონგი“. ეს თამაში პირველად კალიფორნიაში გამოჩნდა. თანამედროვე სტანდარტებით, თამაშის გრაფიკა უხეში და ტლანქი იყო. მონოქრომულ ეკრანზე მოკლე ვერტიკალური ხაზები მოთამაშეების ჩოგნებს წარმოადგენდა, ამ ჩოგნების ზემოთ და ქვემოთ გადაადგილებით მოწინააღმდეგის მხარეზე ბურთის დარტყმა იყო შესაძლებელი. ამ თამაშს მალე მოჰყვა „კოსმოსური რბოლა“, „ტანკი“, „პაკმენი“ და ყველაზე პოპულარული თამაში „კოსმოსური ბრძოლები“.

1978 წელს კომპიუტერული თამაშები სულ უფრო მეტ ადამიანს იზიდავდა. 1979 წელს ბუშელმა ბაზარზე გაყიდა თამაში „ატარი“. ამ პერიოდში ისეთი კომპანიები, როგორიცაა „ნინტენდო“, თამაშების ბაზრის უდიდეს ნაწილს ფლობდნენ. ფართოდ ხელმისაწვდომი გახდა, ასევე, პერსონალური კომპიუტერი, თუმცა იგი უამრავი ადამიანისთვის ჯერ ისევ ძვირი სიამოვნება იყო. ამ მანქანებს მხოლოდ 32 კილობაიტი მეხსიერება ჰქონდა; ასე რომ, მიმზიდველი გრაფიკული თამაშების შექმნა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა.

ყველაზე მეტად პოპულარული მაინც სიტყვებთან დაკავშირებული თამაში იყო. მოთამაშეს სიტუაციისთვის შესაფე-

**1961 წელს, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა 25 წლის სტივ რასელის ხელმძღვანელობით შეიმუშავა პირველი ინტელექტუალური კომპიუტერული თამაში «კოსმოსური ომი»**



რისი პასუხი უნდა მოეძებნა. ასეთი თამაშები წარმოსახვის დაძაბვას მოითხოვდა და უამრავ ადამიანს ურღვევდა სიმშვიდეს, რადგან თამაშის ინტერესი არ ასვენებდათ.

„ინტელის“ პენტიუმ პროცესორის გამოგონებასთან ერთად, კომპიუტერული თამაშები მკვეთრად გაუმჯობესდა. ბავშვები სულ უფრო სწრაფ მანქანებს მოითხოვენ იმისთვის, რომ მეტად საინტერესო თამაშები ითამაშონ. მწარმოებლებიც, შესაბამისად, პასუხობენ მოთხოვნებს და მიკროსქემებს აუმჯობესებენ.

თამაშების ბაზარი უკეთესი ტექნოლოგიების შესაქმნელად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. **ვიდეოთამაშების მწარმოებლები „სონი“, „სეგა“ და „ნინტენდო“ მუდმივად ეჯიბრებიან ერთმანეთს უკეთესი თამაშების შექმნაში. ისინი ასევე ღია ცენტრებს წარმოადგენენ და მომხმარებელს ტრადიციულ თამაშებთან ერთად ბოლო ვირტუალური ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნილ თამაშებსაც სთავაზობენ.**

სახლებში CD-ROM თამაშები თანდათანობით სპეციალურად პორტატული კონსოლისთვის შექმნილი თამაშებით შეიცვალა. ახლა უკვე უამრავი სახის კონსოლია ხელმისაწვდომი, ფირმები „მაიკროსოფტი“ და „ინტელი“ კი უზრუნველყოფენ პერსონალური კომპიუტერის მთავარ ვიდეოთამაშებს.

პერსონალური კომპიუტერის მწარმოებელ ფირმებთან მწვავე კონკურენციის გამო, კონსოლის მწარმოებლები ფასებს ამცირებენ და მაღალი ხარისხის ისეთ თამაშებს უშვებენ, რომელთა მოხმარებაც სახლშია შესაძლებელი. თამაშები განსაკუთრებით ხელმისაწვდომია ინტერნეტში, სადაც მომხმარებელს ასობით სხვა მოთამაშესთან შეუძლია შერკინება.

**კომპიუტერული თამაშების პოპულარობა იზრდება და იგი გლობალური გასართობი ბიზნესის შემადგენელი ნაწილი გახდა.** კომპიუტერული თამაშების შემქმნელები კალიფორნიაში ჰოლივუდის ფილმის ინდუსტრიასთან თანამშრომლობდნენ და ერთმანეთთან დაკავშირებულ თამაშებსა და ფილმებს ქმნიდნენ. ამ პროექტს „სოლივუდი“ ეწოდებოდა. 2001 წლის ფილმი „ტომბრაიდერი“, რომლის მთავარი გმირი ლარა კროფტია, კომპიუტერული თამაშის შექმნას დაედო საფუძვლად. ამ თამაშმა, ისევე, როგორც ფილმმა, დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ურთიერთთანამშრომლობა სხვა მიმართულებებითაც ხშირად ამართლებს. **უამრავი ფილმი კომპიუტერულ თამაშებთან ერთად ჩნდება და საერთო გმირებითა და შინაარსით გამოირჩევა.** ბოლო ხანს კომპიუტერულ თამაშებთან ერთად თანამშრომლობდა „ბეტმენი“ და „დისნეის მანქანები“. ფილმ „მატრიცას“ ტრილოგია იმ მოსაზრებაზე იქნა დაფუძნებული, რომ ადამიანის გონების მანიპულაცია იყო შესაძლებელი და ისინი მონაწილეობას იღებდნენ კომპიუტერულ თამაშებში. დღესდღეობით თამაშებში 3D ფორმატი და უამრავი სპეცეფექტი გამოიყენება.

კომპიუტერული თამაშის გაკეთება არც ისე მარტივი საქმეა. ეს ძალიან ბევრ შრომასა და ცოდნას მოითხოვს. მარტივია მხოლოდ მინითამაშების, ანუ პატარა თამაშების შექმნა, რომლელთა ზომა 50 მეგაბაიტს არ აღემატება. მაგალითად: mini zombies, big foot და ასე შემდეგ.

ჩვენ გვაქვს მარტივი პროგრამები ამ თამაშების გასაკეთებლად, მაგრამ 1970 წელს კომპიუტერი ახალი გამოგონებული იყო და ცოტას თუ აინტერესებდა პროგრამირება, რადგან ეს ძალიან ძნელი საქმე იყო იმ დროში და ასე მარტივად თამაშებიც არ კეთდებოდა. მაგალითისთვის გამოდგება წინა თაობის ერთ-ერთი უსაყვარლესი პლათფორმერი Super Mario, რომლის პროგრამირებას დაჭირდა დაახლოებით იმდენი სკრიფტი, რამდენი სიტყვაცაა ვეფხისტყაოსანში. დღესდღეობით მარიოს მსგავსი თამაშის გაკეთებას ერთი საათი სჭირდება.

ვიდეოთამაშები ახლა უკვე თითქმის ყველა ადამიანისთვის შესანიშნავი გასართობი საშუალებაა. ზოგი დღის უმეტეს ნაწილს მანიაკალურად თამაშში ატარებს; ზოგს, უბრალოდ, უყვარს და სიამოვნებას იღებს, ზოგს დრო გაჰყავს, ზოგისთვის კიდევ — ბავშური გასართობია, მაგრამ არც ისე ბევრი ადამიანი უყურებს ამ სფეროს, როგორც ხელოვნებას. მართალია, დღეს ვიდეოთამაშები რეალობასთან მიახლოებული გრაფიკით იქმნება მრავალფეროვანი მუსიკითა და ასევე მშვენიერი დიზაინით, მხატვრული ნამუშევრებით, პერსონაჟებითა თუ შინაარსით.

თამაშების სამყაროში ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, გაექცეს რეალობას, მოახდინოს საკუთარი სურვილების რეალიზება, იგრძნოს თავი ძლიერად, შეიარაღებულად, დაცულად, განიცადოს ახალი შეგრძნებები და ემოციები. ადამიანებს თამაშები ძლიერ იზიდავთ და ზოგჯერ მათზე დამოკიდებულნიც ხდებიან.

**მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პრობლემებისგან გაქცევა, ქიმიური საშუალებების (ნარკოტიკების) გარდა, ბევრი სხვა გზითაც შეიძლება: კომპიუტერით, ტელევიზორით, აზარტული თამაშებით და სხვ. ამ საშუალებებიდან ნებისმიერმა, შესაძლოა, ნარკოტიკის ფუნქცია შეასრულოს, რასაც ქცევით ადიქციას უწოდებენ.** ქცევითი ადიქცია დამოკიდებულების განსაკუთრებული ფორმაა. ის კავშირში არ არის ქიმიური ნივთიერების მიღებასთან და გავრცელებულია საზოგადოების ყველა ფენასა და ასაკობრივ ჯგუფში. ამ დროს ადამიანი იმეორებს ერთსა და იმავე ქცევას იმ იმედით, რომ ადრე მიღებულ კმაყოფილებას კვლავაც განიცდის.

ადიქციის ერთ-ერთი ფორმაა **გემბლინგი** — გადაჭარბებული ინეტერესი კომპიუტერული და აზარტული თამაშებისადმი. ის თამაშები, რომლებიც ხედით პერსონაჟის თვალიდან მიმდინარეობს, მოთამაშის პერსონაჟთან იდენტიფიცირებასა და როლში ბოლომდე შესვლას იწვევს, წაგებისას მოთამაშე თავისი პერსონაჟის სიკვდილს მძაფრად განიცდის.

**ამერიკაში მკვლევარები აკვირდებოდნენ 632 ადამიანს, რომლებიც კომპიუტერთან კვირაში 15 საათზე მეტს ატარებდნენ. აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანების 40%-ს აწუხებდა გაურკვეველი უსიამოვნო შეგრძნებები, ხოლო 21%-ს აღმოაჩნდა უმნიშვნელო დაავადებები.**

გამოკვლეული ქალები მამაკაცებზე უფრო მეტად დაავადებულები აღმოჩნდნენ. ექიმებმა აღნიშნეს, რომ ადამიანებს, რომლებიც კლავიატურაზე ტექსტის კრეფისას კვირაში 20 საათზე მეტ- ▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







**გამუდმებით კომპიუტერთან ჯდომა, ონლაინ თამაშებისთვის ბევრი დროის დათმობა იწვევს უძილობას, გადაღლას და ნერვულ აშლილობას. გარდა ამისა, ზიანდება ხერხემალი და შესაძლოა, ერთ წერტილში დიდხანს ყურებამ მხედველობასაც სერიოზული პრობლემები შეუქმნას**



◀ ხანს ატარებენ, ამ დაავადებების გაჩენის შანსი უორმაგდებათ.

**ეკატერინბურგელმა მეცხრე კლასელმა მოსწავლემ მონიტორთან 12-საათიანი ჯდომის შემდეგ გონება დაკარგა და ერთი კვირის შემდეგ რეანიმაციაში იშემიური ინსულტის დიაგნოზით გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.** ეს მოზარდი მთელ თავისუფალ დროს კომპიუტერულ კლუბში ატარებდა. ექიმები აღნიშნავდნენ, რომ ბიჭის ტვინი საჭირო რაოდენობის ჟანგბადს დიდხანს ვერ იღებდა, რადგან იგი თამაშს ვერ მოსწყდა.

ასეთი შემთხვევა არცთუ იშვიათია, ამიტომ სხვადასხვა ქვეყანაში თამაშზე დამოკიდებულების სამკურნალო კლინიკებიც კი გაიხსნა. კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულებას სპეციფიკური სიმპტომატიკა ახასიათებს: ასეთი ადამიანი, როდესაც იძულებულია მოსწყდეს კომპიუტერს, ღიზიანდება, ყოველდღიური საქმიანობისთვის დრო აღარ რჩება, უყურადღებოდ ეკიდება საკუთარ ჯანმრთელობას და პირად ჰიგიენას, სძინავს ჩვეულებრივზე ნაკლებხანს.

ამასთანავე, **გამუდმებით კომპიუტერთან ჯდომა, ონლაინ თამაშებისთვის ბევრი დროის დათმობა იწვევს უძილობას, გადაღლას და ნერვულ აშლილობას. გარდა ამისა, ზიანდება ხერხემალი და შესაძლოა, ერთ წერტილში დიდხანს ყურებამ მხედველობასაც სერიოზული პრობლემები შეუქმნას.**

ფსიქოლოგები შორს არიან იმ აზრისგან, რომ კომპიუტერულ თამაშებს არანაირი სარგებლის მოტანა არ შეუძლია. კვლევებმა უჩვენა, რომ ბევრი კომპიუტერული თამაში სხვადასხვა უნარებს ავითარებს. ზოგიერთი თამაში ბავშვებს სიახლის ათვისებასა და შემეცნებაშიც ეხმარება, თუმცა ზომიერება და ბავშვების ასაკის გათვალისწინებით სათანადო შინაარსისა თუ ემოციური დატვირთვის თამაშების შერჩევა უმნიშვნელოვანესია.

კომპიუტერის გაჩენამ ახალი საფიქრალი მისცა მშობლებს: საზოგადოებაში ფეხს იკიდებს აზრი, რომ კომპიუტერულ თამაშებს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. აქვე აღსანიშნავია, რომ **არსებობს კომპიუტერული თამაშები ჯგუფი: პირველი — თამაშები, რომლებიც არ შეიცავენ ძალადობის ელემენტებს, და მეორე — თამაშები, რომლებიც გაჟღენთილნი არიან ძალადობის ელემენტებით. შესაბამისად, მათი ზემოქმედებაც სხვადასხვაგვარად აისახება მოზარდის ფსიქიკაზე.**

პირველი სახის თამაშებს სარგებლობის მოტანა შეუძლია მაშინ, როცა ძალადობის მომენტების შემცველ თამაშებს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. უდავოა ისიც, რომ, თუ სათამაშოდ გამოყოფილი საათობრივი რეჟიმი არ სრულდება და ბავშვი დროის დიდ მონაკვეთს უთმობს თუნდაც უწყინარ თამაშს, მაშინ კომპიუტერი მტრად გვევლინება.

**მეცნიერებმა შესაბამისი გამოკვლევების საფუძველზე დაადგინეს, რომ ბავშვებს, რომლებიც განუწყვეტლივ თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს, არ უვითარდებათ თავის ტვინის ის უბნები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ადამიანის ქცევის, მართვისა და სწავლის პროცესში.** აგრეთვე, ავითარებს მათში აგრესიას, ავიწროებს მათი ინტერესების სფეროს, აღარიბებს ემოციურ სამყაროს, იწვევს მხედველობის გაუარესებას, ხერხემლის გამრუდებას, ფიზიკურ სისუსტეს, მადის დაკარგვას და ა.შ.

**ფსიქოლოგების აზრით, როცა ბავშვი თამაშობს ძალადობის ელემენტების შემცველ კომპიუტერულ თამაშებს, აგრესიული ემოციები ვერ პოულობს გამოსავალს და ისინი ორგანიზმში გროვდება.**

**ხშირად ბავშვებს ყოველივე ის, რასაც კომპიუტერში ნახულობენ, რეალობაში გადმოაქვთ.**

სოციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ბავშვები ყველაზე ხშირად თამაშობენ სპორტულ, სტრატეგიულ და საჩხუბარ კომპიუტერულ თამაშებს და საკმაოდ იშვიათად ეტანებიან შემეცნებითს, რომლებიც სპეციალურად მათთვისაა შექმნილი. „უფროსების თამაშები" უარყოფით გავლენას ახდენს სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებაზე. ბავშვები სამყაროს კომპიუტერული თამაშების საშუალებით აღიქვამენ. თამაშის დროს ის საკუთარ თავს აიგივებს თავის გმირთან და კიბერსივრცეს რეალურის ნაწილად აღიქვამს.

მაცდური ვირტუალური რეალობის გამო, ბავშვს უქრება სიფრთხილის განცდა: ბავშვი ეჩვევა იმას, რომ, თუ თამაშის დროს ველოსიპედიდან გადმოვარდება ან სახურავებზე ხტუნაობისას უნებლიეთ ჩავარდება, ამით არაფერი დაუშავდება — კიბერგმირს ხომ არ სტკივა. ჩნდება ილუზია, რომ სამყაროში, ისევე, როგორც თამაშში, ყველაფერი სურათია — მანქანა, ველოსიპედი, იარაღი, ჭრილობა, მოტეხილობა, სიკვდილიც კი.

ბავშვი რწმუნდება, რომ ნებისმიერი დანაკარგის აღდგენა რამდენიმე წუთში შეიძლება, რაც, შესაძლოა, რეალობაში მრავალი უგუნური საქციელის ჩადენის მიზეზი გახდეს.

კომპიუტერულ თამაშებში რამდენიმე სიცოცხლის და ძალების აღდგენა ჯადოსნური სასმელების მეშვეობით ამცირებს სიცოცხლის ფასსა და მნიშვნელობას. ამგვარად, გმირის უკვდავება ბავშვის მიერ აღიქმება, როგორც ყველა ცოცხალი არსების რიგითი თვისება. **5 წლის ბავშვი ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხუთსართულიანი სახლიდან გადახტომა ადამიანს არაფერს ავნებს, რადგან თამაშის გმირებს ამგვარი დაცემის შედეგად მხოლოდ ენერგია აკლდებათ.** ეს აჩენს მნიშვნელოვან პრობლემას, რომელთა არგამოვლენის შემთხვევაშიც კი, ქვეცნობიერი დამოკიდებულობის გამო, ხიფათის საშიშროება არ იკლებს წლების განმავლობაში.

თამაშების უმრავლესობაში მოსაგებად აუცილებელია „მტრის" მოკვლა. თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, სიკვდილი საკმაოდ ბუნებრივად არის აღწერილი. ძალადობა, მკვლელობა და აგრესია აღიქმება, როგორც ნორმა, ხოლო ფიზიკური შესაძლებლობები — პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთი მეთოდი. ფაქტობრივად, ხდება ასოციალური ქცევის ჩამოყალიბება.

ბავშვს გულწრფელად არ ესმის, რატომ გამოხატავენ უკმაყოფილებას უფროსები, როდესაც ის თანატოლებს ეჩხუბება და ცდილობს, გამარჯვებას მიაღწიოს, ანუ რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში აღწერილია შემთხვევები, როდესაც საბედისწერო შედეგები მოჰყოლია სკოლის მოსწავლეების შეკამათებას, თავად ბავშვი კი ამ დროს დარწმუნებულია, რომ რეალურ ცხოვრებაში მისი მოწინააღმდეგე სიკვდილის შემდეგ რამდენიმე წუთში მოეგება გონს, უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია „გადატვირთვა".

აზროვნების მსგავსი მოდელი: „ვცდი, თუ არ გამოვა, თავიდან დავიწყებ" — უკვე აისახება თანამედროვე ახალგაზრდების საქციელზე: რამდენიმე ქორწინება, სამსახურის ხშირი გამოცვლა, პროფესიის ხანგრძლივი ძიება და მრავალი სხვა სწორედ ამაზე მიუთითებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორია ის, რომ კომპიუტერულ თამაშებში გარშემო მყოფებზე ზრუნვა აუცილებლობას არ წარმოადგენს. უფრო ხშირად მოთამაშე მხოლოდ თვითონ მოქმედებს, გარშემო მყოფები კი აღიქმებიან ან დეკორაციებად, ან მიზნის მიღწევის საშუალებებად. ეს ფაქტი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში აჩენს ეგოიზმს. თამაშში მიზნის მიღწევა შეიძლება ნებისმიერი ობიექტის განადგურებით, რომელიც გზაზე გადაეღობება. ამგვარმა მოსაზრებამ, შესაძლოა, რეალურ ცხოვრებაში შექმნას ისეთი სიტუაციები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის სხვა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

**შედეგად ვიღებთ პიროვნებებს, რომლებიც გაუაზრებლად, ქვეცნობიერად მრავალ პრობლემას უქმნიან გარშემო მყოფებს და, კითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინა ეს, პასუხი არ აქვთ.** ვირტუალურ სამყაროში პერსონაჟების ურთიერთობა ხორციელდება გამოსახულებების, სიმბოლოების, სქემების საშუალებით, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვზე. შედეგად, ბავშვებს შეიძლება გაუჩნდეთ სირთულეები პიროვნული ურთიერთობების დამყარებისას, აზრებისა და ემოციების სიტყვიერად გამოხატვის დროს. დღეს მოზარდებში უკვე აღინიშნება ურთიერთობის ფორმების შეცვლა: მათ უჭირთ აზრების გამოხატვა სიტყვიერად და წერით, აღინიშნება სიტყვების მარაგის სიღარიბე, მათთვის უფრო ადვილია მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მიმოწერა და შეტყობინებების დატოვება „ჩეთებში", სადაც შესაძლებელია „სმაილების" გამოყენება. სიტყვების მნიშვნელობების ახსნა და განმარტება ხელს უწყობს საკუთარი სურვილების მართვასა და საქციელის შინაგან კონტროლს.

კომპიუტერულ თამაშებს, განსაკუთრებით კი სპეციალურად ასაკობრივი ჯგუფებისთვის შექმნილ შემეცნებით თამაშებს, შესაძლოა, დადებითი გავლენაც ჰქონდეს ბავშვის განვითარებაზე. ყველა კომპიუტერული თამაში ითხოვს უნარ-ჩვევებს, ლოგიკურ აზროვნებას, გამოთვლასა და კარგ მახსოვრობას. სანამ ბავშვი თამაშს დაიწყებს, უნდა წაიკითხოს წესები, დაიმახსოვროს და ისწავლოს მათი გამოყენება. რეალური მოვლენების თამაშებში მოდელირება, შესაძლოა, შემეცნებითი პროცესი იყოს. სტრატეგიული თამაშები ბავშვებს აჩვევს დაგეგმვას, ზოგიერთი თამაშის საშუალებით კი მსოფლიო ისტორიის უკეთ შესწავლაც შეიძლება. ასევე, კომპიუტერული თამაში ბავშვს, შეიძლება, გარკვეულწილად უცხო ენის შესწავლაშიც დაეხმაროს.

ზოგიერთი თამაში წარმატების მისაღწევად კითხვის ცოდნას მოითხოვს, რაც შესაძლოა, კარგი მოტივაცია აღმოჩნდეს სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის კითხვის შესასწავლად. კომპიუტერული თამაშების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დადებითი მხარეა კოორდინაციის განვითარება. თამაშების უმრავლესობაში ძალიან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების უცბად მიღება და რეაქციის სისწრაფე. ასევე, თამაშები ბავშვებს ეხმარება, ისწავლონ სივრცეში კარგად ორიენტირება. ბევრი ნეიროქირურგი აღნიშნავს, რომ ოპერაციის შემდგომ სწრაფი გამოჯანმრთელებისთვის სასარგებლოა კომპიუტერული თამაშებით თითების გავარჯიშება.

**ყველა ადამიანში დევს მისწრაფება შეჯიბრებისკენ და გამარჯვების სურვილი, თუმცა ზოგიერთი ბავშვი ფიზიკურად არც ისე ძლიერია, რათა ეს სურვილები დაიკმაყოფილოს. თამაში კი ბავშვს ეხმარება, მრავალ განსხვავებულ სიტუაციაში შეეჯიბროს თანატოლებს: პირველმა დაასრულოს თამაში, მოუგოს ვინმეს ან, უბრალოდ, დამატებითი წახალისება მიიღოს. ეს მიღწევები, შესაძლოა, მშობლებს ძალზე სულელურად მოეჩვენოთ, მაგრამ ბავშვისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.**

თამაშები შეიძლება ბავშვს დაეხმაროს ტკივილთან და ავადმყოფობასთან გამკლავებაში. ზოგიერთი ადამიანი ამას ყურადღების გადატანას უწოდებს, მაგრამ, რაც უნდა დავარქვათ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს განკურნების ეფექტური მეთოდია როგორც ბავშვისთვის, ასევე მოზრდილისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასტიკი თამაშები ბავშვში ბევრ უარყოფით ემოციას იწვევს, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ თამაშებში მხოლოდ ერთი შეხედვითაა ძალადობა და აგრესია, სინამდვილეში ისინი თვითგადარჩენაზეა დამყარებული. ასეთი თამაშების მიზანი კი, საბოლოოდ, მაინც კეთილის ბოროტზე გამარჯვებაა. ასე რომ, სასტიკმა თამაშებმაც შეიძლება ასწავლოს ბავშვს რაიმე სასიკეთო. დღესდღეობით არსებობს ვირტუალური მოთამაშეების კლუბები და შესაძლებელია, რომ ინტერნეტის საშუალებით ეთამაშო სხვა, თუნდაც უცნობ ადამიანს. ამგვარად, შესაძლებელია ნაცნობობის დამყარება და შეხედულებების გაზიარება დედამიწის სხვადასხვა წერტილში.

1993 წელს აშშ-ის სენატში დაიწყო ვიდეოთამაშებში ძალადობის შემცველი ელემენტების გამოძიება. შეიქმნა ვიდეოთამაშების ლიცენზირების ორგანო, რომელმაც ვიდეო და კომპიუტერული თამაშებისთვის რეიტინგების მინიჭება დაიწყო. თამაშების ლიცენზირების მიზანი იყო, არ დაეშვათ ბავშვებში ისეთი კომპიუტერული თამაშების გავრცელება, რომლებიც ძალადობის ელემენტებს შეიცავდა.

და, **ვიდრე ფსიქოლოგები და მკვლევარები იმაზე დავობენ, საზიანოა თუ სასარგებლო ესა თუ ის კომპიუტერული თამაში, ინტერნეტსივრცეში ახალ-ახალი თამაშები ჩნდება.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში არის რამდენიმე ქვეყანა, რომლებშიც ავად გახდომის არავის შეეშინდება, ვინაიდან მკურნალობის დონე იქ ძალზე მაღალი და ხელმისაწვდომია.**

# სოფელი ორმოში

**სამხრეთ ავსტრალიაში არის ქალაქი, რომელშიც დაახლოებით 2 000 ადამიანი ცხოვრობს. ეს ქალაქი საიდუმლოებებითაა მოცული, რადგან მიწისქვეშაც არსებობს. აქ არის ხელით გაყვანილი გვირაბები, რომლებშიც ადამიანთა საცხოვრებელი სახლები მდებარეობს და ტურისტებისთვის სასტუმროებიც კი აქვთ.** ლეგენდის მიხედვით, პირველად 1915 წელს ამ ქალაქში ოქროს საძებნელად მამა-შვილი ჩავიდა. მათ ოპალი იპოვეს, რაც მალევე გახდა საზღვარგარეთ ძალიან ცნობილი ქვა. ძლიერი სიცხის გამო უკეთესი იყო, შახტები მიწის ქვეშ განლაგებულიყო. ასე დაიწყო თხრა, დღეს იქ უკვე 1 500 სახლია. გარდა სახლებისა და სასტუმროებისა, იქ ულამაზესი ეკლესიაცაა. წიგნების მაღაზიაც, საიუველირო სალონიც და ბარიც.









# ქვეყნები, რომლებშიც ავად გახდომის არავის ეშინია



**მედიცინა იმთავითვე ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივების სამსახურში დგას. საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა გამოცდილებით დაგროვდა სამკურნალო საშუალებები და მეთოდები, რომლებიც შემონახულ იქნა, მათ შორის ხალხურ მედიცინაში, და რომლებიც მოგვიანებით მეცნიერული მედიცინის ნაწილი გახდა.**
**ცხადია, რომ დაავადებათა უმეტესი ნაწილი შეძენილი, თანდაყოლილი და გენეტიკურია, რომელთა წინააღმდეგ დღემდე იბრძვიან მეცნიერები და ექიმები.**
**დღეს მედიცინა მაღალ საფეხურზეა და, მიუხედავად განუკურნებელი სნეულებების ჯერ კიდევ არსებობისა, მსოფლიოში არის რამდენიმე ქვეყანა, რომლებშიც ავად გახდომის არავის შეეშინდება, ვინაიდან მკურნალობის დონე იქ ძალზე მაღალი და ხელმისაწვდომია.**




## შვედეთი

შვედეთში მედიცინის დარგში სრულიად მოწესრიგებულია ყველაფერი. ექიმების პროფესიონალიზმის გარდა, აღსანიშნავია ის სასიამოვნო ფაქტი, რომ პაციენტის სამედიცინო მომსახურების საფასურის 97%-ს სახელმწიფო ფარავს. ეს წესი არ ეხება მხოლოდ სტომატოლოგიურ მომსახურებას, თუმცა, 19 წლამდე პირებისთვის ზემო აღნიშნული კანონი სტომატოლოგიურ მომსახურებაზეც ვრცელდება.

## შვეიცარია

ამ ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელი 2012 წლისთვის 83 წელს შეადგენდა, რაც განპირობებულია იმით, რომ მაღალგანვითარებულია მედიცინა. პაციენტების უმეტესი სამედიცინო ხარჯები იფარება სახელმწიფოს მიერ, ხოლო დანარჩენი უმნიშვნელო პროცენტები კი — დაზღვევით, რომელიც ამა თუ იმ კერძო პირს გააჩნია.

## სამხრეთი კორეა

ქვეყანამ მიიღო ერთიანი კანონი ჯანდაცვის სისტემისა, რომლის თანახმად სამედიცინო მომსახურეობით განურჩევლად ყველა პირი იქნება უზრუნველყოფილი, გამონაკლისის გარეშე. გარდა ამისა, სახელმწიფო ყოველთვიურად გამოყოფს ხარჯებს დასუფთავებისთვის, ამიტომ გარემოსდაცვითი პრობლემებით გამოწვეული დაავადებები, ფაქტობრივად, აქ არ არსებობს.

## ავსტრალია

სამედიცინო გადასახადების დაახლოებით 75%-ის კომპენსირება ხდება მთავრობის მიერ, ხოლო დანარჩენს კერძო დაზღვევა ანაზღაურებს. თუმცა ქვეყანაში არსებობს ცალკე გადასახადები სასწრაფოზე, სტომატოლოგიურ მომსახურებასა და ოფთომეტრიაზე (სათვალეების, ლინზებისა და ჩარჩოების კეთების საქმე)მ მაგრამ ფინანსურად უზრუნველყოფილი მოსახლეობა ამ ხარჯებს ფარავს სუბსიდიით (სუბსიდია არის ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი, რომელიც განკუთვნილია კანონით განსაზღვრული სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად).

## იტალია

ჯანდაცვის შერეული საჯარო და კერძო სისტემა იტალიაში მაღალ დონეზე ორგანიზებულია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 82 წელია. ყველა სამედიცინო პროცედურა კლინიკებში უფასოდ ტარდება.

## ესპანეთი

ქვეყნის ადგილობრივი ჯანდაცვის მუშაკები გამოირჩევიან განსაკუთრებული პროფესიონალიზმით. როდესაც რეცეპტი წამალზე გაიცემა კლინიკიდან, ხარჯებს ფარავს სახელმწიფო.

## ისრაელი

სამედიცინო მომსახურება — ეს არის ხალხის ფუნდამენტური უფლება ისრაელში. ჯანდაცვის სისტემა რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. აქ ჯანდაცვის ინდუსტრიის ტექნიკური აღჭურვილობა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და ექიმები და ექთნები უაღრესად კომპეტენტურნი არიან.

## გერმანია

გერმანიის საავადმყოფოებს გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება კერძო სადაზღვევო კომპანიებთან და იღებენ საინვესტიციო შემოსავლებს სახელმწიფოსგან. ადგილობრივი ექიმების ცოდნის დონე კი მსოფლიომ კარგად იცის.

## იაპონია

როგორც უმეტეს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, იაპონიაში ჯანდაცვის სისტემა ეფუძნება ჯანმრთელობის დაზღვევას, რომელსაც გასცემს სახელმწიფო. გარდა ამისა, არსებობს კერძო დაზღვევები, სამსახურებიდან გამომდინარე. უსახლკარო და დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები გათავისუფლებულნი არიან სამედიცინო გადასახადებისგან და მათ ხარჯებს ფარავს სახელმწიფო სუბსიდია.

## სინგაპური

ქვეყანაში როგორც საჯარო, ასევე კერძო კლინიკები ერთნაირად მუშაობენ, ყველა ხარჯი ფინანსდება, ამ მხრივ სინგაპურის მოქალაქეებს შესაშური მდგომარეობა აქვთ.

## ჰონგკონგი

ყველაზე მაღალ საფეხურზეა სამედიცინო სისტემაში და შეიძლება ითქვას, ერთადერთი ლიდერი ქვეყანაა. ჰონგკონგში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ჩვილთა სიკვდილიანობის მხრივ.

ერთ-ერთ უცნაურ და საშიშ ბუნებრივ მოვლენად ხასიათდება უზარმაზარი ხვრელები, რომლებიც დროდადრო წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირზეც სხვადასხვა ადგილას და იწვევს შიშს. ეს ღრმა ხვრელები სავსეა უამრავი საიდუმლოთი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოს ყველაზე დიდი ხვრელები

**შავი ხვრელი ეს არის არე სივრცეში, რომელშიც გრავიტაციული ველი იმდენად ძლიერია, რომ სინათლესაც კი არ ძალუძს მისი მიზიდულობისგან თავის დაღწევა. შავი ხვრელი, სავარაუდოდ, წარმოიქმნება მაშინ, როდესაც გიგანტური ვარსკვლავი ამოწურავს თავის ენერგიას და კვდომას იწყებს. ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, იგი საკუთარი მიზიდულობის ძალის ზემოქმედებით იწყებს შეკუმშვას და, როდესაც მიაღწევს შეკუმშვის პიკს, ხდება რაღაც აფეთქებისმაგვარი მოვლენა, რომლის შემდეგაც ვარსკვლავი ჩაქრება, ხოლო მისი გრავიტაცია იმ ზომამდე გაიზრდება, რომ დაიწყებს ყველაფრის შესრუტვას, სინათლის ჩათვლით.**

სწორედ ამ თვისებიდან გამომდინარეობს ამ ობიექტის სახელი — „შავი ხვრელი“, ანუ სხეული, რომელსაც სინათლეც კი ვერ უსხლტება და უხილავი ხდება.

არსებობს მრავალი კოსმოსური ობიექტი, რომლის დანახვაც ადამიანის თვალით შეიძლება — ვარსკვლავები, პლანეტები, მაგრამ სამყაროს უმეტესი ნაწილი უხილავია, მათ შორის უხილავია „შავი ხვრელებიც“.

ტერმინი „შავი ხვრელი“ პირველად ამერიკელმა ფიზიკოსმა ჯონ უილერმა 1967 წელს ნიუ იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში გამოსვლის დროს გამოიყენა.

**ერთ-ერთ უცნაურ და საშიშ ბუნებრივ მოვლენად ხასიათდება უზარმაზარი ხვრელები, რომლებიც დროდადრო წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირზეც სხვადასხვა ადგილას და იწვევს შიშს. ეს ღრმა ხვრელები სავსეა უამრავი საიდუმლოთი,** მეცნიერ-მკვლევარები მოგვიწოდებენ, რომ მათგან თავი შორს დავიჭიროთ.



## Quarry Kennecott Bingham Canyon Mine

**ეს ყველაზე აქტიური კარიერია მსოფლიოში, რომელიც ამერიკაში, იუტას შტატში მდებარეობს;** სიღრმით ერთი კილომეტრია, სიგანე კი — 3,5 კილომეტრი. სპილენძის მოპოვება 1863 წელს დაიწყო და ჯერაც არ დაუსრულებიათ. ეს კარიერი ადამიანის მიერ გათხრილ ყველაზე დიდ ხვრელს წარმოადგენს, სადაც მუშაობა 1400 ადამიანს უწევს და ყოველდღიურად 45 000 ტონა ქანი ამოდის.



## სამყაროს კიმბერლიტური მილი

**მილი მდებარეობს იაკუტიაში, ქალაქ Mirny-ში.** სიღრმე 525 მეტრია, ხოლო დიამეტრი — 1,2 კილომეტრი. ვულკანის პირში ადრე ალმასი მოიპოვებოდა, ახლა, ძირითადად, კარიერის ნარჩენებს სწავლობენ. ერთ-ერთი უდიდესი კარიერი ასევე ტურისტებს ემსახურება.



## კარსტული ნანგრევი გვატემალაში

**ამ გიგანტური კრატერის ფორმირების მიზეზი მიწისქვეშ დაგროვილი წყალი და წვიმა გამხდარა.** ხვრელის სიღრმე 150 მეტრია, სიგანე კი — 20 მეტრი. ხვრელის წარმოქმნას კი რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე და ათამდე სახლი ემსხვერპლა.



## ალმასის კარიერი

**ის კანადაში მდებარეობს და ცნობილია, როგორც ალმასის საბადო.** სწავლობენ 1992 წლიდან, ალმასის მოპოვება კი 2003 წლიდან დაიწყეს. სამი უზარმაზარი მილი უეცრად ჩამოყალიბდა კუნძულ Lac de Gras-ის სამხრეთით 220 კმ-ში. ასეთი პატარა კუნძულისთვის ეს მხოლოდ უზარმაზარი ხვრელია; მეორე მხრივ კი, ალმასის მოპოვების საკითხი კანადის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. აქ ყოველწლიურად მოიპოვება 8 მილიონი კარატი ალმასი.



## უდიდესი ხვრელი Monticello-ს წყალსაცავში

**ეს წყალსაცავი მდებარეობს კალიფორნიის ჩრდილოეთით, აშშ-ში და ერთ-ერთი დიდი წყალსაცავია მსოფლიოში.** აშენდა 55 წლის წინათ ადამიანების ხელით. ამ ხვრელ-ძაბრში წამში 1370 კუბური მეტრი წყალი ჩაედინება.



## დიდი ლურჯი ხვრელი

**Yucatan-ის ნახევარკუნძულზე მდებარე პატარა ულამაზესი სახელმწიფოს — ბელიზის მთავარი ღირსშესანიშნაობაა.** ეს დაივინგის მოყვარულების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია და ამ საოცრების სანახავად მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიდიან. დიდი ლურჯი ხვრელი 400 მეტრი სიგანის და 140-160 მეტრი სიღრმის ულამაზესი ხვრელია კარიბის ზღვის გულში.

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# შვეიცარია — ულამაზესი ტბების, საათების, შოკოლადისა და ანდრონული კოლაიდერის ქვეყანა

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

შვეიცარია (ოფიციალური სახელწოდება — შვეიცარიის კონფედერაცია) სახელმწიფოა დასავლეთ ევროპაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება გერმანიას, სამხრეთით — იტალიას, დასავლეთით — საფრანგეთს, აღმოსავლეთით — ავსტრიასა და ლიხტენშტეინს.

ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს ერთ-ერთი კანტონის სახელიდან — შვიც.

შეიცარიის ლათინური სახელწოდებაა Confederatio Helvetia, ამ სიტყვების აბრევიატურა გვხვდება ეროვნულ ვალუტაზე, საავტომობილო ნომრებსა და ინტერნეტდომენზე — **CH.** საფოსტო მარკებზე კი იყენებენ ლათინურ დასახელებას — **HELVETIA.**

შვეიცარია მთაგორიანი ქვეყანაა. მისი დასავლეთი საზღვარი გადის იურას მთებზე, სამხრეთი საზღვარი — იტალიის ალპებსა და ჟენევის ტბაზე. ყველაზე მაღალი წერტილია **დიუფურის პიკი (4634 მ).**

შვეიცარიაში არის ევროპის მტკნარი წყლის რეზერვის 6%.

**უდიდესი მდინარეები: რეინი (1233 კმ)** და **რონა (812 კმ).**

**უდიდესი ტბები: ჟენევის ტბა, ლაგო მაჯორე, ციურხისა და ნევშატელის ტბები.** ქვეყანაში სულ 1484 ტბაა.

**კლიმატი.** შვეიცარიაში კონტინენტური კლიმატია — ცენტრალური ევროპისთვის დამახასიათებელი. ზამთარში, შვეიცარიის პლატოსა და ველებზე ტემპერატურა 0 გრადუსამდე ეცემა, მთებში — მინუს 10 გრადუსამდე. ზაფხულში აქ საშუალო ტემპერატურა პლუს 18-20 გრადუსია.

**ფლორა.** მცენარეული საფარი მდიდარი და მრავალფეროვანია. გვხდება ისეთი მცენარეები, რომლებიც ხარობს ცივ სკანდინავიაში და ისეთიც, რომლებიც სუბტროპიკულ ესპანეთშია (მიმოზები, პალმები). მთის ფერდობებზე ხარობს ნაძვი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, მუხა, როდოდენდრონი, ღვია.

**ფაუნა.** ქვეყანაში ბინადრობს მელა, კურდღელი, ალპური ზაზუნა, ქურციკი, კვერნა; ფრინველები: შაშვი, როჭო, თოლია, ტბებში ბევრია კალმახი და სიგი.

**შვეიცარიის ტერიტორია 41284 კვ.კმ-ს** შეადგენს (133-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2013 წლის შეფასებით, შვეიცარიაში **7,9 მლნ** კაცი ცხოვრობს. მოსახლეობის 94% შვეიცარიელია, თუმცა სხვადასხვა ენა აქვთ. ყველაზე დიდი ენობრივი ჯგუფია გერმანელი შვეიცარიელები — 65%, შემდეგ — ფრანგი შვეიცარელები — 18%, და იტალიელი შვეიცარიელები — 10%. ცხოვრობენ, აგრეთვე, რეტორომანები (კანტონი გრაუბინდენი).

**დედაქალაქი — ბერნი (138 ათასი).**

უდიდესი ქალაქები: **ციურიხი (1,2 მლნ), ჟენევა (1,2 მლნ), ბაზელი (830 ათასი), ლოზანა (336 ათასი).**

ოფიციალური ენები: **გერმანული, ფრანგული, იტალიური, შვეიცარიული რეტორომანული.**

დამოუკიდებლობის დღე: **1 აგვისტო** (გამოცხადდა 1291 წელს).


ციურიხი


ატომური კვლევების ევროპულ ცენტრი ჟენევასთან — CERN

## მმართველობის ფორმა და რელიგია

შვეიცარია ფედერაციული რესპუბლიკაა, რომელიც 20 კანტონისა (ოლქი) და 6 ნახევრად კანტონისგან შედგება. ქვეყნის ტერიტორიაზე არის 2 ანკლავი: ბიუზინგენი — ეკუთვნის გერმანიას, და კამპიონე-დი-იტალია — ეკუთვნის იტალიას. თითოეულ კანტონს აქვს თავისი კონსტიტუცია და კანონები, მაგრამ შეზღუდულია ფედერალური კონსტიტუციით. ფედერალური ხელისუფლება აკონტროლებს ომისა და მშვიდობის, საგარეო პოლიტიკის, არმიის, რკინიგზის, კავშირგაბმულობის, ფულის ემისიის, ბიუჯეტისა და ა.შ. საკითხებს.

საკანონმდებლო ხელისუფლებაა ორპალატიანი ფედერალური საკრებულო, რომელიც ნაციონალური საბჭოსა და კანტონების საბჭოსგან შედგება. აღმასრულებელი ხელისუფლებაა **ფედერალური საბჭო**, რომელიც 7 წევრისგან შედგება. ამჟამად ფედერალური საბჭოს პრეზიდენტია **სიმონეტა სომარუგა.**

ფედერალური კანცლერია **კორინა კაზანოვა.**

**რელიგია.** რეფორმაციის პერიოდში შვეიცარიას რელიგიური განხეთქილებები არყევდა, რომელმაც გავლენა იქონია გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნაზე. XIX საუკუნიდან ქვეყანაში მშვიდობა სუფევს. ამჟამად ქვეყნის მოსახლეობის 49% პროტესტანტია, 48,5% — კათოლიკე; ცხოვრობენ, აგრეთვე, იუდეველები და მუსლიმანები.

აღსანიშნავია, რომ **2009 წლის 29 ნოემბერს შვეიცარიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგების მიხედვითაც კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება და ქვეყანაში აიკრძალა მეჩეთებისა და მინარეთების მშენებლობა, გარდა ამისა, შვეიცარიაში აკრძალულია ცხოველების დაკვლა კოშერული (იუდეველთა) და ჰალიალური (მუსლიმანური) წესით.**

## ეკონომიკა

შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი და განვითარებული ქვეყანაა — კონკურენტული ეკონომიკის მხრივ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ათეულშია. შვეიცარიაზე ტრანზიტით გადის ტვირთების 50% ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპიდან სამხრეთის მიმართულებით და პირიქით. მაღალ დონეზეა განვითარებული მანქანათმშენებლობა, საათებისა და ტექსტილის, ქიმიკატებისა და ელექტრომოწყობილობების წარმოება, საბანკო სფერო, ფარმაცევტიკა და ტურიზმი.

ცნობილი შვეიცარიული ფირმებია „ნესტლე“, „ნოვარტისი“, „როლექსი“, „პატეკ ფილიპი“ და სხვ.

**სამხედრო ბიუჯეტისთვის ყოველწლიურად გამოყოფილია 2.7 მლრდ დოლარი.** რეგულარულ ჯარში 5000 კაცი მსახურობს. რეზერვშია — 240 ათასი კაცი.

ქვეყნის **მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს 636 მლრდ დოლარს** (მე-19), მოსახლეობის ერთ სულზე — **81 ათას დოლარს.**

ვალუტა: **შვეიცარიული ფრანკი. 1 შვეიცარიული ფრანკი უდრის 1,05 აშშ დოლარს.**

ინტერნეტდომენი: **ch**

სატელეფონო კოდი: **+41**

საათობრივი სარტყელი: **GTM+1, ზაფხულში GTM+2.**

## კულტურა

შვეიცარიული კულტურა ვითარდებოდა გერმანული, ფრანგული და იტალიური კულტურების ზეგავლენით.

მსოფლიოში სახელგანთქმული შვეიცარიელები არიან: **ლეონარდ ეილერი** (მათემატიკოსი), **კარლ გუსტავ იუნგი** (ფსიქიატრი), **ჟან-ჟაკ რუსო** (ფილოსოფოსი დ მუსიკოსი), **მაქს ფრიში** (მწერალი), **როჯერ ფედერერი** (ჩოგბურთელი) და სხვ.

ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ **ალბერტ აინშტაინი, ჩარლი ჩაპლინი, ვლადიმირ ნაბოკოვი, ოდრი ჰეპერნი, ჰერმან ჰესე.**

**ღირსშესანიშნაობები.** შვეიცარიაში 600 მუზეუმია, მათ შორის, ყველაზე პოპულარულია ისტორიული მუზეუმი ციურიხში, ხელოვნების მუზეუმები ბაზელში, ჟენევასა და ციურიხში. კოშკი ნეკშტალი; ციხესიმაგრე ვიფლენი — მორჟში, სენტ-გალენის მონასტერი, ციხესიმაგრე შილიონი. დიდი ანდრონული კოლაიდერი ჟენევასთან (მდებარეობს ატომური კვლევების ევროპულ ცენტრში — CERN) და სხვ. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები: ჟენევის ტბა, მთა პილატუსი, მთა მატერჰორნი, რეინის ჩანჩქერი, რომელიც უდიდესია ევროპაში.

## სამზარეულო

შვეიცარიული სამზარეულო მსოფლიოს ყველა გურმანის მიერ არის აღიარებული და მოწონებული. შვეიცარიული სამზარეულოს ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა შოკოლადი. კერძებში იყენებენ ყველს, რძეს, კარტოფილს, სიმინდს, ბოსტნეულს, ხორცსა და სანელებლებს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

## ყველის ფონდიუ

**არსებობს ფონდიუს (ფრ. Fondue — გამდნარი, გამთბარი) მრავალი რეცეპტი — ყველის, ხორცის, შოკოლადის. თავდაპირველად ეს მწყემსების კერძი იყო. შორს, მთაში მყოფნი შინიდან წამოღებულ სანოვაგეს (ყველს, პურს ღვინოს) მიირთმევდნენ. ანთებდნენ კოცონს, ქოთანში ადნობდნენ ყველს, მასში ამოავლებდნენ პურს და მიირთმევდნენ.**



### ინგრედიენტები (ორი ულუფისთვის):

* **შვეიცარიული ყველი** (გრიუერი ან ემენტალი, ან ორივე ერთად ნახევარ-ნახევარი პროპორციით) — 500 გრ.
* **ნიორი** — 1 კბილი
* **თეთრი მშრალი ღვინო** — 300 მლ
* **შაქარი** — 1 ჩ/კ
* **სახამებელი** — 2 ჩ/კ
* **ნაღები** (30%-იანი) — 200 მლ
* **მუსკატის კაკალი** — დანის წვერზე რაც დაეტევა
* **ალუბლის ნაყენი** — 1 ს/კ
* **ლიმონის წვენი** — 0,5 ჩ/კ
* **ფრანგული ბაგეტი** (პური) — 1 ცალი
* **მარილი** — გემოვნების მიხედვით

**მომზადება:**

**1. გახეხეთ ყველი. ბაგეტი დაჭერით პატარა კუბებად. სახამებელს დაასხით ცოტა წყალი და აურიეთ.**

**2. მაღალკედლიან ტაფაზე ან მომცრო ქვაბში ჩაასხით ღვინო, დაამატეთ შაქარი, ნიორი და მანამდე ადუღეთ, ვიდრე მასა განახევრდება.**

**3. ნაღებში ჩაყარეთ ყველი, მასა გადაიტანეთ ტაფაზე და კარგად აურიეთ. შემდეგ დაუმატეთ სახამებელი (თან გამუდმებით ურევთ), მარილი, პილპილი, მუსკატი, ლიმონის წვენი და ალუბლის ნაყენი. ეს მასა უნდა იდგეს ნელ ცეცხლზე 5-7 წთ-ის განმავლობაში. შემდეგ გადაიტანეთ ფინდიუს სპეციალური ჭურჭელში (კაკელონი) ან პატარა ზომის თიხის ქოთნებში. სუფრაზე მიიტანეთ ბაგეტის კუბებსა და თეთრ ღვინოსთან ერთად.**

საჭესთან დიდხანს ჯდომისას, ყველაზე ცოტა, რაც შეიძლება „გამოიმუშაოთ“, არის ტკივილი ზურგში, მძიმე შემთხვევაში კი — ოსტეოქონდროზი და ხერხემლის სხვა დაავადებები.

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა უქმნის საფრთხეს მძღოლის ჯანმრთელობას

**მძღოლის პროფესიული დაავადებები ახლა ავტომოყვარულებისთვისაც აქტუალურია. ყველამ, ვინც კი საჭეს უზის, განსაკუთრებით — მეგაპოლისში მცხოვრებლებმა, რომლებიც დიდ დროს ატარებენ საავტომობილო საცობებში, გააცნობიერა, როგორ უარყოფითად აისახება ეს ორგანიზმზე. მედიკოსები გვაფრთხილებენ, ორგანიზმის რომელ რეაქციას უნდა მივაპყროთ ყურადღება და რა პროფილაქტიკურ ზომებს უნდა მივმართოთ მძიმე დაავადებების თავიდან ასაცილებლად.**

საჭესთან მჯდომი ადამიანის მთავარი პრობლემა **ხერხემალია**. ავტომობილის მართვისას განსაკუთრებით დიდ დატვირთვას განიცდის **კისერი** და **წელი**. საჭესთან დიდხანს ჯდომისას, ყველაზე ცოტა, რაც შეიძლება „გამოიმუშაოთ“, არის ტკივილი ზურგში, მძიმე შემთხვევაში კი — **ოსტეოქონდროზი** და ხერხემლის სხვა დაავადებები. არასწორად ჯდომის გამო — როდესაც კორპუსი საჭისკენ ძალიან არის გადახრილი, ფეხები კი დევს პედლებზე — ხერხემლის დისკოებზე ხდება ძლიერი დაწოლა, რომელიც მოძრაობისას, რყევების გამო, კიდევ უფრო ძლიერდება.

ხერხემალზე დატვირთვის შესამცირებლად ექიმები **ორთოპედიულ სავარძელსა** და სწორად ჯდომის მეთოდს გვთავაზობენ: **სავარძელს მთელი ზურგით უნდა მიეყრდნოთ** — სწორედ ასე განაწილდება შედარებით თანაბრად დატვირთვა ზურგზე. სავარძელზე დამონტაჟებული **თავის მისადები კისრის დონეზე უნდა იყოს.** ხანგრძლივი მგზავრობისას ყოველი 2 სთ-ის შემდეგ **ავტომობილი გააჩერეთ და გაიარ-გამოიარეთ ან შე-**



**ასრულეთ მსუბუქი სავარჯიშოები.** ამ ყველაფერს, სულ ცოტა, 20-25 წთ მაინც უნდა მოანდომოთ.

არანაკლები საფრთხეა მძღოლებისთვის **ვარიკოზი.** ეს დაავადება არღვევს სისხლის მიმოქცევას ვენებში. მდგომარეობას ართულებს **სიგარეტის მოწევა** და **ჭარბი წონა.** მძღოლები ხშირად ავადდებიან **ჰემოროით** — სწორი ნაწლავის ვენების ვარიკოზით. ფეხების ძლიერ დაღლისას უნდა გამოიყენოთ მალამოები, თუ მდგომარეობა გაგირთულდათ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

ერთ პოზაში ხანგრძლივად ყოფნის გამო ირღვევა სისხლის მიმოქცევა ძარღვებში, რაც ამაღლებს ისეთი დაავადების რისკს, როგორიცაა **პროსტატიტი.**

მძღოლის კიდევ ერთი მტერია **არასწორი კვება.** როცა მთელი დღის განმავლობაში საჭეს უზიხართ, სრულფასოვან კვებაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ არსებობს გამოსავალი: **ყოველ 2 საათში მსუბუქად ისაუზმეთ.** მიირთვით მეტი ბოსტნეული და უცხიმო ხორცი.

კვების რეჟიმის დარღვევა იწვევს საჭმლის მონელების პროცესის დარღვევას, ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს გასტრიტი, კუჭის წყლული, დისბაქტერიოზი, ამ დაავადებების თავიდან აცილება შეიძლება, მაგრამ მათგან განკურნება ხანგრძლივი პროცესია. არასწორი კვების რეჟიმი, გარდა საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებისა, იწვევს **გასუქებას** და შედეგად — **დიაბეტს.**

ამიტომ **ხანგრძლივი მგზავრობისას ხშირად შეისვენეთ და სწორად იკვებეთ. მგზავრობის წინ კი კარგად გამოიძინეთ, საჭესთან რომ არ ჩაგთვლიმოთ.**

როცა საჭეს ყოველდღიურად რამდენიმე საათის განმავლობაში უზიხართ, არ უნდა დაივიწყოთ, რომ მთავარია ჯანმრთელობა. რა საფრთხე ემუქრება მძღოლის ჯანმრთელობას, ინფოგრაფიკიდან შეიტყობთ.

## მძღოლის ჯანმრთელობა

საჭესთან მჯდომი ადამიანის ჯანმრთელობას რიგი დაავადებების საფრთხე ემუქრება.




**დეპრესია** — კანონზომიერი შედეგი გამუდმებული სტრესისა, რომელსაც იწვევს საცობებში ყოფნა, მძღოლების უზრდელობა და პატრულთან ხშირი კონტაქტი.

**ტკივილი ზურგში**, **ტკივილი წელში** — ზურგის პრობლემები რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოაგვაროთ და არ მიიყვანოთ იქამდე, რომ ტანადობა და სიარულის მანერა გაგიფუჭდეთ. დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საჭესთან სწორად ჯდომას, არამედ სავარძლის ბალიშის ორთოპედიულ ხარისხს.

**არასწორი კვება** — ხანგრძლივი მოგზაურობისას ყოველ 2-3 საათში ისაუზმეთ მსუბუქად — მიირთვით ბოსტნეული, ხილი და მოხარშული ხორცი.

**ვარიკოზი** — თუ საღამოობით ფეხები გისივდებათ, ჩაიტარეთ ულტრაბგერითი გამოკვლევა და მიიღეთ ვენების გაგანიერების საწინააღმდეგო სპეციალური საშუალებები.

**დიაბეტი** — დიაბეტი (ტიპი II) უფრო ხშირად უჩნდებათ 40 წელს გადაცილებულ ადამიანებს, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ.

**ასთმა** — გზაზე მტვრისა და ტოქსიკური აირების რაოდენობა მრავალჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას.

**წნევა** — ჰიპერტონია — ეს ხშირი სტრესისა და არასწორი კვებით გამოწვეული ათეროსკლეროზის თანამგზავრია.

# როგორი ხართ — საკუთარ თავში ჩაკეტილი თუ კომპანიის სული და გული?

ტესტი





ქვემოთ მოყვანილი ხასიათის სამი ტიპიდან აირჩიეთ ის, რომელიც უფრო შეგესაბამებათ.

**პირველი ტიპი** — არ უყვარს ადამიანთა ჯგუფში ყოფნა, ხმაურიანი კომპანია, დისკოტეკები და რესტორნები. ამჯობინებს ბუნების წიაღში გასეირნებას და წყნარ გარემოს. მოსწონს ადამიანთან ურთიერთობა წყნარ ატმოსფეროში.

**მეორე ტიპი** — სწრაფად უახლოვდება ადამიანებს. ხშირად ეცვლება გუნება-განწყობილება: დილით ნაღვლიანია, საღამოს — მხიარული.

**მესამე ტიპი** — კომპანიის სული და გულია. მის იუმორს შეუძლია სხვები კარგ განწყობაზე დააყენოს. იცის უამრავი საინტერესო ისტორია.

ახლა კი უპასუხეთ კითხვებს:

**1. მოგწონთ ცხარე კერძები?**
დიახ — 3;
არა — 2.

**2. მოგწონთ ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა?**
დიახ — 2;
არა — 1.

**3. ზოგჯერ, როდესაც გიხარიათ, გსურთ, მაღლა ახტეთ?**
დიახ — 4;
არა — 2.

**4. ყოველთვის იცით, როგორ გაართოთ სტუმრები?**
დიახ — 3;
არა — 2.

**5. ხშირად გაწუხებთ თავის ტკივილი?**
დიახ — 1;
არა — 2.

**6. ყოველთვის იხეხავთ კბილებს?**
დიახ — 4;
არა — 1.

**7. ხშირად იცვლით ვარცხნილობას?**
დიახ — 3;
არა — 1.

**8. მოგწონგნთ კროსვორდების ამოხსნა?**
დიახ — 1;
არა — 4.

**9. დილაობით ვარჯიშობთ?**
დიახ — 3;
არა — 1.

**10. ზოგჯერ მელანქოლია გეუფლებათ?**
დიახ — 1;
არა — 4.

**11. მოგწონთ მარტო მუშაობა მშვიდ გარემოში?**
დიახ —4;
არა — 1.

**დაითვალეთ ქულები:**

**20 ქულაზე ნაკლები — თქვენ I ტიპთან უფრო ახლოს ხართ;**

**21-25 — II ტიპთან უფრო ახლოს ხართ;**

**25 ქულაზე მეტი — III ტიპთან უფრო ახლოს ხართ.**

**ტესტის შედეგი და თქვენ მიერ არჩეული ხასიათის ტიპი ერთმანეთს დაემთხვა? არა? მაშინ დაფიქრდით, კარგად იცნობთ თუ არა საკუთარ თავს.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**31 ივლისს სავსემთვარეობაა. თუ ჯანმრთელობის მხრივ რამე პრობლემა გაქვთ, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს. სასიკეთო პერიოდია კირჩხიბისა და მორიელის ნიშნის დაბადებულთათვის.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**29 ივლ. - 4 აგვ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

რთული არჩევანის წინაშე დგახართ — ადგილის ტკეპნა თქვენი სურვილი არ არის, წინსვლა კი ბევრ მოულოდნელობასთან იქნება დაკავშირებული. მაგრამ, თუ გაქვთ გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი გაურკვეველია, უარი არ თქვათ, რადგან მალე პოზიციებს გაიმყარებთ და დასახულ მიზანს მიაღწევთ; მთავარია, ემოციები მოთოკოთ და ფხიზელი გონებით იმოქმედოთ. მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას მიაპყრობთ, მაგრამ არ ღირს ხანმოკლე ფლირტის დაწყება, სჯობს, სერიოზულ ურთიერთობაზე იფიქროთ.

თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება და მეტი ფიზიკური დატვირთვა არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 29 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 1 აგვისტო.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

აქტიური მოქმედების პერიოდია, მაგრამ, თუ საქმეს უგულისყუროდ მოეჭიდებით, ბევრ რამეს დაკარგავთ და შეიძლება, ხელმძღვანელობის ან ახლობლების კრიტიკაც კი დაიმსახუროთ.

თუ როგორ წარიმართება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, თქვენზე იქნება დამოკიდებული — გულწრფელად ესაუბრეთ მას თქვენს გრძნობებზე.

ამ პერიოდში მაღალია ლიმფური ჯირკვლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევები.

**დადებითი დღე: 29 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 4 აგვისტო.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

იმპულსური მოქმედება კარგს არაფერს მოგიტანთ. ნუ დაიწყებთ ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებას, რადგან შეიძლება, ვერც ერთი ვერ დაასრულოთ და ამის გამო ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი შეგექმნათ.

რთულ ვითარებაში საყვარელი ადამიანი მხარში ამოგიდგებათ, რაც სიხარულს მოგგვრით და მისდამი ნდობას კიდევ უფრო განგიმტკიცებთ.

თავი აარიდეთ მზის სხივებს და ჩაიტარეთ კანის გამაჯანსაღებელი პროცედურები.

**დადებითი დღე: 4 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 1 აგვისტო.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

გაგიჩნდებათ ახალი პერსპექტივა, მაგრამ მეტისმეტს ნუ მოინდომებთ — შესაძლოა, საკუთარი სურვილებისა და იდეების მსხვერპლი გახდეთ. აირჩიეთ კონკრეტული მიზანი და ნელ-ნელა, მეთოდურად შეუდექით მისკენ სვლას.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანს და მასთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები.

თუ გულ-სისხლძარღვთა დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 3 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 30 ივლისი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

კარგი პერიოდია საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად და წარსულში დაშვებული შეცდომების გასაანალიზებლად. გაგიჩნდებათ იდეა, რომლის განხორციელებაც კარგ ფინანსურ შემოსავალს მოგიტანთ. დასახულ მიზანს მუხლჩაუხრელი შრომითა და გამოცდილი ადამიანების დახმარებით მიაღწევთ.

შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, რომელთანაც წარსულში ბევრი რამ გაკავშირებდათ და მასთან ძველი ურთიერთობა განაახლოთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 4 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 31 ივლისი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

შესაძლოა, მოგიწიოთ გეგმების შეცვლა და ყურადღების გადატანა ისეთ საკითხებზე, რომლებიც აუცილებლად მოსაგვარებელია, თანაც — სასწრაფოდ. ნუ აღელდებით, ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართება. წარმატებას მიაღწევენ ის ქალწულები, რომლებიც შემოქმედებით სფეროში საქმიანობენ — მწერლები, ჟურნალისტები, მსახიობები.

არ არის გამორიცხული კონფლიქტი საყვარელ ადამიანთან და ეს თქვენი უყურადღებობის ბრალი იქნება.

შესაძლოა, შეგექმნათ საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემა, ამიტომ დაიცავით კვების რეჟიმი — რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი და ცხარე საკვები.

**დადებითი დღე: 30 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 4 აგვისტო.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, მაგრამ შესაძლოა, შეირყეს, თუ ფულის უაზროდ ხარჯვას თავს არ დაანებებთ.

კარგად გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, რადგან შესაძლოა, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ და ფინანსურად იზარალოთ.

თუ დაინახავთ, რომ ადამიანი, რომელიც მოგწონთ და ეთაყვანებით, გაუბედავი და ყოყმანაა, ინიციატივა თქვენს ხელში აიღეთ — მიანიშნეთ, რომ მასთან პაემანი გსურთ.

გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 4 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 2 აგვისტო.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

სასიკეთო პერიოდია კარიერაში წინსვლისთვის. იოლად შეძლებთ სამსახურში დაწინაურებას, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. წარმატებას მიაღწევენ მორიელები, რომლებიც უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით არიან დაკავებულნი.

მარტოხელა მორიელებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შეიძლება ქორწინებითაც დასრულდეს.

ბევრი მუშაობისგან შეიძლება გადაიღალოთ, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ. თქვენზე სასიკეთოდ იმოქმედებს წყლის პროცედურები.

**დადებით დღე: 3 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 31 ივლისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

თუ ვერ გაგირკვევიათ, რომელი მიმართულებით უნდა იაროთ დასახული მიზნისკენ, რჩევა ახლობელ ადამიანებს ჰკითხეთ.

შეიტანეთ ცვლილებები თქვენს ცხოვრებაში — უარი თქვით ძველ, უსარგებლო ურთიერთობებზე და იფიქრეთ მომავალზე.

ნუ გადაიქცევით ოჯახის ტირანად, ამან შეიძლება კონფლიქტი შეგიქმნათ საყვარელ ადამიანთან და ბავშვებთანაც კი.

თუ კუჭ-ნაწლავთა სისტემის რომელიმე დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან.

**დადებითი დღე: 31 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 29 ივლისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

თუ ხელმძღვანელობა დამატებით სამუშაოს შესრულებას დაგაკისრებთ, ნუ მიიღებთ ისეთ პოზას, თითქოს ეს თქვენი სფერო არ არის. სრულიად შესაძლებელია, რომ ხელმძღვანელობას სურს, გამოგცადოთ — შეესაბამებით თუ არა იმ ახალ თანამდებობას, რომლის კანდიდატადაც განიხილებით.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას პრობლემური საკითხები კონსენსუსით მოაგვარეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს ვერ აიცილებთ.

გაუფრთხილდით წვივებს, რადგან დიდია მათი ტრამვირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 3 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 31 ივლისი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

ციდან მიწაზე დაეშვით და ცხოვრებას რეალისტის თვალით შეხედეთ, რადგან შესაძლოა, თქვენი ოცნებები რეალობამ დაამსხვრიოს, თუმცა ამისგან ტრაგედიას ნუ შექმნით, რადგან დაინახავთ გზას, რომელიც ბედნიერებამდე მიგიყვანთ. გახსოვდეთ, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად გაგიმართლებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ნუ შეეხებით მის თავმოყვარეობას, ამან შესაძლოა მწვავე კონფლიქტი გამოიწვიოს.

ახლა თქვენი ყველაზე სუსტი წერტილი გულია, ამიტომ ნუ დაიტვირთებით ფიზიკურად და შეეცადეთ, კარგად გამოიძინოთ.

**დადებითი დღე: 4 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 30 ივლისი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

თქვენი ფინანსური მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია, მაგრამ დამშვიდების საშუალებას მაინც არ გაძლევთ. ვითარების შეცვლის მცდელობა დაღლის გარდა არაფერს მოგიტანთ, ამიტომ სჯობს, იმით დაკმაყოფილდეთ, რაც გაქვთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის წევრების მიმართ. მათი დახმარებით უფრო იოლად შეძლებთ დასახული მიზნების მიღწევას.

დაძაბული სამუშაო რეჟიმი ძალიან დაგღლით, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას, კარგი იქნება, თუ ხშირად ჩაიტარებთ წყლის პროცედურებს.

**დადებითი დღე: 30 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 1 აგვისტო.**

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

## გაერთეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. უქორწინებლობა
2. სახელმწიფო აზიაში
3. ქართული ფილმი „... წვიმა გადიღებდეს“
4. მომსახურე ბიჭი სასტუმროში
5. ქუდზე მიმაგრებული ბაფთის ნაჭერი
6. ქალაქი ... დე ჟანეირო
7. გერმანული ავტომარკა
8. სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი
9. სახატავი ქსოვილი
10. თვითმკვლელობის წესი იაპონიაში
11. იგივეა, რაც ცვარი
12. ფრანგი მსახიობი იზაბელ ...
13. ეგვიპტელი მსახიობი ომარ ...
14. რისამე ჩამონათვალი
15. მსხვილი რქოსანი საქონლის ჯოგი
16. დასახლება ბათუმში
17. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მით.-ში
18. ნიანგის სახეობა
19. გამოუცდელი, მიამიტი ადამიანი
20. იტალიელი ფეხბურთელი ლუკა ...
21. ქალაქი უკრაინაში
22. ესტონელი მომღერალი ... იოლა
23. ამერიკელი გენერალი ჯორჯ სმიტ ...
24. ფეხბურთელი ლიონელ ...
25. კოვბოების ოსტატობის ჩვენება
26. ბერძნულ მითოსში უკვდავი არსება
27. მაყურებელთა დარბაზის ნაწილი თეატრში
28. როკ-მუსიკის ჟანრი
29. ჩოგბურთელი ... საფინი
30. 12 თანავარსკვლავედი
31. ორგანიზმის მოძრაობითი აქტიურობა
32. მომღერალი ... ენტონი
33. ანჩხლი
34. სოფელი მცხეთის რაიონში
35. დამუხტული ნაწილაკი
36. მსახიობი ... პეტეუვი
37. ჩეჩნეთის პრეზიდენტი ... კადიროვი
38. მძიმე გარდამავალი პერიოდი
39. მართალი ლაზარეს და
40. საკანცელარიო ნივთი
41. ძვ. საბერძნეთსა და რომში სახალხო წარმოდგენა
42. მწერალი ... როდი
43. კანის დაავადება
44. ახალი თაობის ბავშვი
45. ერთგვარი ალკოჰოლური კოქტეილი
46. ორბორბლიანი საზიდი საშუალება
47. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე
48. ფიზიკოსი ისააკ ...
49. ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი ... ზაკაევი
50. შვედი მწერალი ... ლინდგრენი
51. პოეტი ... ამაღლობელი
52. უზენაესი ქალღმერთი ბერძნულ მითოსში
53. მუხის ნაყოფი
54. მამაკაცის სამოსი ძვ. რომში
55. მყინვარი ყაზბეგში
56. ცარგონი
57. წარწერა საფლავის ქვაზე
58. პოეტი ... კალანდაძე
59. მომღერალი ჯიმი ...
60. მუს. ტონი





## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 2 | | | | 7 |
| 1 | 4 | | | | | | | |
| 7 | | | 3 | | | 9 | | 8 |
| | | 5 | | | 4 | | 7 | |
| | | | 6 | | 5 | | | |
| | 6 | | 9 | | | 1 | | |
| 8 | | 2 | | | 3 | | | 9 |
| | | | | | | | 5 | 1 |
| 3 | | | | 9 | | 2 | | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | 7 | | 4 | 3 | | 2 |
| 7 | | 5 | 9 | | | | 4 | |
| 1 | | | | | | | 7 | |
| | | | | | 5 | | | |
| | 3 | | 2 | | 1 | | 5 | |
| | | | 3 | | | | | |
| | 9 | | | | | | | 7 |
| | 7 | | | | 2 | 4 | | 3 |
| 3 | | 6 | 4 | | 9 | 1 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 8 | | | | 6 | |
| | | | | | | | 1 | |
| 8 | 7 | | | 1 | | | | 9 |
| | | | 4 | | | 2 | | |
| 3 | | 4 | 2 | | 8 | 1 | | 5 |
| | | 2 | | | 5 | | | |
| 7 | | | | 9 | | | 3 | 1 |
| | 6 | | | | | | | |
| | 4 | | | | 7 | | | 2 |



# ამერიკელი საზღვაო ქვეითები ჭკუას კარგავენ

## აშშ-ის საზღვაო ქვეითების ინტელექტი მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთა ინტელექტზე დაბალია

**ბრუკინგსის კვლევითი ინსტიტუტის (აშშ) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, აშშ-ის არმიის საზღვაო ქვეითი ოფიცრების ინტელექტი დაქვეითებულია.**

ამერიკული საზღვაო ქვეითი ჯარის ოფიცერთა 40%-ის ინტელექტის დონე მეორე მსოფლიო ომში მონაწილე სამხედროების ინტელექტის დონეს ჩამორჩება, — წერია ბრუკინგსის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში. დეგრადაციის პროცესი კი, 35 წელია, გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ოფიცერთა IQ 9 ბალით შემცირდა. 1980 წელს საშუალო მონაცემი იყო 131, 2014 წელს — 122 და, როგორც ჩანს, ეს აისახება ამერიკელ ჯარისკაცთა მოქმედებაზე — ხან მიზანმიმართულად ესვრიან მშვიდობიან მოსახლეობას, ხან ერთი ტერორისტის ლიკვიდაციის გამო ათობით მოქალაქეს კლავენ, ხანაც ატომური რაკეტის მოწყობილობასთან ვახტის დროს ნარკოტიკს იღებენ, რომ არაფერი ვთქვათ მათ გამოხდომებზე ევროპის ქვეყნებში.

ისე, კარგი იქნება, თუ ამერიკელი გენერლების ინტელექტის დონესაც შეამოწმებენ, რადგან ისინიც ხშირად წარმოაჩენენ თავიანთ „გონივრულ შესაძლებლობებს“ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც.

# როდის გაიხსნება მეტროპოლიტენის სადგური «უნივერსიტეტი»

**გავრცელებული ინფორმაციით, განახლდა მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა, რომელიც 2000 წლიდან დაკონსერვებული იყო. „საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა 1997-2000 წლებში „მეტრომშენის“ უფროსს — ბიძინა სონღულაშვილს იმის დასაზუსტებლად, თუ რა სამუშაოები იყო განხორციელებული სადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის შეჩერებამდე.**



— მეტროს ახალი ხაზის მშენებლობა ჯერ კიდევ 1987 წელს დაიწყო. სადგურ „დელისიდან“ ვაჟა-ფშაველას ძეგლამდე 950 მეტრის სიგრძის ხაზი ჩვენ გავიყვანეთ. ამ მონაკვეთზე მშენებლობა ღია მეთოდით მიმდინარეობდა, რაც იმ უბნის საცხოვრებელი კორპუსებისთვის ავარიასაშიში რისკის შემცველი იყო. მშენებლებმა სპეციალურად შემუშავებული ღონისძიებებით შეძლეს ამ რისკის თავიდან აცილებაც და გვირაბის გაყვანის სამუშაოების ხარისხიანად განხორციელებაც. პრობლემა იყო ნუცუბიძის პლატოდან მომდინარე გრუნტის წყლების შეჩერება. ეს სიძნელეც წარმატებით დავძლიეთ. გვირაბების, ჩიხების სამშენებლო სამუშაოები მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მიმართულებით 95-97 პროცენტის მოცულობით დამთავრებულია.

ახლა, ცხადია, შესამოწმებელია, აღსადგენია, რაც დრომ დააზიანა, დასაბეტონებელი და გასაყვანია ლიანდაგი, დასამონტაჟებელია ესკალატორები: 20 წელიწადია, რაც ამ მონაკვეთზე სამუშაოები დაკონსერვებულია. მთელი ამ მოცულობის სამშენებლო სამუშაოების დასრულებას 2-3 წელიწადი მაინც დასჭირდება.

# აბიტურიენტების დაახლოებით 13%-მა ზოგად უნარებში ბარიერი ვერ გადალახა

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, რომ გამოცდაზე გამოცხადებული აბიტურიენტების დაახლოებით 13%-მა ზოგად უნარებში ბარიერი ვერ გადალახა და ეს შედეგი დამაკმაყოფილებელია.**

მაია მიმინოშვილის თქმით, ტესტის ოთხივე ვარიანტი, სირთულის თვალსაზრისით, ერთმანეთთან ძალიან ახლოს იყო. თუმცა გაიგივების პროცედურას ცენტრი ყველა შემთხვევაში მიმართავს და სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, პირველი და მეოთხე ვარიანტი მეორე და მესამე ვარიანტებზე ოდნავ რთული აღმოჩნდა.

მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, გაიგივების პროცედურების შემდეგ გამსვლელი ქულა დადგინდა. მეორე და მესამე ვარიანტისთვის გამსვლელი ქულა — 24, პირველი და მეოთხე ვარიატისთვის კი 23 ქულა იქნება.

მისივე ინფორმაციით, წელს ერთ-ერთმა აბიტურიენტმა, რომელმაც პირველი ვარიანტი დაწერა, მაქსიმალური შეფასება – 80 ქულა მიიღო. შარშან ზოგად უნარებში მაქსიმალური შეფასება არავის მიუღია. აბიტურიენტების გარკვეულმა რაოდენობამ 79 ქულა დაიმსახურა. ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა გამოცდაზე გამოცხადებული აბიტურიენტების დაახლოებით 13%-მა. ამ მაჩვენებელს ემატება დაახლოებით 3%, რომლებიც გამოცდაზე არ გამოცხადდა ან ნაშრომი გაუუქმდათ.

სხვა საგნების შედეგებს ცენტრი, სავარაუდოდ, 5 აგვისტომდე გამოაქვეყნებს. სააპელაციო პროცესი კი ყველა შედეგის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყება.

### დავით ნარმანია:

# კომუნალური ვაუჩერების გაცემის წესი უახლოეს პერიოდში იქნება ცნობილი



**სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ თბილისელებს ტარიფების ზრდის შედეგად გამოწვეულ ნამატს თბილისის მერია სრულად დაუფარავს, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.**

„ჩვენ კომუნალური ვაუჩერები გავაორმაგეთ იმ ადამიანებზე, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან. ამ კატეგორიის ადამიანებს იმ ნამატსაც, რომელიც იქნება ტარიფების ზრდის შედეგად, თბილისის მერია სრულად დაუფარავს“, — განაცხადა ნარმანიამ. ზუსტი ინფორმაცია, როგორ მოხდება ვაუჩერების გაცემა, თბილისის მერის თქმით, უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

# 1 აგვისტოდან სოციალური დახმარების ახალი სისტემა ამოქმედდება

**ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების მეთოდოლოგიაში ცვლილებები გატარდება. სოციალური დახმარების ახალი სისტემა მაისიდან სატესტო რეჟიმში ამოქმედდა. ახალი სისტემა, ძირითადად, ორიენტირებულია მრავალსულიან და ბავშვიან ოჯახებზე, რაც გაეროს ბავშვთა ფონდის ძირითადი რეკომენდაცია იყო.**

„რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა პროცესის ყოველდღიური მონიტორინგი. შედეგების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სისტემა გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს, რადგან ქულების დათვლის ახალი სისტემა მარტოხელა პენსიონერებს აზარალებს. მომზადდა შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც განხილული იქნება მთავრობის უახლოეს სხდომაზე და მიღების შემთხვევაში, 1 აგვისტოდან ძალაში შევა. უფრო მეტიც, სახელმწიფო აუნაზღაურებს მარტოხელა პენსიონერებს იმ თვეების თანხებს, როდესაც მათ საარსებო შემწეობის მიღება შეჩერებული ჰქონდათ“, — განაცხადა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ ჯანდაცვის სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.

# 31-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**სურ. კახი კავსაძე; პეტრა; ჰარისონ ფორდი. 1. აგამია; 2. ირანი; 3. სანამ; 4. ბოი; 5. ვუალი; 6. რიო; 7. აუდი; 8. მაგისტრი; 9. ტილო; 10. ხარაკირი; 11. ნამი; 12. აჯანი; 13. შარიფი; 14. სია; 15. ნახირი; 16. გონიო; 17. დიანა; 18. კაიმანი; 19. არიფი; 20. ტონი; 21. პოლტავა; 22. აიკ; 23. პატონი; 24. მესი; 25. როდეო; 26. ტიტანი; 27. პარტერი; 28. ემო; 29. მარატ; 30. ზოდიაქო; 31. მოტორიკა; 32. მარკ; 33. ავი; 34. ძეგვი; 35. იონი; 36. ენ; 37. რამზან; 38. კრიზისი; 39. მართა; 40. რვეული; 41. მიმი; 42. მაინ; 43. სებორეა; 44. ინდიგო; 45. მოჰიტო; 46. ურემი; 47. პირატი; 48. ნიუტონი; 49. აჰმედ; 50. ასტრიდ; 51. რატი; 52. ჰერა; 53. რკო; 54. ტოგა; 55. გერგეთი; 56. ტო; 57. ეპიტაფია; 58. ანა; 59. მორისონი; 60. მი.**

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 9 | 4 | 2 | 8 | 6 | 1 | 7 |
| 1 | 4 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 2 |
| 7 | 2 | 6 | 3 | 5 | 1 | 9 | 4 | 8 |
| 9 | 1 | 5 | 2 | 3 | 4 | 8 | 7 | 6 |
| 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 5 | 4 | 9 | 3 |
| 4 | 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 1 | 2 | 5 |
| 8 | 5 | 2 | 1 | 4 | 3 | 7 | 6 | 9 |
| 6 | 9 | 4 | 8 | 7 | 2 | 3 | 5 | 1 |
| 3 | 7 | 1 | 5 | 9 | 6 | 2 | 8 | 4 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 |
| 7 | 2 | 5 | 9 | 1 | 3 | 8 | 4 | 6 |
| 1 | 4 | 3 | 8 | 2 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 2 | 1 | 8 | 6 | 4 | 5 | 7 | 3 | 9 |
| 9 | 3 | 7 | 2 | 8 | 1 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 6 | 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 8 | 1 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 3 | 8 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 7 | 1 | 5 | 6 | 2 | 4 | 9 | 3 |
| 3 | 5 | 6 | 4 | 7 | 9 | 1 | 2 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 1 | 8 | 4 | 9 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 6 | 5 | 1 | 8 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 1 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 5 | 8 | 7 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 6 |
| 3 | 9 | 4 | 2 | 6 | 8 | 1 | 7 | 5 |
| 6 | 1 | 2 | 9 | 7 | 5 | 3 | 8 | 4 |
| 7 | 2 | 5 | 6 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 |
| 1 | 6 | 8 | 3 | 5 | 2 | 9 | 4 | 7 |
| 9 | 4 | 3 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 2 |


# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო და მსოფლიო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009